

გარი ჩაქი

სიქვარულის
კონცეფცია

გარი ჩაფიქი

**სიყვარულის
კონცეფცია**

2019

ეს წიგნი გასული საუკუნის გადასახედია , ჰო , რა უცებ გაფრინდა წლები ...არადა მაშინ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში , ახალგაზრდა პოეტი , მეცნიერი და შემოქმედი გარი ჩაფიძე , ლექსებით უმღეროდა სიყვარულის მარადიულ გრძნობას ... ჰო რა უცებ გაფრინდა წლები ... ახლა უკვე აკადემიკოსი და საერთაშორისო დონის მეცნიერი „სიყვარულის კონცეფციას” ქმნის , ბავშვობის დროინდელი ლექსების ჩანართით.

რედაქტორი: **მაკა სამხარაძე**

ISBN: 978-9941-8-1081-7

სიყვარულის კონცეფცია (111-მიზეზი, თუ რად უნდა მიყვარდე)

1. ბედნიერება - შენთან ყოფნა;
2. შენთან არასოდეს მოვიწყენ...
3. შენ იცი. თუ როგორ გამაღიმო...
4. ყოველთვის იცი ჩემი განწყობა.
5. გიყვარვარ, მიუხედავად ჩემი ნაკლოვანებებისა!
6. როცა მიღიმი - ყველაფერი კარგადაა...
7. მხოლოდ მაშინ ვარ მშვიდად როცა ჩემს გვერდით ხარ...
8. შენთან განშორება მამძიმებს...
9. ყველაზე ლამაზი, შენთან გატარებული დღეა!
10. როცა ერთად ვართ, ყველაფერს შევძლებთ!
11. შენ გაქვს ძალიან ლამაზი სხეული.
12. გიყვარვარ მაშინაც, როცა შენთვის რაიმეს ვცრუობ!
13. შენთან ყოფნა მაბნევს...
14. არასოდეს მეტყვი: - „მეასედ ვისმენ ამ ისტორიას...“
15. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ყველაზე და არაფერზე...
16. შენ ჩემი სუნთქვა ხარ...
17. შენზე უკეთესი არ არსებობს!
18. მიმტკიცებ ჩემს თავში რწმენას!
19. იცი, როგორ უნდა მაჩუქო ბედნიერება!
20. შენ გრძნობ ჩემს ცუდად ყოფნას!
21. არაფრის მეშინია, თუ ჩემს გვერდით ხარ!
22. ყოველთვის ჩემს მხარეს ხარ...
23. შენთან ჭორაობაც სასიამოვნოა...
24. მე შენ გენდობი!
25. ყოველთვის მეხმარები შესაძლებლობის მაქსიმუმით!
26. თუ ჩემთან ხარ ყველა და ყველაფერი კარგავს მნიშ-

ვნელობას!

27. შენი ერთი გაღიმება - ყოველგვარ მოწყენილობას მიქრობს!

28. ყოველთვის მოთმინებით ისმენ ჩემს საუბარს...

29. ერთად შეგვიძლია მოვახდინოთ სასწაულები!

30. როცა ჩემს გვერდით ხარ - მსოფლიო ჰყვავის...

31. ჩვენ-საუკეთესო წყვილი ვართ!

32. მაოცებს შენი სილამაზე. მიყვარს შენი პიროვნება!

33. გონება ყოველწამს შენს სიყვარულს მახსენებს!

34. შენ უსიტყვოდ გესმის ჩემი!

35. ერთი გაელვებით შემიყვარდი!

36. საუკეთესო ის დროა, რომელსაც ერთად ვატარებთ!

37. ვერ წარმომიდგენია შენს გარეშე არსებობა!

38. შენ ითვალისწინებ ჩემს რჩევებს!

39. ჩემი გული შენთვის ძგერს!

40. შენ გჯერა ჩემი!

41. ყოველთვის შესანიშნავად გამოიყურები!

42. შემიძლია დაგირეკო და გითხრა, რომ მიყვარხარ!

43. შენი შეხება ოცნებაა...

44. შენი მხარდაჭერა, ჩემთვის ყველაფერია!

45. შენი ხუმრობა მიმზიდველი და მოზომილია!

46. შენი დამსახურებით, თანდათან უკეთესი ვხვდები!

47. არ შემიძლია შენზე გავბრაზდე!

48. შენ მსოფლიოში ყველაზე საყვარელი ხარ!

49. შენს თვალებში მე ვხედავ სიყვარულს!

50. მიყვარს შენი ღიმილი!

51. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები, შენ ხარ!

52. იცი რით შეიძლება გამახარო!

53. მზრუნველობა და არაფერს მოითხოვსანაცვლოდ!

54. შენ ყველა წვრილმანი გახსოვს!

55. შენი შეხვედრით გული მიჩქარდება!

56. ჩემი ყველაზე ძვირფასი განძი ხარ!

57. ჩემი გულის გასაღები შენა გაქვს!

58. ყოველთვის მინდა გულში ჩაგიკრა!
59. როცა ერთად ვართ, დრო გაყინულია!
60. შენ გიზიდავს ჩემი ცხოვრება!
61. მე შენი სიყვარული მიცავს!
62. შენი გამოჩენით ყველაფერი გაციკროვნდა!
63. შენ შეგიძლია გახადო ნათელი, ყველაზე ღრუბ-
ლიანი დღე!
64. შენი ხელში აყვანა, ჩემთვის სიმსუბუქეა...
65. შენ ჩემს ცხოვრებას, ბედნიერს ხდი!
66. შენ მე მასულფგმულებ!
67. მინდა ყოველთვის რომ ვიყოთ ერთად!
68. ყოველთვის მათცებ იმით რაც სინამდვილეში ხარ!
69. შენ იცი სიყვარულის საუკეთესო მხარეები!
70. შეგიძლია ნებისმიერ დროს მოძებნო თბილი, საჭ-
ირო სიტყვები!
71. შენი ბედნიერება ჩემთვის ყველაფერია!
72. შენთან ერთად კარგია ნებისმიერ ადგილზე!
73. შენი შეგონება ჩემთვის მთავარია!
74. არ მსურს გამექცე თვალთახედვიდან!
75. შენი თვალებით ვგრძნობ - ჩემი ოცნებების ას-
რულებას!
76. შენ მასწავლი სიყვარულს!
77. მიყვარს შენი მიმზიდველი ხმა!
78. შენ ხარ სიწყნარე!
79. მიყვარს ყველაფერი რაც შენთან კავშირშია!
80. შენთან არასოდეს მომენწყინება!
81. შენ ჩემი საუკეთესო გამგები ხარ!
82. ჩემი ფიქრები იწყება შენით!
83. შენი სიყვარული მაგიჟებს!
84. შენ მიქმნი მომავალს!
85. როგორც მაგნიტი მიზიდავ ისე!
86. შენ ჩემი ოცნების ლამაზი სიზმარი ხარ!
87. შენ ჩემი მეგობარიც ხარ!

88. ჩვენი სულები ერთმანეთს ავსებენ...
89. დაუფიქრებლად თმობ ნებისმიერ საქმეს, ჩემთან ყოფნისას!
90. შენ მოთმინებით პასუხობ ჩემს სულელურ შეკითხვებს...
91. ჩემთვის მთავარი ერთია, ვიცოდე, რომ გვერდით მყავხარ!
92. მეხმარება შენი რჩევები!
93. იცი ჩემი ყველა საიდუმლო და ინახავ მას...
94. შენ ჩემთვის მზე ხარ, მანათობელი...
95. გვერდიგვერდ ერთმანეთს ვავსებთ!
96. ყველა ჩემი ნაცნობი შენით მოხიბლულია!
97. შენ შეგიძლია ჩააქრო ჩემ გულში ხანძარი!
98. არაფერი არსებობს შენს კოცნაზე ტკბილი!
99. ჩვენი ოცნებები ყოველთვის თანხვედრია!
100. მსურს შენ გეკუთვნოდეს ჩემი ცხოვრება!
101. მიყვარხარ! რადგან არ შემიძლია არ მიყვარდე!
102. შენს გარეშე, არარაობაა ეს ყველაფერი...
103. დაბადებულხარ ჩემი გრძნობის გამოსავლენად...
104. მე შენი სიყვარულით ვამაყობ!
105. ჩვენი ერთად ყოფნით, შენ კი არა, მე გამიმართლა!
106. შენ ჩემი მარადიული ერთგულება ხარ!
107. სიყვარული, სიხარული და ბედნიერება მაკავშირებს შენთან!
108. გვირილაზე შენი სახელით მკითხაობისას, ყოველთვის მრჩება ერთი ფურცელი - „გუყვარვარ!“
109. ჩვენ გვყავს სიყვარულის ნაყოფი!
110. მე შენში ვიგრძენი ჭეშმარიტი სიყვარული!
111. ჩემს გვერდით ხარ და მაინც მენატრები!

ნანატრი გაზაფხული დადგა

ჭირვეული ზამთრის შემდეგ, ნანატრი გაზაფხული დადგა... ამ გაზაფხულის უტყუარ მაცნედ, უსათუოდ მოვალ შენს საფლავთან, თან რჩეულ ყვავილებს მოგიტან და ჩვენი, ქართველი და უკრაინელი მეგობრობის უკვდავსაყოფად ცოცხალივით გესაუბრები, დიახ, შენ ჩემთვის ყოველთვის ცოცხალი სიყვარული და განუყრელი ხარ... ყველაფერს შენს სახელს ვარქმევ და ისე ვაკეთებ, როგორც შენ გესიამოვნებოდა, ამისათვის კი თვალების დახუჭვაც არაა საჭირო, ისე ნათლად გხედავ ყოველნამს... და მაინც რა არის სიყვარული, ზამთარმა წამართვა შენი თავი... ყინვები იყო... ახლა კი... ახლა ნანატრი გაზაფხული დადგა და წლების გადასახედიდანაც კი არ იბინდება შენი სურნელი და სილამაზე...

ჯერ იყო და, ქარბორბალაში მოჰყვა ჩვენი თვითმფრინავი, მერედა, დაჯდომის ნებართვას ცაში თითქმის ნახევარ საათზე მეტხანს ველოდით, აღარ ვიცი, მერამდენედ დავათვალიერე ზეციდან ტაშკეტის შემოგარენი, როდის-როდის ავიალაინერმა დაშვება იწყო და ქაბულიდან ჩამოფრენილები თვითმფრინავის ტრაპზე სირბილით ჩამოვრბოდით, რომ „მშობლიურ“ მიწაზე დაგვედგა ფეხი...

სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად ტაშკეტშივე გაგვანაწილეს, არადა, ძალზედ გაგვიჭირდა „ავღანელ“ ნაომარ ბიჭებს ერთმანეთთან დაცილება...

- თქვენ უკრაინაში განაგრძობთ სამსახურს ამხანაგო ლეიტენანტო! - მითხრა გენერალმა და ჟურნალში ჩემი გვარის გასწვრივ რაღაც ციფრები ჩაინიშნა, თან განაგრძო - სამხედრო-საინჟინრო ნაწილია ჩერნიგოვში, 93725; ბატალიონის უფროსის მოადგილე იქნებით

პოლიტ. დარგში!

- გეშველა ქართველო - მხარზე ხელი დამკრა ანატოლი ვორობენკომ - ახლა უკვე საველე ფოსტა კი არა, პირდაპირ ნაწილის ნომერი გაქვს... თან დიდებულისა ჩვენი მხარე, ამაში თვითონვე დარწმუნდები... - ამ სიტყვებთან ერთად, როგორც მებრძოლებმა იციან. ისე გამომემშვიდობა, დანარჩენებმაც მას მიბაძეს და იმავე საღამოს მატარებლით მარტო გავემგზავრე ახალი დისლოკაციის ადგილისაკენ...

ახალი დამდგარია დეკემბერი... ბატალიონის უფროსს შტაბის წინ ჩავაბარე პატაკი ჩემი სამსახურის გაგრძელებასთან დაკავშირებით მის განკარგულებაში...

- თქვენი გმირობისა და პიროვნული ღირსების შესახებ უამრავი რამ მსმენია - მითხრა პოლკოვნიკმა ვასილ ტარუბარამ - არც გამკვირვებია, ქართველებს ბრძოლას და მხედრულ მამაცობას ვინ გასწავლით; სწორედ, თქვენისთანა პოლიტ. ხელი გვინდა... თუ არ ცვდები პროფესიით ჟურნალისტი ხართ?

- ვსწავლობ!

- ძალიან კარგი, ერთად ვისწავლოთ. ეგ პროფესია მარტო მე კი არა, ჩემს გოგონასაც ძალიან აინტერესებს, სწორედ რომ ჟურნალისტობა უნდა, ვიკა მაისში ამთავრებს სკოლას, თუმცა, ეს მერე... ახლა კი შტაბის უფროსს წარუდექით, კაბინეტი და დოკუმენტაცია მისგან ჩაიბარეთ...

იმ დღესვე შევუდექი სამსახურს, შენობაში არნახული სითბო იყო და უკრაინული ცივი ზამთრის ყინვები ვერას გვაკლებდა... პოლიტ. მეცადინეობების კურსი, კედლის გაზეთები, ოცეულის ელვა-გამოცემები, კომკავშირული აქტივის სხდომები, გასაიდუმლოებული ობიექტების მშენებლობა-დაცვის სინთეზი... მერე სამხედრო ოლქის გაზეთებსა და საკავშირო სამხედრო

ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობით (სადაც ჩემი სტატიები თითქმის ყოველდღიურად იბეჭდებოდა) დრო კრიალოსანებივით ჩამოიმარცვლა...

საინჟინრო-სამხედრო ნაწილი კი მოგეხსენებათ, სულ აშენებს, თვითონ კი ყოველთვის აუშენებელშია, ასე იყო ჩვენთანაც, რაკეტულ ბაზებს ვაშენებდით და ბატალიონს საკუთარი აბანო არ გვექონდა. ამიტომ შაბათობით ქალაქის აბანოში დაგვყავდა ჯარისკაცები... ამ საქმეს ნაწილის მეთაურის მოადგილე სამეურნეო დარგში მაიორი კოსტიუკი აწესრიგებდა... ერთხელ მეც მთხოვეს გავეყოლოდი და სწორედ მაშინ, იმ დეკემბრის მიწურულს დაიწყო ამ ნოველის დაწერის თავფურცელი....

ჯარისკაცები აბანოში გავანაწილე და იქ საჩაიეში შევედი, ფინჯანი ჩაი და ნამცხვარი ხილფაფით ავიღე, განმარტოებით დავჯექი და დროის გაყვანის მიზნით უგემურად შევექცეოდი ამ ულუფას, ცოტა ხანში „ჩემს“ მაგიდასთან პირისპირ, ორმოცი-ორმოცდახუთი წლის წითური მამაკაცი დაჯდა... ირგვლივ უამრავი ცარიელი მაგიდა იყო, მაგრამ... მასაც ჩაი და ნამცხვარი აეღო...

- Грузин?!- მითხრა და ოინბაზურად გადმომხედა.
- დიახ! ვუპასუხე ამაყად.
- ყოჩალი ჩანხარ ნაბრძოლები, ეს ორდენი „მამაცობისთვის“ სად მოგცეს?
- ქაბულში?
- ასეც ვიცოდი! მივხვდი „ავლანელი“ იქნებოდი!
- როგორ?
- სიკოხტავით, პენიანად გაცვია და მხედრულად დააბიჯებ...

არ ვიცოდი რა მეპასუხა, რომ დუმილი თვითონვე დაარღვია:

- მე გენადი ვასილის-ძე ტკაჩენკო გახლავართ, ამ

ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე!

- მითხრა, სკამიდან ოდნავ წამოიწია და მარჯვენა ხელი გამომიწოდა.

მეც წამოვუდექი.

- ძალიან კარგი, ქართველების ფანი ვარ! როცა დრო გექნება შემომიარე, იცი რა გოგოები მყავს?! - და დაწვრილებით ჩამოარაკრაკა სპორტკომიტეტის მისამართი, რომელიც ქალაქის ცენტრში, აღმასკომის შენობის მეოთხე სართულზე იყო განთავსებული...

ერთი კვირის თავზე, ჩერნიგოვის ქუჩებში სეირნობისას ჩემს წინ შავი „ვოლგა“ შეჩერდა, საიდანაც გენადი ტკაჩენკო გადმოვიდა.

- ჰე, ქართველო, რატომ დამივიწყე? - ეტყობოდა ნასვამი იყო. - მეგობრის დაბადების დღიდან მოვდივარ! მაპატიე, გეთაყვა! ახლა მინდა შენ დაგპატიჟო ჩემთან! არა, უარი არ გაგივა ამხანაგო ლეიტენანტო! იცი ქართველები ჩემი სიცოცხლის გადამრჩენები არიან! როგორ? მაგასაც მოგიყვები მოდი დაჯექი! - მერე მძღოლს უბრძანა სამსახურში წაგვიყვანეო და ხუთიოდე წუთში მისი სამუშაო კაბინეტის უკან, დასასვენებელ ოთახში ოთხნი ვისხედით, მე, გენადი და ორიც მისი თანამშრომელი მართლაც-და არაჩვეულებრივი აღნაგობისა და სილამაზის გოგონები...

ქართველებმა კარგი თამაღობა იცითო და სუფრის ხელმძღვანელობა მე მომანდეს... არაყთან ერთად ლუდიც კარგი იქნებაო - და მასპინძელმა ქაფქაფა კათხები სოსისთან ერთად შემოამატა სუფრას - პირველად ლუდი ეგვიპტელებმა გამოხადესო - თქვა და განაგრძო:

ლუდის ისტორია ძალიან ძველია. ამ სასმელის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. იგი ზოგიერთი ევროპული ქვეყნისკულტურის განუყოფელი ნაწილია.

შუამდინარეთში აღმოჩენილია ფირფიტები. რომ-

ლებზეც ლურსმნული დამწერლობით წერია, რომ ლუდს ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ხდიდნენ ეგვიპტელები. ეგვიპტეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ლუდის მომზადების უძველესი რიტუალი.

ლუდის მომზადების ტექნოლოგიამ მალე ევროპაშიც შეაღწია. მისი წარმოება 1295 წელს დაიწყო. ბოჰემიის მეფე ვაცლავ მეორემ დააარსა ქალაქი პლზენი და მცირე ხანში ქალაქის 260 მცხოვრებს ლუდის გამოსხდის უფლება მისცა. თავდაპირველად მოქალაქეები თავიანთ სახლებში ხდიდნენ ლუდს., ოღონდ მცირე რაოდენობით, მოგვიანებით კი ლუდსახდელებიც გაჩნდა.

მაშინდელი ლუდისმხდელები უარს ამბობდნენ სპეციალურ ტექნოლოგიებზე და საკუთარი რეცეპტით ხდიდნენ სასმელს, რომელიც იმდენად უგემური გამოდიოდა, რომ ლუდს ნამდვილად ვერ უწოდებდით.

მნიშვნელოვანი გარდატეხა 1534 წელს მოხდა. პლზენის დაახლოებით 200-მა მოქალაქემ გადანყვიტა, მდგომარეობის გამოსასწორებლად, ზომები მიეღოთ. მათ დააარსეს „მოქალაქეთა ლუდის ქარხანა“; გამომხდეელი ბავარიიდან მიიწვიეს, იგი ჯობიერ გროლი გახლდათ. მან ნამდვილი, ბავარიული ლუდის წარმოებას მიჰყო ხელი. მის მიერ გამოსხდილი ბავარიული ლუდი მკვეთრად განსხვავდებოდა პლზენის მოქალაქეების მიერ დამზადებულისაგან. ძველ ლუდს ბავარიის მაგივრად „პილზნერი“ უწოდეს.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ლუდს, ძირითადად, მონასტრებში ხდიდნენ. მონასტრის მსახურებმა მკვეთრად გააუმჯობესეს ლუდის გამოსხდის ტექნოლოგია. სასმელის ძირითად შემადგენელ კომპონენტს სვია წარმოადგენდა, რომელიც გემრიელი გემოს მიცემის გარდა შენახვასაც აადვილებდა.

მე-19 საუკუნეში ლუდის გამოხდის ტექნოლოგია კიდევ უფრო დაიხვეწა. ბოტანიკოს კრისტონ პასენს დიდი წვლილი მიუძღვის ლუდის გამოხდის ისტორიაში. მან გამოიკვლია, რომ საფუარი, რომელიც სასმელის დუღილს იწვევდა, ცოცხალი ორგანიზმებისაგან შედგებოდა. მან სხვადასხვა სახის საფუარების კლასიფიკაცია მოახდინა.

ლუდის გამოხდა საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საუკუნეების განმავლობაში მან დიდი ცვლილებები განიცადა. ქერი, სვია, წყალი და საფუარი კი ლუდის უცვლელ კომპონენტებად დარჩა.

პირველ რიგში ხდება ქერის დახარისხება და გასუფთავება. შემდეგ, წყალში ალბობენ, რომ გაღვივდეს. აღნიშნულ პროცესს 5-7 წუთი ესაჭიროება. მიღებულ მასას ღუმელში აშრობენ. გამოშრობის შემდეგ ღივებს აძრობენ და აქუცმაცებენ. დაქუცმაცებულ მასას წყალში ურევენ და მიიღება ფაფისებური მასა, რომელსაც თანდათან აცხელებენ. ამ პროცედურის შემდეგ, სასმელი შაქრად გადაიქცევა.

აღნიშნული პროცესი 4-საათს გრძელდება. შემდეგ, მასა იფილტრება; მერე კი, ადუღებენ. დუღილის დროს უმატებენ სვიას, რაც ლუდს მომწარო გემოს აძლევს. დაახლოებით ორსაათიანი დუღილის შემდეგ აცივებენ.

მიღებულ მასაში საფუარს ურევენ, რომლის შედეგადაც სასმელი ალკოჰოლად გარდაიქმნება. დადუღებას ერთი კვირა მაინც ესაჭიროება; ერთი კვირის შემდეგ სასმელი, უკვე, შუშხუნა ლუდია.

ლუდის სახეობები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ლუდი შეიძლება იყოს მუქი ან ღია შეფერილობის, მოტკბო ან მომწარო გემოსი; ასევე, ქერის ან ხორბლის. მის ხარისხს კი, პირველ რიგში, საფუარი განაპირობებს.

ლუდი მართლაც რომ გემრიელი ალკოჰოლური სასმელია; მისი ზომიერად მიღება ჯანმრთელობისათვის სასარგებლოცაა. იგი სავსეა სხვადასხვა მინერალებითა და ვიტამინებით; მაგალითად, როგორცაა ქრომი და თუთია. რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, ლუდი გულისა და კანის დაავადებათა თავიდან აცილების საშუალებაცაა.

განსაკუთრებით კი ჩვენი, უკრაინული ქეშმარიტი ლუდი...

- მართლაც და გაგვანათლეთ! - გულწრფელად შევაქე გენადი ტკაჩენკო.

- ისე რაღაც მნიშვნელოვანი შენდება ალბათ ჩვენს ქალაქში, თუ არა ქაბულიდან აქ როგორ გადმოგიყვანდნენ? - ისევ მასპინძელმა აიღო სიტყვა, მას შემდეგ რაც პირთამდე „თეთრი სითხით“ სავსე ჭიქებით სუფრის თანამეინახენის, ორო გოგონას - სვეტასა და ლუდას თამადობით ახალი სადღეგრძელო შეესვით...

- არა! იქ დავიჭერი და...

- არაფერი გემჩნევათ! - გამჭოლი მზერა მსტყორცნა გენადი ტკაჩენკომ; გოგონებმაც დაძაბეს სმენა...

- მსუბუქი ჭრილობა იყო... - სამი სიტყვით დავაკმაყოფილე მათი ცნობისმოყვარეობა!

- მოგვიყევით რამე ქაბულის შესახებ...

- წყლიანი თვალებით მომაპყრო ლუდამ.

- ქაბული, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის დედაქალაქია - დავინყე მე ოდნავი ჩაფიქრებით, - იგი ცენტრალური აზიის სამხრეთში, ძველ აბრეშუმის გზაზე მდებარეობს. განუწყვეტელი ომების გამო, ქაბული დღემდერ ყველაზე დანალმულ ქალაქად რჩება მსოფლიოში. მისი მოსახლეობა მრავალეთნიკურია, რომელთა ძირითად ნაწილს პაშტუნები, ტაჯიკები და ხაზარები შეადგენენ.

ქაბულისათვის ზომიერი კლიმატია დამახასიათ-

ებელი - ზამთარი საკმაოდ ცივი და ნალექიანია. განსაკუთრებით ცივი თებერვალში. ამ პერიოდში ტემპერატურა ნულ გრადუსამდეც კი ეცემა. ზაფხული ივნისიდან სექტემბრამდე გრძელდება და მშრალია და ცხელი; მინიმალური ტემპერატურა კი 30 გრადუსია.

ავლანი ავლანეთის რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის, ქაბულის ოფიციალური ვალუტა გახლავთ. იქ ნებისმიერი სახის მომსახურებას საკმაოდ დაბალ ფასად შემოგთავაზებენ. ერთი ამერიკული დოლარი 50- ავლანის ტოლფასია. ეროვნული ვალუტის გარდა ქალაქში ამერიკული დოლარითაც ისარგებლებთ, ძირითადად, მაღალი დონის რესტორნებში, სასტუმროებსა და მარკეტში.

პუშტუ და დარი ქაბულის ოფიციალური ენებია. პუშტუზე მოსახლეობის 35 პროცენტი საუბრობს. ის ინდოევროპული ოჯახის ირანულ ჯგუფს განეკუთვნება და ქვეყნის ლიტერატურული ენაა. დარიზე მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი საუბრობს. დედაქალაქში, აგრეთვე, შეხვედებით უზბეკურ და თურქმენულ ენებზე მოლაპარაკე ხალხს.

- ქართულ, ქართულ ენაზე? - ირონიაა, თუ ცნობის-მოყვარეობა შეეპარა ხმაში მასპინძელს.

- დიახ, ერთი უზარმაზარი, ძირძველი ქართული სოფელიცაა, ეროვნული ტრადიციებით... მიუხედავად იმისა, რომ იქ სახელმწიფო რელიგიად ისლამია გამოცხადებული,

მოსახლეობის 85 პროცენტს სუნიტები წარმოადგენენ, ხოლო 15 პროცენტს - შიიტები. სუნიტები სუნას ისევე მნიშვნელოვნად თვლიან, როგორც ყურანს. ავრანელები ძალიან რელიგიურები არიან, ისინი თავიანთი რელიგიური მრწამსის უპატივცემულობას არავის აპატიებენ.

- სამზარეულო? - დაინტერესდა გენადი ტკაჩენკო

და არც თუ მწირ სუფრას თავმომნონედ მოავლო თვალი...

ავღანეთის სამზარეულოზე აშკარაა ინდური სამზარეულოს გავლენა. ნაციონალური კერძების უცვლელი პროდუქტია ბრინჯი, რომლის შემდეგ ყველაზე პოპულარული ცხვრის ხორცია. რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, ღორის ხორცს იქ არ ჭამენ. ქაბულში ვერასოდეს იტყვიან უარს ცხვრის ხორციით მომზადებული ქაბაბის დაგემოვნებაზე.

ავღანეთი ტკბილეულით ცნობილი ქვეყანაა. ყველაზე პოპულარული ნამცხვარი ბაქლავაა, რომლის მომზადების წესს ადგილობრივები დღემდე ასაიდუმლოებენ; როგორც ამბობენ, ნამდვილ ბაქლავას მხოლოდ ავღანეთში ამზადებენ.

ნაციონალური კერძებიდან აღსანიშნავია ქაბლი პულაო, რომელიც ორთქლში მოხარშული ბრინჯის, ქიშმიშისა და სტაფილოს ნარევეს წარმოადგენს. პოპულარობის თვალსაზრისით, მას ნამდვილად არ ჩამოუვარდება ქორმა - ბოსტნეულსა და ხილში მოშუშული ცხვრის ხორცი.

ადგილობრივებს ძალიან უყვართ რძის ნაწარმი. სასმელებიდან ყველაზე მოხმარებადია ჩაი. მუსლიმურ ქვეყანაში ალკოჰოლი იშვიათობაა. ღვინისა და ლუდის დაგემოვნებას მხოლოდ ქაბულში მდებარე მაღალი დონის რესტორნებში შეძლებთ.

ქაბული მდინარე ქაბულის ვიწრო ხეობაში მდებარეობს. აქ ყველაზე შთამბეჭდავია ეროვნული მუზეუმი. ავღანელი ქალბატონები საინტერესოდ წარმოაჩენენ თავიანთ კულტურას. ისინი ქალებისათვის განკუთვნილ პარკში ხელით ნაკეთ ნივთებს ყიდიან. აღსანიშნავია, რომ პარკში შესვლის უფლება მხოლოდ ქალბატონებს აქვთ.

დედაქალაქიდან 60 კილომეტრში მდებარეობს პან-

შირის ველი, სადაც ველურ ბუნებას იხილავთ. გართობა-დასვენებისათვის დედაქალაქის ზოოპარკია განკუთვნილი. ცხელ ზაფხულში გაგრილების საშუალებაა ტბა ქარჭაზე.

ავღანელების არქიტექტურა სრულყოფილადაა წარმოჩენილი 1920 წლით დათარიღებული მეფის სასახლით.

- მდა... დაუსწრებლად, მაგრამ საინტერესოდ ვიმოგზაურეთ ავღანეთში - თქვა ლუდამ და განაგრძო:

- აქ, აქ რას აკეთებთ? ამბობენ რაკეტულ ბაზებსო... მართალია?!

- ალბათ!

- ალბათ თუ... -დაკონკრეტება ისურვა სვეტამ

- როგორ გითხრათ...

- როგორც არის! -ლიმილით შემაწყვეტინა მასპინძელმა მამაკაცმა

- ამ ქალაქის მკვიდრები ვართ და აქის ყველაფერი გვაინტერესებს!

- იცით, ჩვენ ომი არასოდეს გვჭირდება, მაგრამ მზადყოფნა თავდაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა! ვაშენებთ თუმცა ამ ბაზებით არავინ დაზარალდება, პირიქით...

- როგორ პირიქით? - ისევ იაქტიურა სვეტამ.

- თქვენი მშობლიური ქალაქი თავის უდიდეს წვლილს შეიტანს, უკიდევანო საბჭოეთის გარეშე მტრებისაგან დაცვის საქმეში...

- და თქვენ გჯერათ მტრების არსებობა? რა უნდა გვიმტრონ? -არაჩვეულებრივი ხმის ტემბრი ჰქონდა ლიუდას - არ შემდგარი ეკონომიკა, თუ „Перестройка“ აი თქვენ, ქართველი ბრძანდებით, განა მთავრობას შეუძლია გასწავლოთ სად და რამდენი უნდა დალიოთ? რუსებისათვის კი აუცილებელია ზომა-წონის შეხსენება სმის დროს, მაგრამ ამხელა ქვეყანაში ყველასთვის

ერთი კანონის მიღება განა დასაშვებია?

- მაგას ვინ განსაზღვრავს. ისედაც ტყუილებზეა აგებული მთელი საბჭოეთი - დემონსტრაციულად განაცხადა სვეტამ.

- ამიტომია, რომ ამათ ყველაფერი ავინწყდებათ? - ეს მამაკაცის ხორციდან ამოსული ხმა იყო.

- თქვან სიმართლე და არაფრის დამახსოვრება აღარ მოუნევთ... - განაგრძო ლიუდამ - ერთი ანეგდოტი მაგონდება ამერიკული და საბჭოელი თავიანთ საზღვრებს რომ იცავენ და კოშკურებით ერთუროს უყურებენ:

- ასეთი გაქვს? - ეკითხება საბჭოთა ჯარისკაცი და ამერიკელს კალაშნიკოვის ავტომატს უჩვენებს „შტიკ-ნოჟით“.

- შენ ასეთი გაქვს? - ამერიკელი ჯარისკაცი უჩვენებს მაყუჩიან პატარა სასროლს ლამის ხედვის დურბინდით.

საბჭოელის დუმილი...

ცოტა ხნის შემდეგ ამერიკელი ამოიღებს ბულკებს და მიირთმევს, თან ეკითხება საბჭოელ კოლეგას

- ასეთი გაქვს?

- შენ ასეთი? კომკავშირის წითელი მანდატი დააძრო საბჭოელმა.

- არა! - დაიბნა ამერიკელი ჯარისკაცი.

- ჰოდა ასეთი რომ გექნება, მერე ვნახავ, როგორ ბულკებს შეჭამ საგუშაგოზე ...

- საგუშაგოები... დედამიწის ცხრა გასაიდუმლოებულ ადგილს, სადაც მოხვედრა შეუძლებელია, მეათედ, მთელი საბჭოელი უნდა დაემატოს, თავისი შემოსალტული და გაუვალი საზღვრით; დიახ, გასაიდუმლოებული ადგილების შესხენება თქვენთვისაც არ იქნება ურიგო - თქვა ბატონმა გენადიმ და დაიწყო:

1. მათათაშუა ქალაქი - ჩვენი ქვეყნის ტერიტორი-

აზე, რუსეთში იამანტას მთებში არსებობს საიდუმლო ქალაქი, რომელსაც პირობითი სახელი, მთათაშუა (მე-ყდუგორიე) ჰქვია. ეს ქალაქი 1979 წელს აშენდა, იქ თავმოყრილია ყველაზე ბევრი საიდუმლო ატომური ობიექტი და ბუნკერი. ეს დამალული ქალაქი საზღვარგარეთლებმა აღმოაჩინეს თანამგზავრის საშუალებით, მთელი მსოფლიო საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისაგან ითხოვს ამ საიდუმლო ქალაქის შესახებ ინფორმაციას; ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ეს არის ადგილი, სადაც ინახავენ საკვებ პროდუქტებს, რომელსაც ბირთვული აფეთქების შემთხვევაში გამოიყენებენ.

2. ვატიკანის საიდუმლო არქივი - თქვენ შეგიძლიათ ვატიკანის არქივში ყველანაირი დოკუმენტი მოითხოვოთ და გადმოგეცემათ კიდეც; მაგრამ, ვერასოდეს მოხვდებით თავად არქივის საცავებში ვერ ნახავთ დოკუმენტს, რომელიც 75 წელზე ახალია, რადგან თვლიან, რომ შეიძლება ამან დიპლომატიური და სახელმწიფოებრივი საიდუმლოებები გასცეს. ვატიკანის საიდუმლო არქივების თაროების სიგრძე 84 კილომეტრია.

3. კლუბი „33“ - დისლეილენდი არის ადგილი, სადაც ალკოჰოლს არასოდეს ყიდიან. გამონაკლისი კლუბი „33“-ია, რომელიც გასართობი ცენტრის შუაში მდებარეობს. ამ კლუბის წევრობა ძალიან ძვირი სიამოვნებაა - 33-ჯერ უნდა გქონდეს მოგებული ჯეკპოტი სხვადასხვა კაზინოში და კლუბის წევრობის ლიცენზიას 14 წელი უნდა ელოდოთ.

4. მოსკოვის მეტრო 2- სტალინის დროს, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში აშენდა მინისქვეშა ქალაქი სახელწოდებით „დ-6“, რომელიც მოსკოვის მეტროპოლიტენზე ფართო ქსელი აქვს. ამ საიდუმლო გვირაბების შესახებ დღემდე ბევრი მითქმა-მოთქმა დადის. ამ გვირაბებით ერთმანეთს უკავშირდება კრემლი, ფსბ-ს შტაბ-ბინა და აეროპორტი ვნუკოვო.

5. ჯენტლმენების კლუბი „ვაითი“ - „ვაითი“ ყველაზე ექსკლუზიური კლუბია ინგლისელი ჯენტლმენებისათვის. ის 1693 წელს შეიქმნა იტალიელმა ფრანჩესკო ბიანკომ და იქ ცხელ შოკოლადს ყიდდნენ. კლუბის ექსკლუზიურობა დღემდე შენარჩუნებულია. ამ კლუბში შეკრებილი ჯენტლმენები უცნაურ ნიძღავეებს დებენ, ყველაზე პატარა ფსონი კი 3000 ფუნტიდან იწყება; თუ არ ხართ ძალიან გავლენიანი პერსონა პოლიტიკაში ან ხელოვნებაში, არასოდეს მოგიწევინებს ამ კლუბში.

6. ზონა 51- ზონა 51 ამერიკული გასაიდუმლოებული ბაზის ფსევდონიმია, რომელიც ნევადას შტატის სამხრეთით, ლას-ვეგასიდან 133 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ამ ბაზაზე ხდება ექსპერიმენტული თვითმფრინავების და ახალი სამხედრო ტექნიკის შექმნა და გამოცდა. ის, ასევე, უცხოპლანეტელებზე დაკვირვებისა და შესწავლის ყველაზე დიდ ცენტრს წარმოადგენს. ამ ზონის სიახლოვეც კი სერიოზულ პრობლემებს უქმნის ადამიანებს.

7. №39 - №39, იგივე 39-ე ბიურო, ჩრდილოეთ კორეის ყველაზე დახურული ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაცია 1970 წლის ბოლოს შეიქმნა. ამბობენ, რომ იგი დაკავებულია ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდით. ამ ორგანიზაციაში შედის 120 სავაჭრო კომპანია, რომელთა იურიდიული და ფინანსური დოკუმენტაცია ყოველთვის წესრიგშია.

8. ისეს ტაძარი - იაპონიაში ისეს ტაძარი ყველაზე წმინდა ადგილია. ტაძარი ყოველ 20- წელიწადში ინგრევა და თავიდან შენდება. შემდეგი მისი აღდგენა 2013 წელს მოხდება. ამ ტაძარში შესვლის უფლება მხოლოდ ძალიან წმინდა ადამიანს ან იაპონიის იმპერატორის ოჯახის წევრებს აქვთ.

9. სამხედრო ბაზა „რაფ“ - ბრიტანული სამხედრო ბაზა გლობალური აგენტურის ქსელის ერთ-ერთი

ყველაზე დასაყრდენი წერტილია. ამ ბაზაზე არსებობს სრულიად დამოუკიდებელი თანამგზარვრული ცენტრი, რომლის სიგნალებს ვერც ერთი ქვეყანა ვერ აკონტროლებს. ამბობენ, სწორედ აქედან ხდება მნიშვნელოვანი სატელეფონო ზარების და რადიოტალღების კონტროლი.

ბატონებო! - ტაში შემოჰკრა და ყურადღება მოითხოვა ლუდამ, - მაგაზე საინტერესო კიდევ ისაა, რომ ისტორია სპირალურია და ის, რაც ჩვენ მომავალში გველის. შორეულ წარსულში უკვე მოხდა, და არა ერთხელ, ეს შეეხება ყბადაღებულ „გლობალურ დათბობასაც“, რომლის საზარელი შედეგებით, მეცნიერები, აგერ უკვე ორი წელია, გვაშინებენ, მათი მტკიცებით, ამ უბედურების, გარდაუვალი აპოკალიფსის მიზეზი ჩვენ თვითონ ვართ, ვინაიდან არ ვუფრთხილდებით ბუნებას და ვაბინძურებთ გარემოს. ინდუსტრიული ცივილიზაციის გვერდით მოვლენებს აუცილებლად მოჰყვება კლიმატის შეცვლა, გლობალური დათბობა, მსოფლიო წარღვნა, გამყინვარება, თითქმის, სიცოცხლის მოსპობა... არადა, მოვლენათა ასეთი განვითარება სულაც არ არის სიახლე. როგორც ჩანს, მსგავსი მოვლენები არაერთხელ მომხდარა დედამიწის „სპირალურ“ ისტორიაში. როგორც მკვლევარებმა დაადგინეს, 55-მილიონი წლის წინ, ჩვენს პლანეტაზე ზუსტად ასეთი მოვლენები დატრიალდა, როგორიც გვინახავს ჰოლიოკენში გადაღებულ ფილმში - „,ზეშ“.

მაშინაც ზუსტად იგივე სცენარი იყო, როგორც გლობალური დათბობის შედეგად გველის: დედამიწის საერთო ტემპერატურის მატებამ გამოიწვია არქტიკული და ანტარქტიკული ყინულების დნობა, ატლანტის ოკეანის წყლებს ცივი წყლის უზარმაზარი მასები შეერიო, რამაც თბილი დინების - მიმართულება შეცვალა. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას ეკვატორიდან სით-

ბოს მიწოდება შეუწყდათ და არქტიკული ყინულები შემოერტყათ გარს.

ასე იყო მაშინ, 55-მილიონი წლის წინ და, ასე იქნება მომავალშიც, განსხვავება მხოლოდ ერთია - ძველად გლობალური დათბობა ვულკანური აქტივობის ზრდამ გამოიწვია; ხოლო, ახლა ამის მიზეზი ადამიანის მიერ გარემოს დაბინძურება გახდა უამრავი და უმართავი სპეციალობებით, რამეთუ ახლა, მსოფლიოში საინტერესო პროფესიების გვერდით, უცნაური პროფესიებიც ჩნდება:

10. ქოქოსის პალმების უსაფრთხოების სპეციალისტი: იმისათვის, რომ ვირჯინიის კუნძულები სამოთხეს დაემსგავსოს, საჭიროა უსაფრთხოების ნორმების დაცვა; მაგალითად, იმ დროს, როდესაც ქოქოსის პალმებიდან მწიფე ნაყოფი ვარდება, ამით „სამოთხის სტუმრები“ არ უნდა დაზარალდნენ, რომლებიც სიცხეს სწორედ პალმების ქვეშ აფარებენ თავს. ქოქოსის პალმების დაცვის უსაფრთხოების სპეციალისტი კერძო სასტუმროების ტერიტორიებზე პალმებს აკონტროლებს და იმ ნაყოფს, რომელიც უკვე შეიძლება ჩამოვარდეს, წინასწარ კრეფს.

11. საღებავის გაშრობის სპეციალისტი: ეს სპეციფიკური პროფესია ადვილი არ გეგონოთ; ადამიანს ხელში უჭირავს ტაიმერი და აკონტროლებს, გაშრა თუ არა საღებავი. სამაგიეროდ, შემდეგ ამ წესით შეღებულ ნივთებს ზედ აწერია, რომ მის გაშრობაზე სპეციალურმა ადამიანმა იზრუნა.

12. წინილების სქესის დამდგენი: ეს, წინა ორ პროფესიასთან შედარებით, უფრო გავრცელებულია. ამ პროფესიის ადამიანები ერთმანეთისაგან აცალკევებს მომავალ დედლებს და მამლებს. თითოეულ წინილას ინდივიდუალური შესწავლა სჭირდება, სქესი რომ დადგინდეს. ეს სპეციალისტები, დიდ ფერმებში,

საკმაო პოპულარობით სარგებლობენ.

13. კვერცხების გამტეხი: ძალიან უცნაური პროფესიაა. ეს სპეციალისტი ერთმანეთისაგან არჩევს სალ და დაზიანებულ კვერცხს. ავტომატურად ამის გაკეთება ვერ ხერხდება; ამ სპეციალისტის წყალობით კი, კონტეინერებში, რომლებიც გასაყიდად გამოდის, გაბზარული კვერცხი არ ხვდება.

14. კოლოების დამჭერი: ამ პროფესიის ადამიანები არა მარტო იჭერს კოლოებს, არამედ ელოდება იმ ეტაპს, სანამ მას სხეულზე დააჯდება და სისხლის წოვას დაიწყებს. მხოლოდ ამის შემდეგ იჭერს კოლოს და იწყებს მის შესწავლას, რათა დადგინდეს, როგორ შეიძლება მალარიისაგან ადამიანების განკურნება. კოლოების დამჭერის დღიური რეკორდი 3000 კოლოა.

- კოლოები კი, მაგრამ ადამიანების დაჭერა და არა-ადამიანური პირობები საბჭოთა ციხისა... - ღიმილით გადმოგვხედა სვეტამ;

- სამაგიეროდ, ყველა ადამიანურ რესურსს აკმაყოფილებს შვეიცარიის ციხე; ხოლო, ნორვეგიაში ტყეში ააშენეს ყველაზე მდიდრული ციხე - „ჰალდენ ფენგსელი“, სადაც მაცივარი და ტელევიზორი არავის უკვირს. გარდა ამისა, პატიმრებისათვის სავარჯიშო და დასასვენებელი ადგილებია გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ ციხეს გისოსებიც არ აქვს, რადგან იქიდან გაქცევას არც ერთი პატიმარი არ მოისურვებს. ციხის ზედამხედველების უმრავლესობა კი შეუიარაღებელი ქალბატონია...

- ეს, მართლაც, საოცრებაა - აღფრთოვანება ვერ დაფარა, მეგობარი გოგონას მნიგნობარობით სვეტამ, - თუმცა, არც იმხელა, როგორიც მსოფლიო საოცრებები და ღირსშესანიშნაობებია...

- მაგრამ, არსებობენ ცუდი ღირსშესანიშნაობებიც, - საუბარში ისევ გოგონები პაექრობდნენ, - მაგალით-

ად:

15. პიზას კოშკი იტალიაში - ჩვენ სკოლის წლებიდან ვიცით, რომ არსებობს გადახრილი კოშკი და ძალიან მოგვწონს მისი გამოსახულება. მეგობრების ალბომებში კი ხშირად შეიძლება იპოვოთ დახრილ კოშკთან გადაღებული სურათები, თითქოს მათ კოშკი ეცემათ თავზე. ტურისტების შთაბეჭდილებებს თუ ვენდობით, პიზას კოშკი ყველაზე საინტერესო სულაც არ არის იმ სანახაობებს შორის, რასაც იტალია გთავაზობთ. მოგზაურები იტალიაში ყველაზე მეტად აფასებენ ქალაქ სანჯიმიანოს, სადაც ძალიან ბევრი მუზეუმი და არქიტექტურაა,

16. ბრაზილიის რაიონი კოპაკაბანა - მსოფლიოში ცნობილი კოპაკაბანას პლაჟის მთავარი მინუსი ის არის, რომ 1970 წლიდან მოყოლებული, ამ პლაჟს გვერდით ჩაუყვება ექვსზოლიანი ტრასა. დღეისათვის კოპაკაბანა მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონია; მოსახლეობა კი ძალიან მრავალფეროვანია - მათხოვრები, ხულიგნები, ამაყი ადგილობრივი მაცხოვრებლები, გიჟები, რომლებიც ხშირად პრობლემას უქმნიან ტურისტებს. კოპაკაბანას გვერდით არსებობს ადგილი იპანემა, რომელიც გაცილებით უკეთესი და უსაფრთხოა რიო დე ჟანეიროში.

17. მცურავი სოფელი უროსი - პერუში, ტბა ტიტიკაკაზე მცურავი სოფელი უროსი არსებობს. ტურისტულ მარშრუტებში ეს ადგილი ყოველთვის დიდი მოთხოვნით სარგებლობს; თუმცა, რეალური სანახაობა არც-არააფერია, გარდა სოფლის მცხოვრებლებისა, რომლებიც ცდილობენ, ტურისტები გაართონ და მათგან ფული იშოვონ. გაცილებით საინტერესო სანახავია უმაიოს ტბა, სადაც კარავში რამდენიმე დღით ცხოვრება დაუვიწყარ შთაბეჭდილებას გპირდებათ.

18. ჰოლივუდის ვარსკვლავების ბულვარი - რა ხი-

ბლი უნდა ჰქონდეს ამერიკის ქალაქის ჩვეულებრივ ტროტუარს?! მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი პოპულარული ადამიანის ვარსკვლავია გახსნილი, ის მაინც ჩვეულებრივ ქუჩას წარმოადგენს, სადაც ძაღლები და კატებიც კი თავისუფლად დადიან. ვენის ბიჩი, სადაც ნამდვილ სერფინგისტებს, ჰიპებსა და კალათბურთის ვარსკვლავებს შეხვდებით.

19. ბლარნის ციხესიმაგრე ირლანდიაში - ციხესიმაგრე იმითაა ცნობილი, რომ იქ არსებობს ქვა, რომლის კოცნაც ბედნიერებას მოგიტანთ; თუმცა, გადაიხადოთ იმაში, რომ აკოცო ქვას, რომელსაც მილიონობით ტურისტი ჰკოცნის, მიზანშეწონილი არ არის. უკეთესი იქნება თუ მოინახულებთ ციხესიმაგრე კახირს, სადაც შესვლა ოთხჯერ ნაკლები ღირს და ორი საუკუნით უფრო ძველია, ვიდრე ბლარნი.

20. თაიმს სკვერი - ეს ადგილი საკმაოდ საეჭვოა თავისი რეპუტაციის გამო; თუ თქვენ სათამაშოების მაღაზიის მოყვარული ხართ, გიზიდავთ დიდი სარეკლამო აბრები, კი ბატონო, ისიამოვნეთ; თუ გსურთ ნამდვილი ნიუ ორკის ნახვა, მაშინ ქვედა ისტ საიდი მოინახულეთ, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამზარეულო, უჩვეულო მაღაზიები და კომფორტული ბარებია თავმოყრილი.

21. ბონდი ბიჩი ავსტრალიაში - ეს ადგილი მხოლოდ თავისი პლაჟითაა ცნობილი, სხვა ღირსშესანიშნაობა იქ არ არის. უკეთესი იქნება, თუ მენლის რაიონში წახვალთ, სადაც სახლებიც ლამაზია და პლაჟიც.

22. ლას ვეგასი - ეს არის ადგილი, სადაც კაზინოებს ფულის სუნი ასდით, ქალაქში ძვირფასი პარფიუმის სუნი ტრიალებს. ლას ვეგასი კინო ფილმებში წარმოჩნდება განსაკუთრებულად ეფექტურად, საერთო ჯამში კი, ეს ყველაფერი ერთი დიდი კაზინოა და თან კარგი სატყუარა ტურისტებისათვის, სადაც მათი ჯიბეები

ელვის სისწრაფით ცარიელდება.

- გასაკვირი არაფერია, ჩვენი საბაზრო ეკონომიკით, თითოეული საბჭოელის ჯიბე, ლას ვეგასის უნახავადაც, მუდმივად ცარიელია!

ყველაფრის თავი და თავი კი, თითოეული ჩვენთაგანის წაყრუებაა...

- რატომ გენადი ვასილის-ძევ? ჩვენ ვებრძვით ფორმალიზმს?

- ისევ ფორმალურად! - დამგესლა მასპინძელმა.

- არა! - ვიძალე მე, - დიდ ყურადღებას ვუთმობთ პრობლემებს, რამეთუ, სინამდვილის უპრობლემო ჩვენებამ ცუდი სამსახური გაგვინია, ერთმანეთს დააშორა სიტყვა და საქმე, ეს ჩვენ ვიცით და დღეს სწორედ ამ მიმართულებით მივდივართ, ამიტომაც დავინწყეთ გარდაქმნა...

- მეგობარო! ჩვენ ჩვენი ქვეყნის სიკეთე გვინდა, ამიტომაც ვსაუბრობთ დაუფარავად, თქვენ და ჩვენ ერთ სიბრტყეზე ვართ, იმედია ეს სალი აზრი გაიმარჯვებს, ერთი რამ კი მართლაც მაინტერესებს, როგორი ტურბინებით აგებთ რაკეტულ ბაზებს, მე მასეთივეს ბაიკანურში ვაგებდი, შენი ხნის რომ ვიყავი, თმაქოჩრიანი ჭაბუკი ჯარისკაცი, თუმცა ვიეტნამის ომის მონაწილეც ვარ... - ინტერესით აღსავსე თვალები მომაპყრო გენადიმ.

- თუ მასე გაინტერესებთ, გაგიგებთ და მომავალი შეხვედრის დროს მოგახსენებთ...

- დიდად დამავალეხთ ჩემო ახალგაზრდა მეგობარო. მართალია წლები მიფრინავს, მაგრამ ინტერესი როდი ქრება... ძალიან მიზიდავს სამხედრო და ომის სცენები; ჩემი საყვარელი ფილმებია: „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ და „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია...“, ამ ფილმში კლოსი, რასაკვირველია, კრებითი სახეა, მაგრამ მას ჰყავდა რეალური პროტო-

ტიპი. მისი გვარია სტეფანსკი, მეჩისლავ სტეფანსკი. ისე ნამდვილი კლოსის ისტორია კი ბევრად განსხვავდება ფილმის გმირის თავგადასავლებისაგან.

მეტეკსა და ჩესიას პირველი ნახვისთანავე შეუყვართ ერთმანეთი. ჩესია მდიდარი გლეხის ქალიშვილი იყო, მეტეკი უკრაინაში, როვნოში მსახურობდა. ცუკვებზე მან უმაღლ შენიშნა მაღალი, ლამაზი ქალიშვილი, რომელიც თვალებით პირდაპირ ჭამდა. მეტეკი მას გამოელაპარაკა. ისინი მყისვე შენობით მიმართვაზე გადავიდნენ. საღამო ერთად გაატარეს. შემდეგ, პოლონეთის არმიის კაპრალმა მეჩისლავ სტეფანსკიმ ჩესიას სახლამდე გაცილება შესთავაზა. გოგონა დათანხმდა. მეორე დღისთვის კი, პაემანზე შეთანხმდნენ. მისულმა ჩესიამ დას ყოველივე უამბო.

- შენ ის გიყვარს?

- ის ჩემი ბედია, დავინახე თუ არა, ვიგრძენი, რომ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილნი.

მალე მეტეკი და ჩესია დაქორწინდნენ. სტეფანსკი როვნოში დამკვიდრდა. ცოტა ხანში მათ პირველი ვაჟი შეეძინათ, შემდეგ - მეორე. არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც თუნდაც მცირედ წაკინკლავებულყვნენ. იდილია 1939 წლის 1 სექტემბერს დაირღვა, როდესაც გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. მეტეკი, როგორც თადარიგში გასული კაპრალი, ფრონტზე გაიწვიეს. სიძეს, ჩესიას მთელი ოჯახი თვალცრემლიანი დაემშვიდობა.

გერმანელებმა დაიკავეს ვარშავა, დასავლეთ უკრაინაში კი რუსები შევიდნენ. როვნოზე წითელი დროშა აღიმართა. ქმრისაგან არც ავი ისმოდა და არც კარგი. ჩესიამ არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს გადაწყვიტა, როვნოში დარჩენილიყო. ერთხელ, როდესაც მაღაზიაში პურის საყიდლად წავიდა, მის წინ მანქანა გაჩერდა, იქიდან სამოქალაქო კოსტიუმში გამოწყობილი

მამაკაცი გადმოვიდა.

- პანი სტეფანსკა ბრძანდებით? - მამაკაცი პოლონურად საკმაო აქცენტით ლაპარაკობდა, - ჩვენთან უნდა წამობრძანდეთ, მე შინსახკომიდან ვარ.

შინსახკომში ჩესიას ახალი სიუპრიზი ელოდა. ის ერთ კაბინეტში შეიყვანეს. სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა ანიშნა, სავარძელში ჩამჯდარიყო. შემდეგ კი ტელეფონის ყურმილს დასწვდა - შემოიყვანეთ პატიმარი!

რამოდენიმე წუთში კარი გაიღო და გუშაგმა პატიმარი შემოიყვანა. ჩესიამ შეხედა და შეჰკვივლა. მის წინ მეტეკი იდგა.

გავიდა ორი თვე. მეტეკი და ჩესია სახლში მარტონი იყვნენ. ჩესიას დედა სოფელში ნათესავებთან წავიდა და ბიჭებიც თან წაიყვანა.

- რას გაჩუმებულხარ? - მეტეკი მოთმინებას კარგავდა, - მგონი, შეიშალე.

- თუ მაშინ არ გავაფრინე, როდესაც შინსახკომში პატიმრის სტატუსით გნახე, რა გამაგიჟებს?

- მიეცი თანამშრომლობის ხელწერილი?

- ჰო, მივეცი, ისევე როგორც შენ.

- და რა დაგავალეს?

- შენზე თვალყურის დევნება.

- ასეც ვიცოდი, მეტეკმა ამოიოხრა, - საშინელებაა.

- ორივე დავთანხმდით აგენტობას, რადგან სხვაგვარად არ გაგვათავისუფლებდნენ, დედასა და ბიჭებს კი ციმბირში უკრავდნენ თავს!

მეტეკი დუმდა...

- ახლა, ორივენი რუსეთის აგენტები გავხდით, რადგან სხვაგვარად თავსაც დავიღუპავდით და ოჯახსაც. რა მეტსახელი მოგანიჭეს?

- ლვოვსკი.

- მე კი - მურკა, - ჩესიამ მწარედ ჩაიციინა.

1941 წლის 22 ივნისს, გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს 30 ივნისს გერმანელებმა ქ. ლვოვი დაიკავეს. სავალალო მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ უკრაინაში; 1942 წელს მთელი უკრაინული პოლიცია უპა-ს შეუერთდა, მათ ნაცვლად გერმანელებმა პოლონელებს უხმეს. იმავდროულად, პოლონური ჯგუფები, რომლებიც ომამდე რუსების კონტროლქვეშ მოქმედებდნენ, ახლა გესტაფოს დაქვემდებარებაში გადავიდნენ. როგორც კი დასავლეთ უკრაინაში საბჭოთა პარტიზანები გამოჩნდნენ, გესტაფომ მითითება მისცა პოლონურ იატაკქვეშელებს, შესულიყვნენ მათთან კავშირში. გერმანელთა გათვლა მარტივი იყო: რუსები შეშფოთებულნი იყვნენ უკრაინული ნაციონალიზმის აზვირთებით, შესაბამისად პოლონელებს ანტიუკრაინული აქციების ორგანიზებას მოსთხოვდნენ. ეს კი გაამძაფრებდა პოლონურ-უკრაინულ მტრობას. გერმანული ოკუპაციის შემდეგ, არალეგალური ჯგუფი, სადაც მეტეკი და ჩესია შედიოდნენ, გესტაფოს დაქვემდებარებაში მოექცა. გესტაფოს მფარველობამ მეტეკს საშუალება მისცა, მეზუფეტედ მონყობილიყო გებ-ის კომისარიატში, ხოლო ჩესიამ ძეხვის ფაბრიკაში შავ მუშად დაიწყო მუშაობა.

1942 წლიდან, როვენშჩინაზე საბჭოთა პარტიზანები გამოჩნდნენ. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა უშიშროების პოლკოვნიკი დიმიტრი მედვედევის რაზმი. მისმა საცეცებმა მოიცვა როვნო, სარნი, კოველი, ლუცკი, ზდოლბუნოვო. გერმანელებიც მოითხოვდნენ მეტეკისაგან: „გადიტ კონტაქტზე რუსებთან, ხოლო შემდეგ კი ჩვენ ყველაფერი მოგვახსენეთ!“.

მედვედეველები თავად გამოვიდნენ კონტაქტზე. სტეფანსკი საგანგებოდ ინახულა მედვედევის აგენტმა შევჩუკმა. კავშირიც აღსდგა. იდგა 1943 წელი.

- გერმანელებს ყველაფერი მოახსენე? - შეეკითხა ჩესია.

- ნაწილობრივ.

- რა გვეშველება?

- უნდა გადავრჩეთ. გერმანელები უნდა გავაცუროთ და რუსებზე ვიმუშაოთ.

ცოლ-ქმარი ასეც მოიქცა. მედვედეველები კარგა ხანს უკირკიტებდნენ. შვეჩუკი ინტენსიურად აძლევდა მეტეკსა და ჩესიას საკონტროლო დავალებებს. შემდეგ სტეფანსკებთან კონტაქტზე მედვედევის სპეცაგენტი კუზნეცოვი გავიდა. კუზნეცოვი გერმანულ ფორმაში იყო გამონყობილი. ჩესიამ სტუმრებს სუფრა გაუშალა; როდესაც ისინი წავიდნენ, ქმარი გვერძე გაიხმო:

- ამ კაცს უფრთხილდი, ის მზვერავი არაა, მკვლელია! პროფესიონალი მკვლელია!

ერთ დღეს მეტეკი შინ შემფოთებული მოვიდა, ჩესიას თვალში მოხვდა მისი მიტკალივით გაფითრებული სახე

- მედვედეველები გენერალ ილგენის მოტაცებას აპირებენ

- საშინელებაა! გესტაპო მთლად გაგიჟდა.

- ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ამ აქციაში მეც უნდა მივიღო მონაწილეობა. ასე ბრძანა პოლკოვნიკმა მედვედევმა. შენ და ბიჭები ხვალ რაზმში წახვალთ. მედვედევის ხალხი შემპირდა, თვითმფრინავით დიდ მიწაზე გადაგიყვანთო.

- რუსეთში უნდა გადაგიყვანონ?

- აქ დარჩენა საშიშია.

- მე შენ არ მიგატოვებ! ბიჭები პატარები არიან და აქაურობას უნდა მოვაცილით. დაე, თვითმფრინავით რუსეთში გადაიყვანონ, მე კი შენ არ მიგატოვებ!

შემპყრობი ჯგუფის შემადგენლობა, რომელსაც

ილგენი უნდა მოეტაცა, თავად მედვედევმა დაამტკიცა. მასში შედიოდნენ: კუზნეცოვი, კამინსკი, სტრუტინსკი და სტეფანსკი. ილგენის ეკონომისტი ლისოვსკაია მედვედევის აგენტი იყო. სწორეს მას უნდა შეეშვა სახლში ტერორისტები.

- ხვალ გენერალს მოვიტაცებთ, - მეტეკმა ნერწყვი გადაყლაპა, მითხარი, ჩესია, გიყვარვარ? არ ნანობ, რომ ჩემი ცოლი გახდი? შენ ხომ ჩემს გამო აღმოჩნდი ამ ბინძურ თამაშში.

- არ ვიცი, - ჩესიას ენა დაება, - მაგაზე არ მიფიქრია. პასუხს თავად ცხოვრება გაგცემს.

გენერლის მოტაცების ოპერაცია ბოლომდე ვერ განხორციელდა. ლისოვსკაიამ, მართლაც, შეუშვა სახლში ტერორისტები, მაგრამ მოულოდნელად ილგენმა მათ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. გენერალი თავში კონდახის ჩარტყმით გააბრუეს, მანქანაში ჩატენეს, შემდეგ კი როვნოს მახლობლად მდებარე ხუტორ ჩესკაია კვასილოვოში მიიყვანეს, სადაც პარტიზანთა ბაზა იყო. იქ კუზნეცოვს მოახსენეს, გერმანელებმა მთელი გზები გადაკეტეს და ილგენის რაზმში გადაყვანაც ვერ მოხერხდებო. კუზნეცოვმაც მიიღო გადაწყვეტილება და იქვე, საკუთარი ხელით დახვრიტა გენერალი ილგენი.

მეტეკი როვნოში დაბრუნდა. ის იან კამინსკის ბინაზე მივიდა. საუბარმა კარგა ხანს გასტანა. კამინსკიმ უთხრა:

- ფრთხილად იყავი, გესტაპოელები მართლაც გაცოფდნენ და ყველას იჭერენ.

- შინ უნდა დავბრუნდე, - მეტეკმა ამოიოხრა, - არა მგონია, გესტაპომ პირველად მე მომაკითხოს. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, ფანჯრის რაფაზე ყვავილის ქოთანი იდგმება. მეც ჩესიას წამოვიყვან და ორივენი ერთად პარტიზანებს შევუერთდებით. მომხ-

დარის შემდეგ როვნოში აღარცერთს დაგვედგომება.

გესტაპოელები ანაზდად დააცხრნენ. ჩესიამ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ უხეში ტლანქი ხელები სწვდა და სკამზე დააგდეს. ქალმა მალულად საათს შეხედა. მეტეკის მოსვლამდე სულ ათი წუთი რჩებოდა. ჩესიას თვალები ცრემლებით ავესო. ქოთანი ფანჯრის რაფაზე დევს. მეტეკიც უშიშრად შემოვა სახლში და ამ მხეცებს ჩაუვარდება ხელში. ქალმა გულზე იტაცა ხელი.

- წყალი, - რამოხდა ჩესიას.

გესტაპოელმა დამცინავად გაიღიმ, შემდეგ გრაფინიდან წყალი ჭიქაში დაასხა და ქალს მიაწოდა. ანაზდად, სწრაფი მოძრაობით გესტაპოელს სახეში წყალი შეასხა. წამოხტა, ერთი ნახტომით რაფასთან გაჩნდა და ქოთანს მთელი სხეულით დაეჯახა. ქოთანი ქუჩაში გადავარდა და დაიმსხვრა...

როვნო საბჭოთა უკრაინის შემადგენლობაში შევიდა. სტეფანსკი, რომელიც ომის ჯოჯოხეთს გადაურჩა, პოლონეთში გადასახლდა. მან ბევრი გააკეთა პოლონეთში პრორუსული რეჟიმის დასამყარებლად. როვნოში გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩავიდა, როგორც ომის ვეტერანი. ერთ-ერთ ქარხანაში შეხვედრაზე მიიწვიეს. სტეფანსკი დათანხმდა, მანამდე კი ქალაქის დათვალიერება ისურვა. დიდხანს დახეტილობდა როვნოს ქუჩებში. ქალაქი ამ ხნის მანძილზე მართლაც ძალიან შეცვლილიყო, თუმცა სტეფანსკისათვის ის მაინც მსოფლიოში ყველაზე ახლობელ ქალაქად რჩებოდა. ჩესიას ხომ იქ შეხვდა. მეტეკი შედგა და ცრემლი მოიწმინდა.

- ბაბუ ცუდად ხართ?

სტეფანსკიმ თავი აწია. მის წინ ახალგაზრდა შავგვრემანი უკრაინელი გოგონა იდგა.

- არაფერია, შვილო.

- მაშ რატომ ტირით?

- ჩემი ახალგაზრდობა და სიყვარული გამახსენდა. ცხოვრება რთული რამაა, ხოგჯერ ისეთი რამეების გაკეთება გვიხდება, რომ... რომ ადამიანი სუსტი არსებაა, სუსტი და ცოდვილი, თუმცა, ნამდვილი სიყვარული ყველაზე ცოდვიან გარემოსაც გაუძლებს; ამაში აქ, ამ ქალაქში დავრწმუნდი...

დიახ, სწორედ სიყვარულის თანაფარდობაა აყვანილი ზენიტში; „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვებით“ ვალტერ შელენბერგი, მართლაც, საოცარი ბედის პიროვნება იყო..

„დავიბადე 1910 წელს, მეტისმეტად ადრეა იმისათვის, რათა სრულად განმეცადა პირველი მსოფლიო ომის საშინელება“, - წერს შელენბერგი თავის მემუარულ წიგნში „ლაბირინთი“.

დაზვერვის მომავალი შეფის მშობლები შეძლებული ადამიანები იყვნენ. შელენბერგის მამა როიალების მწარმოებელი ფაბრიკების მფლობელი იყო. მას შვიდი შვილი ჰყავდა; ვალტერი ყველაზე უმცროსი იყო. მან ევროპული განათლება მიიღო, დაამთავრა ბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თავისუფლად ფლობდა ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს; იყო ბრწყინვალე სპორტსმენი, უყვარდა ხელოვნება, მუსიკა, განსაკუთრებით პოეზია.

1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტები მოვიდნენ. ინტელიგენტი და განათლებული შელენბერგი ირონიულად ეკიდებოდა მათ; თუმცა, ამან ხელი არ შეუშალა ჰიტლერული პარტიისა და სს-ის წევრი გამხდარიყო. ნაციონალ-სოციალისტური პარტია მუშათა პარტია გახლდათ. კომპარტიის მსგავსად, ის მუშათა მოძრაობიდან ამოიზარდა. კომუნისტებს მემარცხენე ექსტრემისტებს უწოდებდნენ, ჰიტლერელებს - ულტრა-მემარჯვენეებს.

კომუნისტების მსგავსად, ნაცისტებიც ადამიანის ქვენა გრძნობებზე თამაშობდნენ. შესაბამისად პარტიის ძირითადი კონტინგენტიც მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ხალხი იყო და მათ უმრავლესობას მხოლოდ საშუალო განათლება გააჩნდა; გამომდინარე აქედან, კანონზომიერია, რომ ჭკვიანმა და უმაღლესი განათლების მქონე შელენბერგმა ძალიან მალე მიაღწია მაღალ მდგომარეობას .

თავდაპირველად ის სს-ის ნევრებს ლექციებს უკითხავდა. ამან ძალიან გაზარდა მისი პოპულარობა. შელენბერგს ყურადღება თავად უშიშროების შეფმა რანჰარდ ჰეიდრიხმა მიაქცია. მან შელენბერგს თავისთან მუშაობა შესთავაზა და დაიყოლია კიდეც. როგორც ჩანს, მოეწონა ახალგაზრდა, ლამაზი და კულტურული მამაკაცი.

ასე დაიწყო შელენბერგის კარიერა დაზვერვაში. ჰეიდრიხი ხშირად პატიჟებდა მას შინ. სწორედ ამ დროს გაიცნო ჰეიდრიხის მეუღლე ლინა ფონ ოსტენი. „ეს იყო ნორდული ყაიდის მზეთუნახავი, რომელიც ქმარს დათრგუნული“, - წერს შელენბერგი.

ფრაუ ჰეიდრიხმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შელემბერგს. სთხოვა, კვლავ სწვეოდა სტუმრად. შელენბერგი თავაზიანად დაემშვიდობა, თუმცა, ჰეიდრიხებთან შინ მისვლა არც უფიქრია. დაზვერვის შეფის ცოლთან ზედმეტი დაახლოება ხომ მისთვის საშიში იყო. გავიდა რამოდენიმე კვირა, ფრაუ ჰეიდრიხმა დაურეკა და სთხოვა, მათთან მისულიყო. შელენბერგი დათანხმდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა. მაშინ მას თავად ჰეიდრიხი დაუკავშირდა და შინ დაპატიჟა.

გაიშალა სუფრა; შემდეგ, ჰეიდრიხმა ვიოლინოზე დაუკრა.

- რა შესანიშნავად უკრავთ, - აღმოხდა შელენბერგს. ლიზამ საუბარი ბეთჰოვენის შემოქმედებაზე ჩამო-

აგდო. ჰეიდრიხი მუსიკის კარგი მცოდნე აღმოჩნდა, თუმცა შელენბერგამდე ბევრი აკლდა. შეფი მდუმარედ უსმენდა ხელქვეითის საუბარს. შელენბერგი აზარტში შევიდა და ვერ შენიშნა, რომ მთელი საათნახევარი ილაპარაკა.

- მაპატიეთ, მგონი, თავი შეგანწყინეთ.

- ჩინებული ლექცია იყო, - გაიღიმა ჰეიდრიხმა, - იცით, რომ ლინა მეხვეწება, კონცერტზე წავიყვანო, მაგრამ ძალიან დაკავებული ვარ. ვალტერ, იქნება თქვენ იკისროთ მისი კავალრობა?

- ჩინებულია! - ტაში შემოკრა ლინამ.

შელენბერგმა ამოიოხრა, შემდეგ ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლილი შუბლი მოიწმინდა.

ფილარმონიიდან ფეხით დაბრუნდნენ. ფრაუ ჰეიდრიხმა ასე ისურვა.

- ვალტერ, ბარში ხომ არ შეგვევლო?

- უხერხული ხომ არ იქნება? თქვენი ქმარი სახელმწიფო სამსახურშია, თქვენ კი ბარში შედიხართ, თანაც უცხო მამაკაცთან ერთად.

- არა უშავრს! წავედით!

ბარში საათნახევარი დაჰყვეს; შემდეგ ლინამ ცეკვა იწება. ქალს თვალები უბრწყინავდა ბედნიერებისაგან, სამაგიეროდ, შელენბერგი იყო მოღუშული. ბოლოს ლინა სახლამდე მიაცილა. დამშვიდობებისას ფრაუ ჰეიდრიხმა ხელი გაუნოდა. შელენბერგი თავაზიანად ეამბორა. ერთი სული ჰქონდა, ეთქვა: „მშვიდობით, ფრაუ!“ მაგრამ თავი შეიკავა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ფრაუ ჰეიდრიხმა კვლავ დაურეკა და თეატრში წასვლა შესთავაზა. „დალაზეროს ეშმაკმა, გუნებაში გაიფიქრა შელენბერგმა, - თუ ამ ქალთან პაემნებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, ეს აუცილებლად მისი ქმრის ყურამდეც მიაღწევს; აი, მაშინ ნახე სეირი“.

- არ ვიცი, ვნახოთ, უპასუხა ლინას.

შელენბერგი ფეხს ითრევდა; იცოდა, რომ მას გესტაფოს შეფი მიუღერი ვერ იტანდა. თუ ჰეიდრიხის ცოლთან პაემნები სისტემატურ ხასიათს მიიღებდა, ამას გესტაპოს აგენტები აუცილებლად დააფიქსირებდნენ. მიუღერიც უმალ მოახსენებდა ყველაფერს ჰეიდრიხს, ეს კი უცილობელ დაღუპვას ნიშნავდა. მეორე მხრივ, თუ ფრაუ ჰეიდრიხს უარს ეტყოდა, ამით მას სამტროდ გადაიკიდებდა. ლიმა კი ისეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებიც წყენას არავის შეარჩენდნენ, ქალიც ყველაფერს გააკეთებდა, რათა ქმარი შელენბერგის წინააღმდეგ აემხედრებინა. საბოლოოდ, ესეც ჰეიდრიხთან კონფრონტაციით და მისი, შელენბერგის დაღუპვით დასრულდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადანყვიტა, ფრაუ ჰეიდრიხთან შეხვედრები გაეგრძელებინა, თუმცა ეს დანის წვერზე სიარულს ნიშნავდა.

შელენბერგის შიში გამართლდა. მიუღერმა, მართლაც, მოახსენა ჰეიდრიხს მისი ცოლისა და შელენბერგის მეგობრობის შესახებ. „როგორც კი ჰეიდრიხმა ცოლის კულტურული მისწრაფებების შესახებ შეიტყო, ის ეჭვიანი გახდა“, - წერს შელენბერგი ავტობიოგრაფიულ ნიგნში.

მას ერთი სული ჰქონდა, შეენყვიტა ლინასთან ურთიერთობები, მითუმეტეს, რომ „კუდი“ შენიშნა. მიუღერის აგენტები ფრაუ ჰეიდრიხთან ყოველ შეხვედრას ბეჯითად აფიქსირებდნენ; ცხადი იყო ისიც, რომ გესტაპოს შეფმა უკვე ყოველივე დაწვრილებით მოახსენა ჰეიდრიხს. არა, ახლა ლინასთან შეხვედრების შეწყვეტა არ შეიძლება; ეს უფრო გააძლიერებს ჰეიდრიხის ეჭვებს. შელენბერგიც განაგრძობდა შეფის ცოლთან ერთად თეატრებსა თუ ფილარმონიაში სიარულს. ბოლოს ქალმა ტბაზე გასეირნება ისურვა. შელენბერგი

უკმაყოფილოდ დათანხმდა.

ამ შეხვედრიდან თვეზე მეტი გავიდა. ასეც მოხდა, სამაგიეროდ მიუღერი დაუკავშირდა:

ვალტერ, ჰეიდრიხს სურს, ჩვენ სამმა: მე, თქვენ და მან სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმულებმა ქალაქში გავისეირნოთ.

შელენბერგს გულმარეჩხი უყო; მიხვდა, რომ ჰეიდრიხი რალაციონს ამზადებდა, მაგრამ არც უარის თქმა შეიძლებოდა. სალამოს ერთმანეთს შეხვდნენ. სამივემ მოდურ რესტორანს მიაშურა, სადაც საათნახევარი დაჰყვეს.

„ვახშმის შემდეგ, რესტორნიდან გამოვედით და ერთ ფრიად საეჭვო რეპუტაციის სამიკიტნოს მივაღვექით“, - წერს შელენბერგი. ჰეიდრიხი მხიარული იყო, ხუმრობდა და ოხურჯობდა; მიუღერი დუმდა; ხმას არც შელენბერგი იღებდა, გული გამალეებით უცემდა. გრძნობდა, რომ საფრთხე ახლოვდებოდა. მიუღერმა ღვინო შეუკვეთა. ჭიქა შელენბერგსაც მიანოდა. საუბარი, ძირითადად, ჰეიდრიხის პირად თვითმფრინავს ეხებოდა. ამ დროს მიუღერმა წამოისროლა:

- აბა, როგორ მოგეწონათ ტბაზე, კარგად გაატარეთ დრო?

შელენბერგმა ჰეიდრიხს შეხედა. შეფს სახე გაფითრებოდა. ვალტერმა ნებისყოფის

მთელი დაძაბვით თავი მოთოკა და მშვიდად წარმოთქვა:

- ხომ არ გსურთ, გიამბოთ თქვენი მეუღლისა და ჩემი ტბაზე გასეირნების შესახებ?

- ვალტერ, თქვენ, ეს-ესაა, შხამი მიირთვით, - ჰეიდრიხმა პაუზა გააკეთა, მე ღვინოში

შხამი ჩაგიყარეთ. 6-საათის შემდეგ, შხამი მოქმედებას დაიწყებს და თქვენ მოკვდებით.

მე მოგცემთ შხამ საწინააღმდეგო პრეპარატს, თუ

სრულ სიმართლეს მეტყვით, -

თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ჰეიდრიხმა.

შელენბერგმა ძალა მოიკრიბა და დაწვრილებით მოუყვა ფრაუ ჰეიდრიხთან ურთიერთობების შესახებ; როგორც კი დაასრულა, ჰეიდრიხმა წარმოთქვა:

- დავუშვათ, დაგიჯერეთ, მაგრამ პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, რომ ასეთ რამეს აღარ გაიმეორებთ.

- ამ გზით მიღებული პატიოსანი სიტყვა არაფრად ღირს, - შელენბერგის ხმა მშვიდად ჟღერდა; მის სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებულა, - თქვენ, როგორც ყოფილ საზღვაო ოფიცერს, კარგად გესმით, რას ნიშნავს ღირსების ცნება; როდესაც ადამიანს აიძულებენ, ასეთ მდგომარეობაში მისცეს პატიოსანი სიტყვა, ეს ძალადობაა! ამიტომ, დუმილს ვამჯობინებ.

- მარტინი მოიტანონ, - გასცა ბრძანება ჰეიდრიხმა, - დალიეთ, ჩემი ბრძანებით სასმელში შხამსაწინააღმდეგო პრეპარატი გაურიეს, ოღონდ მთელი ჭიქა უნდა გამოსცალოთ.

შელენბერგმა ჭიქა პირთან მიიტანა და ნელა გამოსცალა. შემდეგ ტუჩები ხელსახოცით შეიმშრალა:

- ახლა შემიძლია პატიოსანი სიტყვა მოგცეთ.

- არაა საჭირო, - შეაწყვეტინა ჰეიდრიხმა, - მჯერა თქვენი. ჩავთვალთ, რომ ინცინდენტი ამონურულია!

შელენბერგი სამართლიანად ითვლება მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მზვერავად. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა და განხორციელდა უნიკალური სადაზვერვო ოპერაციები. ომის შემდეგ, ბრიგადენფიურერი (გენერალი) შელენბერგი ნიურნბერგის ტრიბუნალის წინაშე წარდგა. სასამართლომ დაადასტურა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის სამხედრო დანაშაულში. შელენბერგს ბრალად მხოლოდ სს-ის წევრობა წაუყენეს, რადგანაც ეს ორგანიზაცია დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოცხადდა. მას 6 წელი

მიუსაჯეს. განაჩენი, მართლაც, უსამართლო იყო და შელენბერგიც მალე გაათავისუფლეს.

ვალტერ შელენბერგი 1952 წელს ტურინში გარდაიცვალა.

ლინა ოსტენი, ომის შემდეგ, დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა; ის უალრესად საინტერესო მემუარების ავტორი გახდა.

და ვინ იცის, შეიძლება ჩვენზეც დაინეროს საინტერესო წიგნები, ან ჩვენ თვითონვე გამოვცეთ მემუარები! - დაასრულა თხრობა მასპინძელმა.

- ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც, საინტერესო შემოქმედებითი და შემეცნებითი საღამო გამოგვივიდა; თუმცა, ხუმრობით დაღუპულ ბედნიერებაზე მეც მინდა მოგიტხროთ, - თქვა ლუდამ და თვალეები უსასრულობას ისე მიაპყრო, თითქოს ძალიან შორს, რაღაცას კითხულობსო:

ქალი წელა მიაბიჯებდა, კარგად ხედავდა მამაკაცს, რომელიც მისდევდა, ანაზღად შეჩერდა და მკვეთრად შეტრიალდა;

- რატომ მომდევთ?

- იმიტომ, რომ მიყვარხართ.

ქალმა შუბლი შეიკრა, შეეცადა, მკაცრი სახე მიეღო, მაგრამ რაღაც არ გამოუვიდა; შუბლი თავისთავად გაეხსნა, ტუჩებზე კი ღიმილი აუთამაშდა.

- ჭკუაზე ხართ?

- შეყვარებულებს შესაძლებს გვეძახიან, მაგრამ მე ჭკუაზე ვარ.

- მართლა? არ გეტყობათ; უცხო ქალს აედევნეთ, შემდეგ სიყვარულს უხსნით, ეს ნორმალურია?

- არც მთლად მასეა საქმე. თქვენს შესახებ დანვრილებითი ცნობები შევკრიბე.

- ოჰო, მაინც რა?

- თქვენი სახელი და გვარია ღიზა როზენცვიგი,

დაიბადეთ და გაიზარდეთ ბუკოვინაში, ებრაულ ოჯახში, 1919-20 წლების ჩერნოვცის უნივერსიტეტში სწავლობდით, პარალელურად იატაკქვეშა კომუნისტურ მოძრაობაში მონაწილეობდით; უცნაურია, შეძლებული ოჯახის შვილი და კომუნისტი.

- ცნობები, მართლაც, გულმოდგინეთ შეგიკრებიათ, - ფიქრიანად წარმოთქვა ლიზამ, - ესაა სულ?

- არა,.. სწავლობდით ვენისა და პარიზის უნივერსიტეტებში, გახდით ავსტრიის კომპარტიის წევრი და საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელი. დაქორწინებული იყავით ერთ ლუმიწერ კომუნისტზე, მაგრამ გაშორდით.

- ჩინებულია! ახლა მისმინეთ, - ქალმა ჩაიციხა, - თქვენ იაკობ ბლიუმკინი გქვიათ და ყოფილი მემარცხენე ესერი ბრძანდებით. გაქვთ ავანტიურისტის მყარი რეპუტაცია. ეს ხომ თქვენ მოკალით 1918 წელს გერმანიის ელჩი მირბახი. ამის გამო, კინალამ, ომი დაიწყო.

- მე ბრესტის ზავის მოწინააღმდეგე ვიყავი.

- თქვენი ნაბიჯი, ნამდვილად, ავანტიურა იყო. ასე თვლის ყველა, მათ შორის - მეც.

- სამწუხაროა.

- რატომ? ჩემი აზრით, ავანტიურისტი ცუდ რამეს არ ნიშნავს.

- მართლა?

- მამაკაცი ავანტიურისტი უნდა იყო, რასაკვირველია, გარკვეულ ფარგლებში, მზვერავისთვის ეს აუცილებელია. თქვენ ხომ პროფესიონალი მზვერავი ხართ, თანაც უმაღლესი კლასის.

- მე ჩეკისტი ვარ.

- ჩეკისტი შეიძლება იყოს როგორც კონსტრუქტორ-მზვერავი, ასევე მზვერავიც; ასე რომ, ჩვენ კოლეგები ვართ, იაშა, - ლიზას ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა.

- შეიძლება გაგაცილოთ? - ბრიუმკინმა უხერხულად

ჩაიციანა.

- კარგი.
- შეიძლება, ხვალ დაგირეკოთ?
- დამირეკეთ, აი, ჩემი ნომერი.

მეორე დღეს ლიზას ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა:

- გამარჯობა ლიზა! მიცანით?
- გამარჯობა, იაშა.
- უმალ მიცანით, მართალი გითხრათ, მიკვირს; რას აკეთებთ დღეს საღამოს?

- არაფერს.
- მაშ, რესტორანში გეპატიჟებით.
- ვერ წამოვალ.
- რატომ?

- თქვენი აზრით, წესიერი ქალი უცნობ მამაკაცთან ერთად რესტორანში წავა?

- მეგონა, არ ვიყავით უცნობები.
- ჩვენი პირველი საუბარი გუშინ შედგა.
- მაპატიეთ, ლიზა, მაგრამ არაფერი მესმის; თან მეუბნებით, რომ ჩემთან ურთიერთობა გსიამოვნებთ, ამავე დროს, მიპატიჟებაზე უარს მეუბნებით.

- მე მხოლოდ რესტორანში წამოსვლაზე ვთქვი უარი; კულტურულ ღონისძიებებზე კი სიამოვნებით წამოვალ.

- ჩინებულაია! მაშინ, ერთ კაფეში წაგიყვანთ, სადაც პოეტები იკრიბებიან; დღეს საღამოს მათი კოვკისკიც იქნება.

- არ მითხრათ, ვიცნობო.
- ჩემი მეგობარია.
- სად გაიცანით?
- მე მათი კოვკისკისავე ვიცნობ და ესენინსაც, ორივესთან ვმეგობრობ.
- და მათ იციან, რომ ჩეკისტი ხართ?

- რა თქმა უნდა, მეგობრებს არაფერს ვუმაღლავ.
- კი, მაგრამ ესენინთან მეგობრობის გამო უფროსობა არაფერს გეუბნებათ?
- რა უნდა მითხრან?! ჩემი საქმეა, ვისთან ვმეგობრობ, მაშ, მოდიხართ?

- მოვალ.

ლიზა ზუსტად დათქმულ დროს გამოცხადდა პაემანზე. ბლიუმკინი მხიარული ღიმილით შეხვდა .

- მეგონა დაიგვიანებდით.

- ერთი სული მაქვს, სანამ მაიაკოვსკის ვიხილავ, - გაიცინა ლიზამ, - ნავედით.

მალე მოვიდნენ კაფესთან; ეტყობოდა ბლიუმკინს აქ კარგად იცნობდნენ, რადგანაც ყველა მხიარული შეძახილებით შეხვდა. ბლიუმკინმა მხიარულად დაუქნია ხელი, შემდეგ ოფიციალტს მიუბრუნდა:

- მაიაკოვსკი ჯერ არ მოსულა?

- იქა ზის, კუთხეში.

ბლიუმკინმა თავი დაიქნია, შემდეგ ხსენებული მაგიდისაკენ დაიძრა:

- ვალოდია, ვალოდკა! აბა, თუ ბიჭი ხარ, გამიმაგრდი!

ლიზამ დაინახა, როგორ წამოდგა ბლიუმკინის შესახვედრად ვეება მხარბეჭიანი მამაკაცი; ქალმა უმაღიციანო მაიაკოვსკი; საოცარია, მის წინ თავად მაიაკოვსკი იდგა.

- იაშკა, შე ძველო! - და, მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

- ლიზა, აი, ეს გახლავთ ვლადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი, - საზეიმოდ წარმოთქვა ბლიუნსკინმა, - გაიცანი, ვალოდია, ეს ლიზაა, ჩემი მეგობარი.

- სასიამოვნოა, - ლიზამ დაბნეულად გაუწოდა ხელი.

საღამომ მხიარულად ჩაიარა. კაფედან ძალიან გვიან გამოვიდნენ.

- ლიზა, შეიძლება გაგაცილო?
- ჩვენ უკვე შენობით მივმართავთ ერთმანეთს?
- დიახ.
- ძალიან თავდაჯერებული ხარ, იაშა.
- მე შენ ჯადოსნური სალამო გაჩუქე, ამიტომ სრული საფუძველი მაქვს, მადლობის იმედი ვიქონიო.
- კარგი, ვილაპარაკოთ შენობით.
- გაგაცილებ, კარგი?
- გამაცილე რაკი ასე გინდა.
- როგორ მოგეწონა მაიაკოვსკი?
- ძალიან, ძალიან მომეწონა.
- იცი, ის არამარტო პოეტია.
- არ მითხრა ჩეკისტიანო...

ისინი ნელა მიაბიჯებდნენ. ბლიუმკინმა მხარზე მოხვია ხელი; ლიზამ ის არ მოიცილა.

- ღმერთმა დამიფაროს, ვალოდია და აგენტი?! ეს აბსურდია, ლიზა!

- მაშ, შენი გადაკრული სიტყვები რაღას ნიშნავს?
- მაიაკოვსკი ბრწყინვალე ბილიარდისტია და სამართლიანად ითვლება ბილიარდის მეფედ. ასეთად აღიარებენ მას მთელ საბჭოეთში.
- მისი აღნაგობის კაცი კარგი მოკრივე იქნებოდა.
- ლამაზი კაცია მაიაკოვსკი, სიყვარულიც ორიგინალურად ამიხსნა, ლექსით.
- იცი, კიდევ რომ გაემეორებინა, აუცილებლად დუელში გამოვიწვევდი.

ლიზი შედგა.

- შენ რა, ეჭვიანობ?
- როდესაც გიყვარს, მუდამ ეჭვიანობ.

ანაზდად, ბლიუმკინი მაჯაში სწვდა ქალს და თავისკენ მიიზიდა, ლიზამ სცადა ხელის განთავისუფლება.

- გამიშვი იაშა.
- არავითარ შემთხვევაში.

- გამიშვი, თორემ ვიყვირებ.

იაშამ გაიცინა და ქალის ტუჩებს დაუწყო ძებნა. ლიზა მთელი ძალით ცდილობდა მის მოშორებას, მაგრამ ამაოდ. იაშას ის მაგრად ეჭირა.

ანაზღადა, ძუძუზე იაშას ხელი იგრძნო. ლიზას თავბრუ დაეხვა, სხეული მოუდუნდა. ბლიუსკინი ვნებიანად დაენაფა მის ტუჩებს. ლიზამ კისერზე შემოხვია ხელეები და კოცნას უფრო ხანგრძლივი, ვნებიანი კოცნით უპასუხა.

ახლა სისტემატიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბლიუმკინს დაჰყავდა ქალი იქ სადაც პოეტები იკრიბებოდნენ თეატრებში, რესტორნებში. ლიზა თვალებში შესციცინებდა მას, ულაპარაკოდ თანხმდებოდა ყველაფერზე, რასაც ბლიუმკინი ეუბნებოდა. შინ გვიან ღამე ბრუნდებოდნენ. გამომშვიდობებისას ქალს თვალები ნალველით აევსო.

- მოდიხარ იაშა?

- აი, შენი სახლიც.

- მაშ, წახვედი?

ლიზას აღმური მიედო, თავი ჩალუნა, თითებით ბლიუმკინის პალტოს ღილი მოძებნა და წვალება დაუწყო.

- არ გინდა რომ წავიდე?

- არა.

- მაშ, არ წავალ.

ლიზამ თავი ასწია. ბლიუმკინს თვალები უბრწყინავდა. ღამე ერთად გაატარეს. ამის შემდეგ, ბლიუმკინი ხშირად რჩებოდა მასთან.

ლიზა, იცი, რა მინდა გითხრა? ბავშვობაში მჯეროდა, რომ არსებობს მსოფლიოში საუკეთესო ქალი, რომელიც ჩემი გახდება-მეთქი. შემდეგ იდეალი ჩაკვდა; ერთხანს მეგონა, რომ გაქრა; თურმე, შევმცდარვარ; მსოფლიოში საუკეთესო ქალი, მართლაც არსებობს, ეს შენა ხარ.

- გმადლობთ, გმადლობთ, - წაიჩურჩულა ლიზამ და ბლიუმკინს ჩაეხუტა.

- ახლა საოცრად ბედნიერი ვარ, ნეტავ, ასე მოვკვდები.

- რა სისულელეს ლაპარაკობ!

- ბედნიერება წარმავალია, იაშა. მე მინდა, შენი ვიყო და ისე მოვკვდე.

- ჩვენ მხოლოდ სიკვდილი თუ დაგვაშორებს, ლიზა!

- მეც მაგის მეშინია.

- რატომ?

- ჩვენი პროფესიის ადამიანი მუდამ სიკვდილს უყურებს თვალებში.

- სისულელეა! მე და შენ ას წელიწადს ვიცოცხლებთ. ამაში ეჭვი არ მეპარება! მე სხვა რამ მაშფოთებს, - ბლიუმკინი ლოგინზე წამოჯდა. ლიზა შეშფოთებული მისჩერებოდა მას.

- ცოლქმრული სიყვარული მალე ქრება, რჩება მოვალეობა შვილისადმი, ოჯახისადმი; ცოლის გამო თავს არავინ განირავს. საყვარელის გამო განირავს, მეც მინდა, რომ შენ ჩემი საყვარელი იყო.

- იაშა, მე ყველაფერზე თანახმა ვარ!

- ვერ გამიგე, ჩვენ დავქორწინდებით, მაგრამ...

- დავქორწინდებით? შეიძლება ასეც მოხდეს, თუმცა, წესიერი ხალხი ჯერ ქალს სთხოვენ ხელს.

- შენი თანხმობა უკვე ჯიბეში მაქვს, განა ასე არაა? ლიზამ პასუხი არ გასცა. ბლიომკინმა კისერზე მოხვია ხელი. ქალმა თვალები დახუჭა.

- დავქორწინდებით, ეს გადანყვეტილია, მაგრამ მე მინდა, რომ შენთვის ქმარი კი არა, საყვარელი ვიყო, რომელიც თავს განირავს შენთვის, რომ შენც ასევე გიყვარდე, გამიგე?

მალე ისინი ოფიციალურად დაქორწინდნენ.

ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ. ლიზა თვალებში

შესციცინებდა ქმარს. ბლიუმკინიც აღფრთოვანებული იყო თავისი ცოლით. სახლში ისე არ შევიდოდა, რომ რაიმე ძვირფასი საჩუქარი არ მიეტანა. ლიზამაც აღარ იცოდა, სიამოვნებისაგან რა ექნა. ზოგჯერ მათ ერთად აგზავნიდნენ საზღვარგარეთ, სპეცმივილინებებში. ხდებოდა ისეც, რომ ლიზა მარტო მიემგზავრებოდა; დაბრუნებისას ქმარს მოახსენებდა:

- ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ლეგენდის მიხედვით ქვრივი ვიყავი, ამიტომ კავალრებს ახლოს არ ვიკარებდი.

- ქვრივებს მამაკაცები, როგორც თაფლს ბუზი, ისე ეტანებიან.

- მე წესიერი ქვრივი ვიყავი, - გაიცინა ლიზამ და ქმარს გადაეხვია.

საზღვარგარეთ მარტო გამგზავრება ბლიუმკინსაც უწევდა. ხან თურქეთში მიემგზავრებოდა, ხან გერმანიაში, ხანაც მონღოლეთში. დაბრუნებისას სიცილით უამბობდა ცოლს:

- რესტორანში კინოვარსკვლავი გამაცნეს. ისეთი ლამაზი ქალი იყო, რომ... ლიზას სახე შეუტოკდა.

- ძალიან ლამაზი იყო?

- სულელო, მთელი ევროპის კინომსახიობები რომ დამასიონ, მაინც არ გიღალატებ.

- მართლა?

- აი, წარმოიდგინე, რომ რაღაც ჯადოსნურ ქვეყანაში მოვხვდი; გარშემო სულ ნარჩევი მზეთუნახავები მახვევია; რომელიც გინდა, ამოირჩიე, მაგრამ მე არავის ყურადრებასაც არ მივაქცევ, იმიტომ, რომ ჩემი ცოლი მსოფლიოში საუკეთესო ქალია!

- სულელო, - გაიცინა ლიზამ და ჩაეხუტა.

მიუხედავად იმისა, ორივეს იპყრობდა ეჭვიანობა. ბლიუმკინი აშკარად უკმაყოფილო იყო, როდესაც ლიზას მის გარეშე აგზავნიდნენ საზღვარგარეთ.

- არ შეიძლება, მეც მასთან ერთად გავემგზავრო?
- ხომ იცით, განათლებული კადრები არ გვყოფნის, თანაც ლიზი მალე დაბრუნდება უკან.

ასეც მოხდა, ბლიუმკინს არ დაუწყია გამოკითხვა, თუმცა, ქმრის თვალეში ლიზამ ცხადლივ ამოიკითხა ეჭვიანობა; ხედავდა ქმრის მოღუშულ სახეს; ეს ლახვარივით ევსობოდა გულში. ინსტრუქციის თანახმად, უფლება არა აქვს მოუთხროს ქმარს საზღვარგარეთ ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ. მართალია, ბლიუმკინიც ჩეკისტია, მაგრამ ის არ ჩართეს ოპერაციაში. ლიზასაც უფლება არა აქვს, თუნდაც ქმარს გაუმხილოს სამსახურეობრივი საიდუმლო, მაგრამ იაშა ისეთი შენუხებულია, ლიზას აღარ შეეძლო მისი ნაღვლიანი თვალეების დანახვა. „საყვარელო, ძვირფასო იაშა, ნუ ხარ ასეთი შენუხებული. მე ეს მკლავს, ჩემო მშვენიერო“ - ეუბნებოდა ქალი.

- იაშა, კვლავ მივლინებაში მაგზავნიან.
- რა გაეწყობა, - ბლიუმკინმა ისე ამოიოხრა, თითქოს გულ-ღვიძლი ამოაყოლო.

დაბრუნების შემდეგ ლიზი უჩვეულოდ ხალისიანი იყო. ქალი სიცილ-კისკისით ჩამოეკიდა ქმარს კისერზე.

- როგორ მომენატრე, იაშა!
- მეც, მეც მომენატრე.
- სახეზე ზეთი რატომღა ჩამოგდის, ეჭვიანობ?
- ამბობ, ერთი!
- ეჭვიანობ გაიცინა ქალმა, - და სულ ტყუილადაც. საამისოდ არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

ლიზი ქმარს ჩაეხუტა, შემდეგ დანვრილებით მოუყვა ყველაფერზე, რაც საზღვარგარეთ გადახდა, ჯანდაბას ინსტრუქცია. იაშა მისთვის ყველაფერზე, მათ შორის ჩეკისტურ კოდექსზეც მეტია. იდიოტიზმია, რომ ქმრისაგან საიდუმლოებები უნდა გვქონდეს, მითუმეტეს, როდესაც მას ასე უყვარხარ.

- შენ ჩემამდეც ხომ გყავდა ქმარი; ლიზი, მითხარი, მას უყვარდი?

- რომ ვყვარებოდი, არ გავშორდებოდი.

- შენი ქმარი რუმინელი კომუნისტი იყო?

- ჰო, ჩვენ სხვადასხვა ადამიანები აღმოვჩნდით, ამიტომაც დავშორდით.

- ჩემთან ბედნიერი ხარ?

- ძალიან. ჩემთვის შენ ყველაფერი ხარ.

- ამიტომაც დაარღვიე ინსტრუქცია და ყველაფერი გადმომილაგე?

- ვხედავდი, როგორ იტანჯებოდი, შემეცოდე.

- შეგეცოდე?!

ანაზღადად, ბრიუმკინმა გადაიხარხარა, ლიზას ტანში გასცრა; რაღაც საშინელი გამოსჭვიოდა ამ სიცილში.

- მაშ, შეგეცოდე, არა? - ბლიუმკინის თვალებში უმალ გაქრა ნაღველი, ახლა იქ მხოლოდ ბოროტი დაცინვა გამოსჭვიოდა.

- მე შენ გამოცდა ჩაგიტარე, ლიკოზ, ამას ევროპაში ტესტს ეძახიან.

- რაა? - ლიზას ხმა აუკანკალდა, სახე გაუფითრდა.

- შენ ვერ გაუძელი ამას და სამსახურეობრივი საიდუმლოება გაეცი, შენ სუსტი ხარ, ლიზა, მეტი სმეტად სუსტი ჩეკისტობისათვის.

ლიზამ იგრძნო, რომ თავბრუ დაეხვა, ცოტაც და გულწასული ძირს დავარდებოდა, ბლიუმკინი კი იცინოდა, მისი სიცილი ქალს დანასავით ესობოდა გულზე.

დაიმახსოვრე, შე სანყალო, ჩეკისტი მუდამ ჩეკისტია, - დამრიგებლურად წარმოთქვა ბლიუმკინმა. - სენტიმენტალობა და გრძნობები ჩვენს პროფესიაში ლაფსუსია.

ლიზი ატირდა, თავი ბალიშში ჩარგო და გულამოსკვნილი აქვითინდა, როგორც ოდესღაც, ბავშვობაში იცოდა ხოლმე. ბლიუმკინი ერთხანს დამცინავად

მისჩერებოდა მას, შემდეგ წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

მალე ბლიუმკინი სპეცმივლინებით თურქეთში გაემგზავრა; დაბრუნების შემდეგ ცოლს მოახსენა:

- ლევ დავიდოვიჩს შევხვდი.
- რომელ ლევ დავიდოვიჩს?
- როგორ თუ რომელს? ტროცკის.

ბლიუმკინი აბაზანაში შევიდა, ღიზა კი გამალებული ფიქრობდა - ტროცკის შეხვდა და რატომ მოუყვა ამის შესახებ.

ლევ ტროცკი საბჭოთა კავშირიდან ახალი გასახლებული იყო და, ჯერჯერობით, თურქეთში იმყოფებოდა. საბჭოეთში დარჩენილ მის მომხრეებს სასტიკად სდევნიდნენ; სიტყვა „ტროცკიზმი“ კონტრრევოლუციურობის სინონიმი გახდა. ჩეკისტი ბლიუმკინიც, რომელსაც პარტიამ საზღვარგარეთ სპეცდავალების შესრულება ანდო, ტროცკის შეხვდა; რას ნიშნავს ეს?

წელზე პირსახოცშემორტყმული ბლიუმკინი ღიღინ-ღიღინით შემოვიდა ოთახში. ღიზამ გამომცდელად შეხედა ქმარს:

- ტროცკისთან შეხვედრა ოპერაციის გეგმაში შედიოდა?

- არა, მე უბრალოდ მომენატრა ლევ დავიდოვიჩი, რაც უნდა იყოს, ოდესღაც ხომ მის სამდივნოში ვმუშაობდი, - ბლიუმკინმა თავისკენ მიიზიდა ცოლი და აკოცა. ღიზა კი დაძაბული ფიქრობდა - რატომ მომახსენა ყველაფერი? რაო, მართლა უჩუმრად შეხვდა ტროცკის? არა მგონია, იაშა ძალიან ჭკვიანია და ხვდება, რომ ლევ დავიდოვიჩმა წააგო; ასეც რომ არ იყოს და მართლა ჰქონდეს მასთან რაღაც საიდუმლო საქმეები, მე არ გამიმხელდა; ასე რომ, ეს მისი მორიგი ტესტია, ძალიან კარგი, ამჯერად ამ ტესტს ჩავაბარებ.

მეორე დილით ღიზა პუზიცკისთან წავიდა; მაშინ

პუზიციკი დაზვერვაში მსახურობდა.

- შეიძლება?

- მობრძანდით, ლიზა, დაბრძანდით.

- ქალი დაჯდა, ხელები უკანკალებდა, სახეზე მკვდრისფერი ელო.

- ლიზა, ცუდად ხომ არ ხართ?

- არა, არა, უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, ჩემი ქმარი ტროცკის შეხვდა.

- რა?

მივლინებიდან დაბრუნდა თუ არა, მითხრა, რომ თურქეთში საიდუმლოდ შეხვდა ტროცკის.

წამით სიჩუმე ჩამონვა.

- აგერ, ქალაღი და კალამი, - პუზიციკიმ სახეზე მოისვა ხელი, - გთხოვთ,

ყოველივე დაწვრილებით დაწეროთ.

ორი დღის შემდეგ ბლიუმკინი დააპატიმრეს; როდესაც ჩეკისტები მის წასაყვანად მივიდნენ, ლიზი მათ ყვირილით ეძგერა; ვერა, ვერა, ჩემს ქმარს თქვენ ვერ წაიყვანთ!

დამშვიდდი, ლიზოკ, - ბლიუმკინმა ანაზდად გადაუსვა ხელი, - რალაც შეცდომაა, მალე დავბრუნდები.

ლიზი პირდაპირ პუზიციკისთან გაქანდა და მოახსენა, რომ მისი ქმარი დააპატიმრეს; პუზიციკიმ დაუფარავი გაოცებით შეხედა:

- კი, მაგრამ აკი, თავადვე მოგახსენეთ, რომ შეხვდა ტროცკის,

- დიახ, მაგრამ...

- შემონმებამ დაადასტურა თქვენი სიტყვები, ბლიუმკინი მართლაც შეხვდა ტროცკის, მაგრამ ამისი დამალვა სცადა.

- მაშასადამე...

- მიმდინარეობს გამოძიება, თქვენ აუცილებლად დაგაპირისპირებენ.

დაპირისპირებისას, ლიზამ გაიმეორა ყოველივე, დიას, იაშა საიდუმლოდ შეხვდა ტროცკის და ამის თაობაზე ცოლს მოუთხრო. ქალს ხმა უკანკალებდა; როდესაც ჩვენების მიცემა დაასრულა, გული ნაუვიდა. ლიზა დიდხანს ემუდარებოდა პუზიკის, ნება მიეცა, ციხეში ქმარი მოენახულებინა.

- ის ჩემი ქმარია; უფლება არა მაქვს ვნახო?

- ბლიუმკინი ტროცკის აგენტი აღმოჩნდა, თქვენ დაგვეხმარეთ მის მხილებაში, ამან დააჩქარა მისი გამოაშკარავება.

- მაინც მსურს, ვინახულო.

- ბლიუმკინი განწირულია მას დახვრეტენ.

- მით უმეტეს, უნდა ვნახო.

- კი, მაგრამ ამით შესაძლოა, ჩირქი მოგეცხოთ; ახლა თქვენ ფხიზელი

თანამშრომლის რეპუტაცია გაქვთ.

- ფეხებზე მკიდია რეპუტაცია! - დაიყვირა ლიზიმ.

მან მიაღწია იმას, რომ ქმართან პაემნის უფლება დართეს.

- იაშკა! ჩემი იაშკა! - და ლიზი ქმარს გადაეხვია.

პატიმრობას გვარიანად შეეფერთხა ბლიუმკინი, სახე გაფითრებოდა, თვალის უპეები ჩაშავებოდა, როდესაც ცოლი გადაეხვია, თავი ველარ შეიკავა და ცრემლები ჩამოუვიდა.

- ლიზა, რატომ გააკეთე ეს, რატომ?

- მე ტესტი მეგონა! აკი, ერთხელ ჩამიტარე კიდევ.

- რაო, რა ტესტი?

- გახსოვს, როდესაც მივლინებიდან დავბრუნდი და ყველაფერი გიამბე, შენს

ნაღვლიან თვალებს ველარ ვუყურებდი და გული გადაგიშალე, შენ მიპასუხე, რომ

განზრახ გაითამაშე დადარდიანებული ქმრის როლი, რომ ამით ერთგვარი გამოცდა მომიწყვე.

- არა, ლიზი, მე არ ვთამაშობდი; როდესაც ადამიანი გიყვარს, ეჭვიანობ ხოლმე.

ვგრძნობდი, რომ გებრალეობდი.

ჩემთვის ეს აუტანელი იყო; ამიტომაც, შევთხზე ზღაპარი ტესტის შესახებ; გაგეხუმრე ჩემი მამაკაცური თავმოყვარეობისათვის, ეს აუცილებელი იყო, გეცმის?

- მესმის, - ჩაიჩურჩულა ლიზამ, - ახლა ყველაფერი მესმის, მაგრამ უკვე გვიანია.

- ჩვენი სიყვარულიც დასრულდა. - ნაღვლიანად ჩაიციინა ბლიუმკინმა;

- ჩეკისტური სიყვარული, თურმე, უბედური ყოფილა.

ბლიუმკინის საქმე გპუ-ს კოლეგიაზე განიხილეს. 1929 წლის ნოემბერში მიღებული იქნა დადგენილება მისი დახვრეტის შესახებ. ბლიუმკინი დახვრიტეს... ლიზა, ერთხანს, გლოვობდა ქმარს, შემდეგ კი ჩეკისტ ზარუბინზე გათხოვდა და მისი გვარი მიიღო. ახალ ქმართან ერთად, არაერთი წელი იმსახურა საბჭოთა დაზვერვაში, წარმატებით შეასრულა უამრავი დავალება, თუმცა, ეს არ დაუფასდა. 1946 წელს, როგორც ებრაელი, უშიშროებიდან გააძევეს. მართალია, 1953-ში აღადგინეს, მაგრამ ლავრენტი ბერიას განადგურების შემდეგ, საბოლოოდ გაუშვეს პენსიაზე, ლიზა კიდევ იოლად გადაარჩა.

1987 წელს, ლიზი ტრაგიკულად დაიღუპა, მას ავტობუსი დაეჯახა; ამბობენ, მეტისმეტად ბევრი იცოდა და სუკ-მა თავიდან მოიშორაო.

რაც გინდა თქვით და სუკი იყო და არის საბჭოეთის უძლიერესი იარაღი, ამის ნათელი დადასტურებაა გარსია ლორკასა და მარია პოზნიაკოვას ურთიერთობა.

ანხელა ძალიან ლამაზი იყო; ქერათმიანი, სახის სწორი ნაკვეთებით, სპორტსმენის აკვართული ტანი და

ჩამოთლილი ფეხები ჰქონდა. ფედერიკოს განსაკუთრებით მისი მუდამ მომცინავი, ანცი თვალები მოსწონდა.

ფედერიკო გარსია ლორკამ ანხელა ერთ-ერთი მემარცხენე გაზეთის რედაქციაში გაიცნო, სადაც რაღაც საქმეზე შეირბინა. რედაქტორმა დიდი ამბით წარუდგინა ახალი თანამშრომელი:

- იცნობდეთ ერთმანეთს, ეს ფედერიკო გარსია ლორკაა, ეს კი ჩვენი ახალი თანამშრომელი ანხელა გონსალესი.

- თქვენ ის ლორკა ბრძანდებით? - დაუფარავი ინტერესით შეეკითხა გოგონა. - ესპანეთში არ მეგულება პიროვნება, ვისაც არ გაეგონოს პოეტისა და დრამატურგის ფედერიკო გარსია ლორკას სახელი.

ლორკამ ეშმაკურად გაიღიმა. გოგონაც იღიმებოდა. მისი თვალები კი საოცრად მისჩერებოდნენ პოეტს.

ამის შემდეგ, ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ანხელაც იმავე წრეში ტრიალებდა, რომელშიც ლორკა. გოგონა პირველი გადავიდა „შენობით“ მიმართვაზე. ლორკას ის არ გაუბოდა, პირიქით, მისი ხილვით გამოწვეულ სიხარულს არ მალავდა. კომპლიმენტებზე მთელი ხმით კისკისებდა. ლორკა მოჯადობულივით მისჩერებოდა. ანხელას დანახვისას სხეულში რაღაც დენივით გაუვლიდა ხოლმე. როგორც-კი გოგონა გაიღიმებდა, გრძნობდა რომ თავბრუ ეხვეოდა.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს სიყვარულია?“ პოეტი ამ საკითხზე მთელი სერიოზულობით ფიქრობდა, თან შემთხვევას არ უშვებდა, გოგონას გამოლაპარაკებოდა. ანხელა საოცრად ნაკითხი იყო, სერვანტესი და ლოპე დე ვეგა ზეპირად იცოდა. საათობით შეეძლო მისი ციტირება.

- ნუთუ, შენნაირ ლამაზ გოგოს არავინ ჰყვარებია?

- არა, მქონია აზარტი, სპორტული ყინი, მეტი არაფერი.

ლორკამ გაოცებით ასწია წარბები. რაც უფრო ახლო ხდებოდა მათი ურთიერთობა,

მით უფრო გრძნობდა, რომ ანხელა ანდამატივით იზიდავდა. თვალწინ სულ მისი სახე ედგა. ქუჩაში მიდიოდა თუ იძინებდა, მაინც მასზე ფიქრობდა: „, იქნებ ეს არაა სიყვარული? იქნებ ეს მხოლოდ ჭირვეულობაა? ჩვენ, მამაკაცებს, ზოგჯერ გვახასიათებს ასეთი რამ. გვსურს, ქალს დავეუფლოთ, ნებისმიერ ფასად დავეუფლოთ და მეტი არაფერი. ნუთუ, ჩემი გრძნობა ანხელას მიმართ მხოლოდ ასეთია?“ - კაცი ათას კითხვას უსვამდა საკუთარ თავს.

ლორკა ყურადღებით აკვირდებოდა ანხელას. გოგონა მოილტვოდა მისკენ და ეს იყო ალალი, ჯანსაღი გრძნობა. კაცს განსაკუთრებით დაამახსოვრდა საღამო, როდესაც ერთ-ერთ ოჯახში, წვეულებაზე მიიწვიეს. იქ უამრავი მათი ნაცნობი ტრიალებდა. ანხელამ, ვითომც არაფერიო, არხეინად გაუყარა ხელი მკლავში. ამით მთელ საზოგადოებას განუცხადა: ლორკა ჩემი მეგობარია და რაც გინდათ, ის იფიქრეთო.

ანხელას მეგობარი ტერეზა დაუფარავი შურით მისჩერებოდა მათ. გოგონებმა

ჩვეულებისამებრ ერთმანეთი მოიკითხეს. შემდეგ ანხელამ დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი და ლორკასთან გააბა საუბარი.

- მისმინე, ანხელა, ხვალ ჩემთან, გრენადაზე მივდივარ, - ლორკამ ნერწყვი

გადაყლაპა, - ახალ წიგნზე ვმუშაობ. ამ დროს ჩავიკეტები და არავის ველაპარაკები

ხოლმე; როდესაც ჩამოვალ, აუცილებლად გინახულებ. შენ იქნები ჩემი წიგნის პირველი მკითხველი.

- დაგიცდი, - ნაიჩურჩულა ანხელამ, - თუნდაც სიცოცხლის ბოლომდე დაგიცდი.

გავიდა ერთი წელი. ანხელა მოთმინებით უცდიდა

ლორკას დაბრუნებას. მანამდე კი

მისი ყველა ნაწარმოები გადაიკითხა. ანხელას გარშემო უამრავი თაყვანისმცემელი ტრიალებდა, სისტემატიურად პატიჟებდნენ რესტორნებსა და თუ სხვაგან; მაგრამ, გოგონა მათ უარით პასუხობდა.

ლორკასგან კი არც ავი ისმოდა და არც კარგი. ის

ანაზღად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გამოჩნდა. ერთხელ, ანხელას ბინის კარზე დარეკეს. გოგონამ კარი გააღო და შესძახა:

- ფედერიკო!

- ანჟელა, მიყვარხარ!

და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მათი დაქორწინება გადანყვებილი იყო. ანჟელაც უკვე ლორკასთან ცხოვრობდა.

ორივე საოცრად ბედნიერი იყო. ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდათ. ქალი, ზუსტად, ისეთ კერძს ამზადებდა, როგორც ლორკას უყვარდა; ისე იქცეოდა, რომ კაცის აღტაცებას იწვევდა. ანხელაც აღფრთოვანებული იყო მისით და ყოველმხრივ ცდილობდა, ესამოვნებინა. მათ ერთნაირი გემოვნება, საერთო ზნეობრივი კოდექსი ჰქონდათ. არც ერთი ცდილობდა მეორისთვის თავისი კრიტიკერიუმები მოეხვია თავს; ეს, უბრალოდ, საჭიროებას არ წარმოადგენდა.

ანაზღად, მათი ბედნიერება დასრულდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ანხელას სახიდან ღიმილი გაქრა. თვალები ნალველით ავესო. ლორკა დაუფარავი შეშფოთებით მისჩერებოდა მას. ქალი მექანიკურად ელაპარაკებოდა, თითქოს არც უსმენსო, მისი თვალები სადღაც შორს იყურებოდნენ.

- მითხარი, რაშია საქმე! - კატეგორიულად მოსთხოვა ლორკამ.

- უნდა წავიდე.

- აი, თურმე რა! მაშ, შენი ლაყბობა სიყვარულზე მს-

ოლოდ თვალთმაქცობა იყო?!

გაეთრიე! ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს!

ანჟელა მშვიდი, ნალვლიანი მზერით მისჩერებოდა მას.

- შენ მართალი ხარ, მაგრამ მეც გამიგე; ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი, მშვიდობით, ფედერიკო, - მას შუაზე გაუწყდა სიტყვა, თვალები ცრემლებით აევსო.

მეორე დღეს ლორკასთან ვილაც უცნობი, ხანშიშესული მამაკაცი გამოცხადდა;

სენიორამ თავისი ნივთების წამოსაღებად გამომაგზავნაო. ლორკამ უმალ გადასცა ანხელას ნივთები.

გავიდა რამოდენიმე წელი. ერთ დღეს ლორკა პოლიციისში გამოიძახეს. მას, თავად უფროსი შეეგება.

- სენიორ ლორკა, მაპატიეთ რომ შეგანუხეთ; ყურადღებით დახედეთ ამ ფოტოს, იცნობთ ამ ქალს?

ლორკამ ფოტოს დახედა და კინალამ შეჰყვირა, სურათიდან მომღიმარი ანჟელა უმზერდა.

- დიახ, ეს ანხელა გონსაღესია, ჩვენ ახლო ურთიერთობა გქვონდა, მაგრამ დავშორდით.

- არ გიცდიათ მისი დაბრუნება?

- არა! მე მამაკაცი ვარ და თავმოყვარეობა მაქვს. მითხარით, რაშია საქმე, რატო

დაინტერესდა პოლიცია ამ საქმით?

ის საბჭოთა აგენტი გახლდათ. შედიოდა სპეციალურ ჯგუფში, რომელიც ტერაქტების განხორციელებას აპირებდა. საბედნიეროდ, შევძელით მათი გაუვნებელყოფა. ეს ქალბატონი კი გაგვექცა. მეეჭვება, რომ ანხელა გონსაღესი მისი ნამდვილი გვარი იყოს.

ამის შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა. ლორკას არავისთან აღარ უხსენებია ანხელა, ჩვეულ რიტმში განაგრძობდა ცხოვრებას და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ქალი სამუდამოდ დაავიწყდა.

გარსია ლორკა, 1936 წელს ფრანკისტული პუტჩის დროს დაიღუპა. პოეტი გენერალ ფრანკის მომხრე ჯარისკაცებმა შეიპყრეს და დახვრიტეს. პარადოქსია, მაგრამ ჯარისკაცები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს, ლორკას ლექსებზე შეთხზულ სიმღერებს მღეროდნენ...

1968 წელს, ესპანეთის საბჭოთა მწერალი იულიან სემიონოვი ესტუმრა. ფრანკოს რეჟიმი, ჯერ კიდევ, არსებობდა. სემიონოვმაც დიდად გაიოცა, როდესაც მაღაზიებში გარსია ლორკას წიგნები იხილა. ისინი არავის აუკრძალავს. გრენადაზეც ფუნქციონირებდა ლორკას წიგნები იხილა. ისინი არავის აუკრძალავს. გრენადაზეც ფუნქციონირებდა ლორკას სახლ-მუზეუმი.

სემიონოვი გამოელაპარაკა გიდს, რომელსაც ლორკას მუზეუმი დაათვალიერებინა. ის შუახანს გადაცილებული მამაკაცი აღმოჩნდა. განათლებით ფილოლოგი და ლორკას შემოქმედების მხურვალე თაყვანისმცემელი.

- საოცარია! ლორკა ფრანკიზმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო და მიუხედავად ამისა, მისი წიგნები ასეთი პოპულარობით სარგებლობენ.

- ფედერიკო გარსია ლორკი ჩვენი უდიდესი პოეტი და დრამატურგია. ესაა მთავარი და არა მისი პოლიტიკური პოზიცია.

- ლორკას ჩვენი თანამემამულე უყვარდა, სემიონოვმა პაუზა გააკეთა, - ესპანეთში მას ანხელა გონსალესად იცნობდნენ. გიდს თვალეები აენტო: -

- მაშ, ეს მართალია? მეც მსმენია ამის შესახებ, მაგრამ არ მჯეროდა, რაღაც ჰოლივუდის სტილში შეთხზულ ზღაპარს მაგონებდა.

- არა, ეს სიმართლეა; სინამდვილეში, მისი სახელი და გვარი მარია პოზნიაკოვაა.

დედა ესპანელი ჰყავდა, რომელიც რუსეთში 1916

წელს ჩამოვიდა 14 წლის მარიასთან ერთად. რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკურ პარტიაში შევიდა. მალე, ვინმე პოზნიაკოვზე გათხოვდა, მაინც იშვილა გოგონა და გვარი მისცა. შემდეგ ყველაფერი ბანალური სცენარით წარიმართა. მარია დაზვერვის თანამშრომელი გახდა, სპეცმომზადების გავლის შემდეგ კი ესპანეთში გადაისროლეს, როგორც ანხელა გონსალესი.

- მისი და ლორკას სიყვარულზე ლეგენდები დადის.
- ამიტომაც დაცილდნენ.

გიდი დაუფარავი გაცემებით მიაჩერდა მას.

- განა შეიძლება ანხელა ლორკას მსგავს მამაკაცზე გათხოვილიყო? კი, ბატონო, ლორკა თანაუგრძნობდა კომუნისტებს, მაგრამ ტერორის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. გამოსავალიც ერთი რჩებოდა, ან დაშორება, ან ლორკაც ანხელას თანამზრახველი უნდა გამხდარიყო. ანხელას მოსთხოვეს, ლორკა გადმოეპირებინა.

ის ხომ მსოფლიოში ცნობილი ხელოვანი გახლდათ. ქალს კი არ სურდა, საყვარელი მამაკაცი ასეთ საქმეში გაბმულიყო, რადგან ლორკა ძალიან უყვარდა. ის მას დასცილდა, უფროსებს კი მოახსენა, ვიჩხუბეთო, თან დაუმატა, ლორკა უფრო ანარქისტი და ბურჟუაზიული ინდივიდუალისტიკაო. სამწუხაროდ, ანხელა 1938 წელს მოსკოვში დახვრიტეს.

- საშინელებაა! XX საუკუნე მართლაც საშინელი გამოდგა, - ამოიოხრა გიდი, - სენიორ, იქ, კუთხეში პატარა მყუდრო რესტორანი მეგულება, თითო ჭიქა ხომ არ გადაგვეკრა? მათი მოსაგონარიც შევსვათ...

- სიამოვნებით! - დათანხმდა სემიონოვი.

ისინი წელი ნაბიჯით გაუყვნენ გზას...

- ჩვენც გავუყვით გზას, თორემ სადაცაა თავზე დაგვათენდა - რეალობას დაგვაბრუნა სვეტას ხვერდოვანმა ხმამ.

...სამი დღის შემდეგ, ისევ შემთხვევით შევხვდით

მე და გენადი ტკაჩენკო. მას ავტო მანქანა გაფუჭებოდა და მძღოლზე დასახმარებლად იყო გადმოსული, მე რომ სამხედრო ნაწილის „ვისილით“ გავიარე... გავაჩერე და მისი ინტერესის სფერო,

ჯიბებში ოთხად მოკეცილი ფურცელი მოვიძიე, მივეცი, თან დავძინე:

- საშიშს არაფერს ვაკეთებთ შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ!

- რით დაგიფასო?!

- არ ღირს, გეთაყვა!

- როგორც შეგატყვე, სუფრაზე პირველ და მეორე შეხვედრის დროსაც, ნამცხვარი ხილფაფით მიირთვა, იცი, ბულგარეთიდან ხილფაფიანი ვაფლი შემოვიდა, ჩვენი აღმასკომის წინ, რომ დიდი გასტრონომია, იქ აქვთ, მაგრამ ჩუმად! ამიტომ ჩემი სახელით მიდი ტკბილეულის სექციაში და ტანია იკითხე - თან უთხარი „откуда ты?“ ეს პაროლი იქნება, ის გეტყვის - „ისევ ხუმრობ?!“ და ორ შეკვრა ვაფლს მოგცემს... ქალაქში თუ მიდიხარ, მაგრამ გზაც იქით მქონდა, პირდაპირ გასტრონომის წინ უნდა გამევლო, თან ტანიას გაცნობის სურვილიც დიდი იყო და...

- ისევ ხუმრობ?! - მითხრა ტანიამ და საოცარი ღიმილით ვაფლის ორი შეკვრა გამომიწოდა...

- ბულგარულ ხილფაფიან ვაფლს ხომ შეჭამ? - მანქანაში ჩაჯდომისთანავე ვკითხე ჩემს მძღოლს, სერჟანტ კლასნიკოვს; მან, თანხმობის ნიშნად, უხმოდ დამიქნია თავი და სიჩქარის ბერკეტი გადასწია...

გავხსენი ერთი შეკვრა...

ორმოცდაათმანეთიანები აღმოჩნდა შიგ.. მეორე გავხსენი, ასევეა იმაშიც... გაოგნებული ვარ, კრასნიკოვი ყურადღებას არ მამცვეს; მოლიპული გზაა და დაძაბულად მიჰყავს ავტომობილი...

მეორე დილასვე შევხვდი სპორტკომიტეტის თავჯ-

დომარეს თავისივე კაბინეტში:

- უკვე გაყიდეთ! - მითხრა მან ისე, რომ ჩემს გაყინულ სახეს ყურადღებაც არ მიაქცია - უტყუარი იყო შენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია! არც ჩვენ დაგრჩენილვართ ვალში! ახლა კი ამ ბაზიდან დასამიზნებელი ქვეყნების სრული ჩამონათვალი გვჭირდება!

- კი, მაგრამ...

- აქ წესებს მე ვკარნახობ! თუ არ გსურს, რაიმე დიდ უბედურებას გადაეყარო.

შენს მშობლებთან ერთად, დამმორჩილდი! უზრუნველყოფილი იქნები ყველაფრით:

ფულით, ქეიფით, ქალებით... თუ ჩემს მიერ შემოთავაზებული გოგონები არ მოგნონს, შეგიძლია სხვა მოიყვანო, აქ, ჩვენთან ერთად გაერთეთ, წინააღმდეგი არ ვარ! მალე შენი ორწლიანი ოფიცრული ცხოვრებაც დამთავრდება, მანამდე, კარგ ფულსაც გაშოვნინებ... მერე, წადი შენს საქართველოში და იცხოვრე ბედნიერად...

- მე, ფული აქ მოგიტანეთ...

- დაფიქრდით, ყმანვილო ლეიტენანტო! თქვენი რაკეტული ბაზიდან დასამიზნებელი ქვეყნების სრული ჩამონათვალი მჭირდება! ზეგ, სალამოს 7 საათისთვის, რესტორან „კიევის“ შესასვლელთან დაგელოდები; იმედია, არ გამყინავ და გერმანული სიზუსტით მოხვალ...

გავვოცდი... გაფითრებული ჩავჯექი ავტომობილში; სერჟანტმა კრასნიკოვმა შემატყო:

- მოხდა რამე ამხანაგო ლეიტენანტო? - კიდევ რაღაც მითხრა, მაგრამ აღარაფერი

მესმოდა, სამხედრო ნაწილში მისვლისთანავე, განსაკუთრებულ საკითხთა განყოფილების უფროსს, ვიცე პოლკოვნიკს კოვოლენკოს შევხვდი.

- ცუდი საქმეა! - მითხრა მან, - მაგრამ ნუ გეშინია!

გამოსავალი ყველაფრიდან არსებობს!

- ჩემს გოგონას გაგატან! კარატისტია! თან, შენ-
თან შეხვედრა იმ დღიდან უნდა, როცა ვუთხარი:
ჩემს მოადგილედ ახალგაზრდა ჟურნალისტი მოვი-
და-მეთქი.

- მითხრა ნაწილის უფროსმა, პოლკოვნიკმა ტა-
რუბარამ.

- იცი, რა გოგო ჰყავს!.. მართლაც არ გაუშვებს კაცი
ხელიდან, მაგრამ, ხომ იცი,

დედისერთაა, ამაყი... არავინ მოსწონს. უფროსმა
ლეიტენანტმა გიტკომ ლექსების მთელი რვეული მი-
უძღვნა და მაინც არაფერი გამოუვიდა; ყოველდღე
ჩხუბობენ მისთვის მთელი სკოლის ბიჭები... ერთი სი-
ტყვით, თუ ჭკუით მოიქცევი,ორი ბედი

მოგდგომია კარს: ერთი - ვიკა და მეორე - ორდენი;
თუკი, მაგ არაკაცს დავსჯით. -

მითხრა განსაკუთრებულ საკითხთა განყოფილების
უფროსმა.

იმ ღამით სიცხე მომცა; მეორე დღეს კაბინეტში მო-
ქუფრული ვიჯექი, ვიცოდი, ნუთი-ნუთზე ვიკა შემოვ-
იდოდა; მისი მოხიბლვა არც მქონდა ჩაფიქრებული, -
ყველას თუ უარს ეუბნებოდა... მაგრამ, შემოვიდა თუ
არა, უნებურად, წამოვდექი ფეხზე და ასე გახვეებული
ვიდექი, სიტყვის თქმას ვერ ვბედავდი; არც მანამდე და
არც მის შემდეგ, მისი მსგავსიც-კი არავინ შემხვედრია,
მალე გავშინაურდით და მივხვდი, რომ ამაყი კი არა,
საოცრად თბილი და მიმზიდველი იყო, არავინ თქვას,
ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობსო, არსებობს და,
თანაც როგორ...

მასაც ასეთივე გრძნობა დაეუფლა, რამეთუ, თვალ-
ნათლივ ჩანდა, რომ არც ის იყო გულგრილი...

იმ საღამოს რესტორან „კიევში“ მოვილხინეთ; ჩვენ-
ნი „სპონსორების“ წყალობით, რომელთაც ჩვენი სამხ-

ედრო ნაწილის შტაბის უფროსის მიერ მოწოდებული სქემა გადავეცი. მასპინძლებსაც მოეწონათ ვიკა...

- ახლა მივხვდი, რატომ დამინუნე ჩემი გოგონები, - მითხრა გამომშვიდობების დროს გენადი ტკაჩენკომ და, ქალაღდის პაკეტთან ერთად, ახალი დავალებაც მომცა, უფრო რთული, მაგრამ დროც ბლომად მექნებოდა... ერთი კვირა! ქალაღდის პაკეტში კი ისევ ორმოცდაათმანეთიანების შეკვრები ეწყო...

იმ ერთ კვირაში, მე და ვიკა ისე გავშინაურდით, რომ ერთმანეთისათვის გრძნობებიც აღარ დაგვიმალავს და ჩვენი ბავშვობაც მასანის დასახლების მახლობლად დარჩა... მე, მაშინ, ცხრამეტი წლის ვიყავი, ის - თექვსმეტის. მამამისს აუნყა; - თუ ვინმეს ნაკვებები, ეს ქართველი ლეიტენანტი იქნება, სხვა არავინ და არც არაფერი მითხრა; რომ არ წამიყვანოს, იცოდეთ თავს მოვიკლავო... ახლა, მე გადმომხედა პოლკოვნიკმა მუდარის თვალით, - ერთმანეთი გვიყვარს და მუდამ ერთად ვიქნებით! - გულიდან ამოსული იყო ჩემი სიტყვები... მერე, ვიკას დედამ, ქალბატონმა ნატაშამ, გააწყო სუფრა და უკვე მასპინძლად მიღებული, ვიკასთან ერთად მადღეგრძელეს...

მე და ვიკა, მთელი კვირა სიყვარულის მორევში ვიძირებოდით; კვირის თავზე კი, ორი მნიშვნელოვანი დავალების შესრულება მიწევდა: ერთი - ჯაშუშ გენადი ტკაჩენკოსთვის რაკეტული ბაზის ნახაზები უნდა გადამეცა და, მეორე - ჩერნიგოვის უშიშროების თანამშრომლებს ამ ჯაშუშის აყვანაში უნდა დავხმარებოდით...

...არეული სიზმარი ვნახე, მახსოვს, ბებო გამომეცხადა, თავშიშველი იყო, მაგრამ არცერთი ღერი ქალარა არ ჰქონდა; თმები შავად უბრწყინავდა - „ძალიან იფრთხილე!“ - მომაცხა და, ისე გაიარა, ნაბიჯიც არ შეუნელებია.

ნაშუადღევს მივედით სპორტკომიტეტში მე და ვიკა. ბევრი ვეხვეწე, დარჩენილიყო, მაგრამ ეს თხოვნა ყურადაც არ ილო: „სიკვდილ-სიცოცხლის საქმეზე მართო რომ გაგიშვა, შენს დაბრუნებამდე მაინც მოვკვდებიო...“ ტკაჩენკომ ნახაზები ჩამომართვა, მის შესა-
ნახად სეიფი გააღო, თუ არა, - ქუჩიდან რეპროდუქტორის მკაცრი ხმა გაისმა: - „ყველანი ალყაში ხართ, დაგვნებდით?“ გენადი ვასილის ძე არ დაიბნა, ღია სეიფიდან პისტოლეტი დააძრო და მე დამიმინა; სწორედ ამ დროს, ელვის სისწრაფით, ჰაერში სალტე გააკეთა ვიკამ; წამის მეასედიც და, ჯაშუში განიარაღებული იქნებოდა, მაგრამ... ორჯერ გაისროლა ტკაჩენკოს პისტოლეტმა... ვიკა ჰაერშივე შებარბაცდა, მერე, დირექტორის სამუშაო მაგიდაზე მიდგმულ გრძელ მაგიდას დაეცა მთელი სხეულით; საიდანაც, ნელ-ნელა იწყობოძირს ჩაცოცება... მისკენ გადავიხარე თუ არა, კიდევ ერთი გასროლა და მაგიდების ქვეშ ჩავიკეცი... მერე ბუნდოვნად ვხედავდი, თუ ვგრძნობდი, ვერ გეტყვით, უშიშროების სამსახურის თანამშრომლები შემოცვივდნენ... ტკაჩენკოს ხელბორკილი დაადეს... ეს ყველაფერი ბუნდოვნად აღვიქვი; ხოლო, მარჯვნივ რომ გადავიხედე, ვიკა ნამდვილად კარგად დავინახე... ის სისხლის გუბეში იწვა, ორივე ხელი ჩემსკენ ჰქონდა გამონვდილი; მერე, მარჯვენა ხელი მძიმედ ასწია და თვალებიდან ჩამოშლილი თმა ნელა გადაინია შუბლზე... ეს თმები, უსათუოდ, ხელს უშლიდა ჩემს დანახვაში ... გრძნობა დავკარგე... ჰოსპიტალიდან ორი თვის მკურნალობის შემდეგ გამოვედი. ორდენი გარნიზონის უფროსმა, პირადად, მომიტანა ჰოსპიტალში და ნატყვიარევ მკერძე დამაბნია...

- ნამდვილი გმირი ხარ ქართველო, უკრაინელთა სიძე! მალე ვიკაც გამოკეთდება

და თქვენს ქორწილშიც ვიქეიფებთ!

ასე ჩამოიმარცვლა ის ორი თვე; სამხედრო ნაწილში დაბრუნებული პირდაპირ მეთაურის კაბინეტში შევედი და კიდევ ერთხელ დავკარგე გრძნობა, როდესაც პოლკოვნიკ ტარუბარას სამუშაო მაგიდის მარჯვენა კუთხეში შავ ჩარჩოში ჩასმული ვიკას ფოტო-სურათი კი არა და, ფოტო-ხატება დავლანდი...

გრძნობაზე ისევ ჰოსპიტალში მოვედი...

მას შემდეგ, არც თუ ცოტა წელმა განვლო, მაგრამ ვიკას სიკვდილი მაინც ვერ დამიჯერებია, ახლაც ქუჩაში სულ ვათვალიერებ... იქნებ სადმე გადავეყარო, ვერ დამიჯერებია მისი დაკარგვა, მაგრამ მაინც მისი საფლავი ყველაზე თბილი და ახლობელია ჩემთვის... ჰო მაშინაც ახალი დამდგარი იყო გაზაფხული...

ჭირვეული ზამთრის შემდეგ, უშენოდ, კიდევ დადგა გაზაფხული ჩემო ვიკა! ახლა კორდებიც ამწვანდება და ტყეც შეიმოსება, მწვანე ხავსის ფერი დაედება არემარეს...

ახლა ნანატრი გაზაფხული დადგა, ამ გაზაფხულის უტყუარ მაცნედ, შენს საფლავთან მოვალ და შენი საყვარელი ყვავილების თაიგულს მოგიტან, თანაც დიდხანს, ძალიან დიდხანს გესაუბრები, ჩემო მარადიულო სიყვარულო...

როცა ატმეზი აყვავდებინა!

ეს ამბავი, დაახლოებით ამ ოციოდე წლის წინ დაიწყო, მაშინ ჩემი ასაკი, სამ ათეულ წელს არ აღემატებოდა და შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა რექტორი გახლდით! ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტსა და ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყურნალისტიკის ინსტიტუტს შორის გაფორმებული მემორანდუმის შედეგად, ურთიერთპარტნიორობის თვალსაზრისით, ერთობლივი თეატრალური კოლექტივი შევქმენით, სადაც ქართველი და ბელორუსი სტუდენტები ერთობლივ თეატრალურ სპექტაკლში მიიღებდნენ მონაწილეობას, საერთაშორისო ფესტივალში „კლასიკა დღეს!“ ორივე მხარე შევთანხმდით, რომ აკაკი წერეთლის, ამ უდიდესი ქართველი კლასიკოსის, შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშს „კინტოს“ ვაჩვენებდით ფართო აუდიტორიას მონსკის პროფკავშირების რესპუბლიკურ კულტურს სასახლეში, როლების დანაწილება ინტერნეტის პირდაპირი სივრცის მეშვეობით მოხდა და თითქოს ნიშანდობლივად, მაგრამ რეალურად ისე, რომ სპექტაკლის მიხედვით, მთავარი როლის, ილიას-შემსრულებელი ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტი, ალექსანდრე მახარაშვილი გახდა, ხოლო ილიას მეუღლის, სალომეს როლი ბელორუს სტუდენტს მარინა ბილმანს ერგო... ასე, მონაცვლეობით გადანაწილდა ეპიზოდური როლებიც, ორივე მხარის მოყვარულ სტუდენტთა მონაწილეობით, რამეთუ სპექტაკლში მონაწილეთაგან, არცერთი პროფესიონალი არ იყო...

სცენარის მიხედვით - პიესის მთავარი მოქმედი გმირი, თავადი ილიაა, რომელიც დიდი ქველმოქმედი და მექალთანეა, მისი მეუღლე სალომე ფიქრობს

თუ როგორ აექვიანოს ქმარი და ორიგინალურ ხერხს მიმართავს, თვითონვე გადაიცვამს კინტოს ტანსაცმელს, ვითომ კაცია და სალომეს, ესეიგი თავის ოთახში შედის თავადი ილიას თანდასწრებით, ოთახიდან კი ცოტა ხნის შემდეგ ორ ხმაში ამეტყველებული სალომეს და ვითომ „კინტოს“ დიალოგი, სიცილი, სიყვარულის ფიცი და ლირიკული პოეზია ისმის... ილია განრისხებულია... სწორედ ამ დროს კინტოს ფორმაში ჩაცმული მეუღლე გამოდის ოთახიდან და „კინტოს“ ხმით მიმართავს თავადს

- შენ სალომე?! - ამბობს ილია და ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეხუტება...

ჰო, ასეთი იყო სცენარი, ამიტომაც ერთ-ერთი მოწინავე სტუდენტი შევარჩიეთ ილიას როლის შესასრულებლად, ეჭვგარეშე იყო, რომ ასე მოიქცეოდნენ სალომეს როლის შემსრულებლის შერჩევისას ჩვენი ბელორუსი კოლეგები, მაგრამ... მთავარმა მოქმედმა გმირმა, ალექო მახარაშვილმა, გამგზავრების წინა დღეს, ველოსიპედით სეირნობისას, ფეხი მოიტეხა... ბილეთები აღებული, საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეთა სიაში ჩაწერილნი, სპექტაკლი ჩანიშნული... მოკლედ ბევრი რომ არ გავაგრძელო, თვითმფრინავში მომიხდა თავადი ილიას როლის ტექსტის შესწავლა... მინსკში დაგეგმილ დროს ჩავფრინდით, ყველაფერი პროტოკოლის მიხედვით მიდიოდა... ბელორუსის დელეგაციას ვაცნობეთ ჩვენი მხრიდან სპექტაკლში

მონაწილეთა ცვლილების შესახებ და... ეგ არაფერია, ჩვენი მხრიდანაც არისო ცვლილება, სალომეს როლს დოცენტი ალიონა სიდოროვიჩი ასრულებს, რამეთუ მარინა ბილმანი, ორი დღეა, რაც გათხოვდა და ახლა არ ესპექტაკლებათ, კიდევ მეტად დავიძაბე, ესეიგი ორი სუპერ დელეტანტი მსახიობი, ამდენ

დელეტანთა შორის, არადა როგორი რუდუნებით გახსნეს ფესტივალი ბელორუსებმა, რომლის ფარგლებშიც პირველად აინია ქართული დროშა, ნიშნად ჩვენი მონაწილეობის და რომელშიაც 12-ქვეყნის წამყვანი თეატრალური კოლექტივი მონაწილეობდა, ფესტივალის მესამე დღეს დაგვიტოპეს დიდი სცენა (ფესტივალი ორ სცენაზე, დიდ და მცირე სცენაზე მიმდინარეობდა) მანამდე კი, წინა დღეს, მხოლოდ ერთი რეპეტიცია მოვასწარით, ჩემი მეწყვილე და სცენუარი მეუღლე ულამაზესი ახალგაზრდა ბელორუსი მეცნიერია, ერთმანეთს კარგად ავყევით როლში, ბოლოს კი სადაც ცოლ-ქმრული ჩახუტების სცენაა, მორიდებით ვეამბორეთ ერთურთს და რეჟისორმაც ბრავო დაიძახა....

მოუთმენლად ველოდი ფესტივალის მესამე დღეს... მე ხომ თეატრის დიდოსტატი, მსახიობი არა ვარ და ამიტომაც სცენაზე წარსდგენისას მაყურებლის გადაჭედნილ დარბაზს, სრულიათ გულწრფელად მივმართე, არა ვარ ის, ვინც მათ ვგონივარ, დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, ლამის ჭერი ჩამოინგრა... მე კი, სრულიად სერიოზულად ვამტკიცებდი სიმართლეს, არა ვარ მსახიობი! - ამას ისეთი ტაში და შეძახილები მოჰყვა, თითქოს გავმხნევიდი კიდეც...

- აი არტისტი! - ნამდვილი არტისტი! - საჩვენებელ თითს ანიშნებენ ჩემსკენ და იცინიან...

- ალბათ დამსახურებული არტისტია!

- არა, მე... მე პროფესორი ვარ! პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის რექტორი... - ამ ჩემმა საუბარმა ისე გაახალისა დარბაზი, რომ ოვაციამ კულმინაციას მიაღწია.

- სახალხო არტისტი იქნება! ნამდვილად სახალხო!

- ხედავთ როგორი პროფესიონალია?! - ჰოდა ასეთმა „პროფესიონალმა“ მსახიობმა დავიწყე როლში შეჭრა და სცენაზე ჩემი მწირი სამსახიობო ნიჭის გამოვლენა, პროფესიონალებს, რასაკვირველია, არ გამოეპარებოდათ ჩემი დელეტანტობა, მაგრამ მაყურებელთა ოვაციამ ზენიტს მაშინ მიაღწია, როდესაც სპექტაკლის დასასრულს მე და სალომე ერთმანეთს ჩავეხუტეთ და... სრულიად მოულოდნელად ალიონა ტუჩებში ჩამაფრინდა... დავიბენი - მოულოდნელობისაგან, ემოციისაგან... სუნთქვა მეკვრის... პირი დაკავებული მაქვს, ვერ ვლაპარაკობ და ვფხარკალებ, ვიქნევ ხელებს, ფეხებს, მკლავებს... რომ როგორმე განვთავისუფლდე ამ „ტანჯვისაგან“ და დარბაზში ისევ:

- ვოტ არტისტ!
- ნასტაიაში ნაროდნი არტისტ!

მას შემდეგ კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლენ წლები, ალიონა სიდოროვიჩი უკვე პროფესორია, ჩვენ სიყვარულით ვმეგობრობთ, პროფესიონალური სიყვარულით, თუმცა მაშინ... სულ სხვა გრძნობები გვაკავშირებდა ერთმანეთთან, ჰო მაშინ გაზაფხულზე, აყვავებული ატმების ხეივნებში სეირნობისას სულ სხვა სურნელი და სურნელება ახლდა იმ წლებს და ახლაც, ყოველთვის, როცა ატმები აყვავდებიან, თვალწინ ჩვენი სიჭაბუკე მიდგას, ალიონა ახლაც სიყვარულით მეძახის, ჩემდამი ოცი წლის წინ, ბელორუსი მაყურებელისაგან შერქმეულ სახელს „ვოტ არტისტ!“ ეს ორი სიტყვა, ჩემთვის ბელორუსიაში გატარებული იმ ახალგაზრდული სამი დღის ანარეკლია, რომელიც ტკბილმოგონებად მრჩება და რომელმაც ქართველი და ბელორუსი ხალხის სიყვარულის კრედოთი, მსოფლიოში ანალოგს არმქონე, ქართულ-ბელორუსული სასაუბრო ლექსიკონი შემაქმნევინა...

მოლდოვის ცის ქვეშ...

ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის ავარიის ლიკვიდაციის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროცესების მიუხედავად, ჩვენი სამხედრო ნაწილი, უკრაინის ჩრდილოეთით, ქალაქ ჩერნიგოვში გადაიყვანეს, მასპინძლებმა, სამხედრო ნაწილში მყოფმა ჯარისკაცებმა, საოცარი სითბოთი მიგვიღეს და ჩვენს შორის, ფარაჯიანი ბიჭების ძლიერი მეგობრული ურთიერთობები დამყარდა... მე როგორც ორწლიანი ოფიცერი, ასეულის უფროსის მოადგილედ დამნიშნეს პოლიტ. დარგში, რასაკვირველია მუშაობას იდეოლოგიის კუთხით ვანარმოებდი და თითქმის ყველა ჯარისკაცის ,, მე“-ს ვიცნობდი, განსაკუთრებული ურთიერთობა კი კედლის გაზეთის მთავარ რედაქტორთან ლონ კოჟაკარუსთან მქონდა, ერთად ვამუშავებდით წერილებს, ვასწორებდით, ვარედაქტირებდით და ასე გადაგვქონდა კედლის გაზეთის ფურცელზე, ლონი ყველაფერთან ერთად კარგად ხატავდა, რასაკვირველია გაზეთსაც საოცარი რუდუნებით სხვადასხვა ნახატებით აფორმებდა, რის გამოც ჩვენი ასეულის კედლის გაზეთს სამხედრო ნაწილში პირველობა არავისთვის დაუთმია, ლონი- მოლდავეთიდან იყო, ხშირად მოლდავანს ვეძახდით და იცოდა, რომ თვითონ იყო ამ გამოძახილის ადრესატი, ამიტომაც ჩვეული სიდინჯით გვეპასუხებოდა ხოლმე, მისი მშობლიური ქალაქი ბელცი იყო, რომელიც მოლდოვის ჩრდილოეთით მდებარეობს, კიშინიოვიდან - სულ რაღაც 123 - კილომეტრის დაცილებით, მდინარე რეუტზე, რომელიც მდინარე დნესტრის შენაკადია, იგი ბელცის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო... ძალზე კარგად იცოდა თავისი ქვეყნისა და მსოფლიო ისტორია, განსაკუთრებული რუდუნებით საუბრობდა,

იმის შესახებ, რომ მოლდოვის ტერიტორიაზე ადამიანის განსახლების კვალი ადრეული პალეოლითიდან დასტურდება. აღმოჩენილია ადრეული პალეოლითის მუსტიეს კულტურის სადგომები აღმოჩენილია სოფლებთან: ბუტეშტთან, ბუზდუჟანთან და ტრინკასთან. გვიანდელ პალეოლითში გამოჩნდა თანამედროვე ადამიანის ტიპი კრომანიონელი (სოფ. ჩუტულეშტი). ქვეყნის ტერიტორიაზე ასევე დაფიქსირებულია ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარებიც. ძვ. წ. IV- III საუკუნეებში მოლდოვის ტერიტორიაზე დასახლება დაიწყო გეტებმა. ძვ. წ. I საუკუნიდან იწყება რომის იმპერიის ექსპანსია. რომაელებმა დაარსეს პროვინცია მეზია. იმპერატორმა ტრაიანემ კი ორი მძიმე ბრძოლის შემდეგ დაიპყრო გეტების ტერიტორია და დააარსა პროვინცია დაკია. დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის რომანიზაცია. დნესტრისა და პრუტის შუამდინარეთი პროვინცია დაკიის შემადგენლობაში არ შესულა, თუმცა მისი მოსახლეობა განიცდიდა რომაელთა ძლიერ გავლენას.²⁷¹ წელს ბარბაროსების გავლენის გამო რომაელები იძულებული გახდნენ მეზობელი დაკიიდან დაეხიათ უკან და გადავიდნენ მდინარე დუნაის მარჯვენა ნაპირზე. ხალხთა დიდი გადასახლების დროს დნესტრ-პრუტის შუამდინარეთში შეაღწიეს სხვადასხვა ბარბაროსულმა ტომებმა: ვენელებმა, გუთებმა, სარმატებმა, გეპიდებმა და სხვა.

V-VI

საუკუნეებში დნესტრ-პრუტის შუამდინარეთში შეაღწიეს სლავურმა ტომებმა, რომლებთანაც მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილიაცია. სლავები გაერთიანდნენ ორ ტომთა კავშირში ანტებთან დასკლავინებთან, რომელთა შორის საზღვარი, ისტორიკოს იორდანისის მიხედვით გადიოდა მდინარე დნესტრზე. X საუკუნეში სლავები

კიევის რუსეთის შემადგენლობაში შევიდნენ. XIV საუკუნემდე თანამედროვე მოლდოვის ტერიტორია სხვადასხვა ტომთა დაჯგუფებებისა (გეტები, დაკები, გუთები, ანტები) და სახელმწიფოებრივი გაერთიანებების (კიევის რუსეთი, გალიჩის სამთავრო, ოქროს ურდო) გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. XIV საუკუნის II ნახევრიდან მოლდოვის სამთავროს შემადგენლობაშია, XVI- XVIII საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიის მმართველობის ქვეშაა. XVI საუკუნის პოლონელი ისტორიკოსი ლეონარდო გორეცკი მოლდაველებზე საუბრის დროს აღნიშნავს: „მოლდაველების რწმენა და წეს-ჩვეულებები ძალიან ახლოს დგას ბერძნულ და სომხურ ეკლესიებთან. მათი მღვდლები ქორწინდებიან. მოლდაველები განსაკუთრებით განთქმულნი არიან ცხენოსნობით, მათ შორის ყველაზე ღარიბებსაც კი ჰყავთ ცხენები, ლაშქრობისა და ბრძოლებისათვის გამოსადეგი. უნგრელებივით შეირალებულნი არიან ფარებით, მუზარადებით და შუბებით.“

1711 წლის 13 აპრილს მოლდოვის გოსპოდარმა დიმიტრი კანტემირმა ქალაქ ლუცკში პეტრე I-თან დადო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მოლდოვამ შეინარჩუნა ავტონომია, მაგრამ შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1711 წლის ივლისში პრუტის წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ ლუცკის ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა და მოლდოვა კვლავ ოსმალეთის ვასალი გახდა, დიმიტრი კანტემირი კი რუსეთში გაიქცა. XVIII საუკუნის დასასრულს რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის ხელში გადავიდა დნესტრის მარცხენა სანაპირო, ხოლო 1812 წელს- ბესარაბია. 1858-1861 წლებში მოლდოვა და ვლახეთი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ, რომელმაც მოგვიანებით მიიღო სახელწოდება რუმინეთი.

1917 წელს გამოაცხადეს მოლდოვის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. 1918 წლიდან ბესარაბია რუმინეთის შემადგენლობაშია. 1924 წელს უკრაინის სსრ-ის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მოლდავეთის ასსრ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელმოწერის შედეგად, 1940 წლის ივნისში რუმინეთი იძულებული გახდა ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა სსრკ-სთვის დაეთმო. ჩამოყალიბდა მოლდავეთის სსრ. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941-1944 წლებში, მოლდავეთის სსრ დაიპყრო გერმანულმა და რუმინულმა სამხედრო ძალებმა და შეიქმნა ბესარაბიის საგუბერნატორო. 1944 წლის 24 აგვისტოს იასი-კიშინიოვის ოპერაციის შედეგად მოლდავეთის ტერიტორია კვლავ რუსულმა სამხედრო ძალებმა დაიკავეს, იმ სამხედრო ძალებმა, რომლის რიგებშიც ახლა ორივენი პატრიოტიზმის გრძნობით ვმსახურობდით, ბევრი რამ მოგვწონდა, უმეტესობა არა! - მაგრამ... ჰო ასე იყო მაშინ ...

ერთხელ ლონი, გამოძახების გარეშე გამომეცხადა, მხედრულად მომესალმა და მაუწყა: -თავისუფლებაზე გასვლა მინდა საღამომდე, მოლდოვადან დედა ჩამომივიდაო, -უარს როგორ ვეტყოდი, მაშინვე ამოვუნერე თავისუფლებაზე გასვლის ფურცელი და ვურჩიე, სასწრაფოდ დაეტოვებინა სამხედრო ნაწილის ტერიტორია, დრო რომ არ დაეკარგა, ის კი ფეხს იდგამდა, რალაცის თქმას აპირებდა, ბოლოს გაბედა და:- დედამ მითხრა, იქნებ თქვენი ლეიტენანტი დაპატიჟო ჩვენებურ, მოლდოვურ, ვახშამზეო, აქვე, ჩვენი ნაწილის გვერდით, ორი დღით აილო ბინა! - ისეთი მორიდებით მითხრა, უარი ვერ ვუთხარი... ის, ოცდაათი წლის წინანდელი ვახშამი კი, ჩემთვის დღემდე დაუვიწყარია...

დათქმულ დროს, დათქმულ მისამართზე გერმანუ-

ლი სიზუსტით გამოვცხადდი, ლონიმ დედა გამაცნო, არაჩვეულებრივი ქალბატონი, მშობლიური ალერსით, ექიმის პროფესიით, - სადაცაა ჩემი დაც შემოგვიერთდება, ტკბილეულის საყიდლად გავიდა, რომ სუფრას შევმატოთ - მითხრა მასპინძელმა და კარიც მოურიდებლად გაიღო, - სოფი! - მითხრა მან და ხელი გამომიწოდა, არ მახსოვს რამდენ ხანს მქონდა მისი ხელი ხელში, ერთი კია, საგრძნობლად დავიბენი, მისმა სილამაზემ ისე მომხიბლა რომ... სოფი ზუსტად ჩემი ხნის იყო, ჩვენი ხნის იყო ლონიც, სამივენი ერთი ხნისანი ვიყავით, ლონი და სოფი ტყუპები იყვნენ... ვახშამმა მართლაც დიდებულად ჩაიარა, სამხედრო ნაწილში, სალამოს ათ საათამდე უნდა გამოვცხადებულიყავით, ამიტომაც ცოტა ავჩქარდით, თუმცა ჩემგან სოფისადმი განსაკუთრებული ყურადღება და პირიქით, ალბათ ისეთი თვალში საცემი იყო, რომ მაგიდის დარჩენილ ორ წევრს, ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ, მაგკი არა და...მეორე დღეს, ლონის ოჯახის წევრების გაცილებაზე, მე და სოფი ერთმანეთს თვალებით სიყვარულს ვეფიცებოდით... მერე როდესაც სოფისაგან ჩემს სახელზე უფრო მეტი წერილი მოდიოდა მოლდოვეთის არც თუ პატარა ქალაქ ბელციდან... ლონი ყველაფერს ხვდებოდა, მერე მეც სიმართლეში გამოვუტყდი, ვუთხარი ჩემი და სოფის ურთიერთმოწონების შესახებ, მაგრამ კულმინაციას ჩვენმა ურთიერთობამ სოფის ქ. ჩერნიგოვის სამხედრო ნაწილში მორიგი ვიზიტისას მიაღწია, სასიყვარულო წერილების შემდეგ, ერთმანეთს მონატრებულნი ისე ჩავეკარით, რომ სიმპათიების დამალვას აზრი აღარ ჰქონდა... მერე სერჟანტი ლონ კოჟაკარუსი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასაგრძელებლად სხვა ნაწილში გადაიყვანეს, ბალტიისპირეთში, წერილს ახლა სოფიდანაც ვღებულობდი და ლონიც ხშირად მეხმარებოდა... მერე, კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლა დრო... მე მოვიხადე

მხედრული ვალი და მაშინ, როდესაც საქართველოში დაბრუნებული ისევ მოსკოვში გავემგზავრე, როგორც ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ორიოდე დღის შემდეგ, დეკანატს დავეთხოვე და გეზი მოლდავეთისაკენ ავიღე, არც თუ პატარა, მაგრამ ძალზე წყნარი ქალაქია ბელცი, თავისი ძველი არქიტექტურითა და თანამედროვეობით, აეროპორტიდან პირდაპირ ტაქსი ავიყვანე, თუმცა ადგილობრივებმა მითხრეს - აქედან 10- წუთშია ქალაქის ცენტრში ტროლეიბუსითაც მიხვალო,- ტაქსის მძღოლს მისამართი ვუკარნახე - ბაბუშკინას ქუჩა 7- გაიმეორა და თითქოს წაუმღერა კიდეც მძღოლმა, რომელმაც ბერკეტი გადასწია და ხუთიოდ წუთში აღნიშნული მისამართის ბინის სადარბაზოსთან დაამუხრუჭა, მეორე სართულზე სულმოუთქმელად ავირბინე და კარებთან მიმაგრებული ზარის ღილაკზე თითის დაჭერისას გული გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით მიფართხალებდა... რამოდენიმე ცდის მიუხედავად კარი არავინ გამიღო, ამიტომაც გვერდით მეზობელს შევეხმინანე - კოჟაკარუხები რუმინეთში, ბუქარესტში გადავიდნენ საცხოვრებლადო - მისამართი არავინ იცოდა, ვერც ოჯახის ახლობლებს მივაგენი ბელცში და დარჩა ასე ერთი სიყვარულის ამბავი, მარადიული, არშემდგარი სიყვარულის ამბად, თუმცა ჩემს მოლდოვურ ვოიაჟს უკვალოდ არ ჩაუვლია, ზედმიწევნით კარგად და ახლოს გავიცანი ამ უძველესი ერის კულტურა, მათი ურთიერთობები რუმინეთთან, რომელიც უფრო მოგვიანებით, მსოფლიოში დღემდე ანალოგის არმქონე, რუმინულ-ქართული ლექსიკონის შედგენით დასრულდა, მანამდე კი... მანამდე, უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთში ლექსების ციკლი გამოვაქვეყნე - „მოლდოვის ცის ქვეშ“...

* * *

სიყვარულის ახსნის ახლებური ფორმა - „არაჩვეულებრივი ლენტების“ საშუალებით გამოიგონეს არგენტინელებმა, აქ - საკმარისია მიაკითხოთ ფირმა „აეროს“, რომელიც გამოკვეთილი ასოებით, სასურველი ფერის ლენტზე, თქვენს მიერ შეთავაზებულ ტექსტს გააფორმებს და თქვენს მიერ მინიშნებულ ქუჩაზე გააკრავს, სადაც სიყვარულს ახსნის ეს „მონუმენტი“ ხუთიდან - შვიდ დღემდე დარჩება!

* * *

ჭეშმარიტი სიყვარული ეს არის, როცა წყვილი ერთმანეთს კი არ უყურებს, არამედ, ერთ მხარეს იყურებიან!

* * *

რა იწვევს ყველაზე დიდ ნერვიულობას, გულისტკივილს, ჟრუანტელს?... ყველა საუკუნის პოეტები ამ შეკითხვას ერთაზროვნად პასუხობდნენ: - სიყვარული! - მაგრამ, ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური ჯგუფი, რომელიც ლინკოლნის უნივერსიტეტის 250 - სტუდენტისაგან დაკომპლექტდა, აღნიშნული აზრიდან შორს დგას, პირველი ადგილი ადამიანთა ფსიქიკის განცდებში უჭირავს არა სიყვარულს, - არამედ მუსიკას! მეორე ადგილი - კინოფილმებისა და თეატრალიზებულ სანახაობათა ტრაგიკულ სცენებს! მესამე - დაკვირვებებს ბუნების სილამაზესა და ხელოვნების ქმნილებებზე! - სიყვარული, ისევე როგორც ნერვიულობა მეექვსე ადგილზეა!

ეს სიყვარულმა შემაძღვინა

ვტყუებ უდაბნო, დავდგი ძეგლები,
განათლებისთვის ვაშენებ ბინა,
აქ ლაინერი, რომ დავაყენებ,
ეს, სიყვარულმა შემაძღვინა...

ჩემი სამშობლო, ეგ ზომ ძლიერი,
სულ სართულებად ჰყვაროდეს მინდა,
სიკეთის ჰიმნი, რომ ავაჟღერებ,
ეს, სიყვარულმა შემაძღვინა!

ამ წიგნის გვერდიც, სიცოცხლის
ტრფობით
შენზე ოცნებამ შემაქმნევინა,
ეს შენებაც და აღმშენებლობაც,
სულ, სიყვარულმა შემაძღვინა!

და სიყვარულის ამ კონცეფციამ
ლექსების წერა დამანყებინა,
ორმოცდაათი ტომი დავწერებ,
ეს, სიყვარულმა შემაძღვინა...

ყველა პროექტი შეშლილიაო -
უსიყვარულომ კიდევ დამცინა...
მე ასე ლექსი გიძღვენი ერთ დღეს,
ეს სიყვარულმა შემაძღვინა!

* * *

მადონა ხარ ღვთის შობილი
ათას ქალში ნაცნობელი,
კავშირი გაქვს ღმერთთან ალბათ,
გიცან ჩემი გულის წამლად...

სილამაზით ჩრდილავ მთვარეს,
ანათებ მთელ არემარეს...
შენ წამრტაცე გულიც, სულიც,
დავრჩი შენგან დაისრული...

* * *

თითქოს სული მაქვს ჩადგმული
უფლის მოციქულ წმინდანთა;
ჯერ კაცის ენით არ თქმული
მიუღწეველი ბინათა.
მეგონა სულ განუყრელი
ჩემი სვე-ბედის კამკამი,
მაგრამ ჩამოწვა ღრუბელი
გულზე ამომდო ლაგამი.
შემომხვდა ლამაზ ასულთა
სიმბოლო-ის თეთრი გედი
და დამიმსხვრია წარსულთან
დარჩენის ყველა იმედი...
მაგრამ... გავბედე, მეკოცნა,
ერთხელ მეკოცნა მაინცა...
შეცბა, შემხედა მე მორცხვად
შეტრიალდა და გაიქცა.

* * *

მე წარმოვიშვი
მთვარის ლანდიდან,
ჩემი აკვანი
იყო ვულკანი,
ნისლმა შთამბერა
სული თანდათან
და მზემ ჩამიდგა
თავის გულგვამი.
მე მაინც დავთმე
ყველა ერთიან,
თუმცა სამოთხე,
ჩემი, მიყვარდა...
მინდოდა შენთვის
ღამე მეთია,
ჩამოვმჯდარიყავ
შენს სასთუმალთან...
ქვეყნად მალული
არაფერია,
გასაკვირი და
გაუგონარი,
მაგრამ სავალი
თუ აგერია -
თვალეზს დაგკორტნის
შავი ყორანი.
მსურს სიყვარული
ჩვენი დასრულდეს,
ბოლო მოედოს
ტანჯვა-წვალებას,
და, ტკბილი ყოფა
გვექონდეს ამიერ, -
ლოცვა-კურთხევა
შენს მობრძანებას!

* * *

უნატიფესი მაგ სილამაზით
ეთამაშები ცაზე ვარსკვლავებს,
ქალი კი არა, ქარაშოტი ხარ...
ჩემს გზებზე მზედ და მთვარედ მოდიხარ,

მიმონათებ ბორცვებს და ზეგნებს
გულანთებული თვალს ვერ გაშორებ...
შენ გიძღვნი რითმებს, შენ გინერ ლექსებს...
და მერე, კარგო, შენზე თქმულ პნკარებს,

შენზე თქმულ ლექსებს მე თრთოლვით შევკრებ
და ყველას, გულში დავუდგამ ძეგლებს!

* * *

ერთი წამიც ვერ გავძლებ,
კარგო, უსიყვარულოდ!
ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს
განა უსიხარულოდ?!

მოვუფრთხილდეთ ყოველ წამს
ჩვენი გრძნობის საბუდარს...
დაკარგული ოცნება
ლექსთან ერთად დაბრუნდა...

* * *

შენტვის ვცოცხლობ, შენტვის ვკვდები
წარბმშვილდავ და თვალმიმინოვ,
მინდა ჩემი სათნო გული
ფიანდაზად გაგიფინო!

ნუ მძრახავ, თუ ვერ დავძლიე
სევდა გულზე მონოლილი,
ბაგე შენი - თილისმაა,
კოცნა - შენი, მოგონილი...

* * *

საოცარი რითმები, სილამაზის ჩქერი,
ბაგე მიმზიდველი, ვარდისკოკრის ფერი,
ღანვი ღვთის ნახატი, ტანი მშვენიერი,
წარბი დაკალმული შავი ყორნისფერი,

სიკოხტავე შენი, ფერიის საფერი
მოუცია გამჩენს შენტვის ყველაფერი...

* * *

ჩემგან ნატყორცნი ისარი აგცდა,
კარები ცხვირწინ გამომიკეტე,
მსურდა მომეძღვნა ეს ლურჯი ცაც და
შენთვის მინდოდა ყველა სიკეთე...

მაგრამ არ მერგო უფლის წყალობა -
ჩემს ახლოს ისევ არ მეგულები,
ნუთუ არ გესმის გარდუვალობა,
კუბოს რომ ამკობს თაიგულები?!

ვიდრე ვცოცხლობ და სიყვარულს გვერდრი.
და ეგ სინაზე მხიბლავს, ქალური,
მინდა, რომ გახდეს ჩემი წილ-ხვედრი
შენი ღიმილი და სიყვარული..

* * *

ნორვეგიელმა მეთევზემ მარტინ ავრაგმა, ადგილობრივ გაზეთში, რუბრიკით „გაცნობა“, ანონიმურად გამოქვეყნებულ წერილზე, პასუხი თავისი ყოფილი მეუღლიდან მიიღო და **55** - წლის მეთევზემ, კიდევ ერთხელ დაუკავშირა ბედი ქალს, რომელსაც **18** - წლის წინ გასცილდა.

* * *

შენი თვალები შორიდან მიცქერს
და დიდკაცურად მალლით დამყურებს,
გამჩენმა იცის, ვინ-ვის რას მისცემს,
როცა ზამთარი მოგვიკაკუნებს.

პირველად თითქოს მეჩვენე წყნარი,
თვალებიც გქონდა სანდო, წყლიანი,
წარბ-წამწამების გეყარა ჯარი
და მდიდრული თმა ნაწნავიანი.

ახლა გაპარსულ გოშიას გავხარ
ალარც მსურს შენთან ხვეწნა-ვედრება,
სულ უსაქმურად ქუჩაში დგახარ
თითქოს გინდოდეს შემოკედლება.

მაგრამ თუ გითხრა სიმართლე სრული,
გულის ნადები თუ გავამჟღავნო,
არ გაჯავრდე და არ დაგწყდეს გული,
დაიმახსოვრე სამარადჟამოდ: -

შენს გარდა არც სხვას არ შერჩენია
ტურფა სინაზე და სილამაზე,
არცერთი ვარდი არ დარჩენილა
დაუჭკნობელი ამ ქვეყანაზე.

* * *

მე რომ მომწონხარ, ეს შთაგონება,
იქნება ღმერთმა უფრო მასწავლოს,
მაგრამ ვაიმე, ეს მოწონება
სიყვარულში რომ გადაიზარდოს?

* * *

ყვავილების ტევრში მოვხვდეთ...
მეც ვიცხოვრებ შენთან, კარგო,
იქ, მომწამლავ ჯოჯოხეთში
იქნებ უფრო შემიყვარო?

ვფიქრობ, რომ ხარ ჩემთვის ქალო,
ოცნების და ცრემლის წყარო,
გული წიგნი ხომ არ არის,
მითხარ, რომ გადაგიშალო?

* * *

შენ მოგიძღვენი მთელი ცხოვრება,
ჩემი სიცოცხლის შენ ხარ მმართველი,
მინდა სიყვარულს დავუდგეთ მტკიცედ
ერთად ავანთოთ წმინდა სანთელი...

მაგრამ ვიღაცამ დრო მომიზომა
წამებს მითვლის და გრძნობებს მიწუნებს
უნდა დამცეს და გამანადგუროს,
რომ შემადაროს კაცი, კაცუნებს.

* * *

არ გაპატიე
და ლალატისთვის,
მე მოგექეცი
ძალზე სასტიკად,

დღეს არ იფიქრო
შენთან მოვედი,
ჩემი ცოდვების
გამოსასყიდად;

უბრალოდ შეგხვდი,
არ მოგელოდი,
სალამი გითხარ,
შენ კი შეჩერდი,

ხელი როდესაც გამომიწოდე,
რა ცივი იყო
შენი ბეჭედი...

* * *

უსიყვარულო სიყვარულს ვტირი,
უცრემლო თვალებს ცრემლი სწყურია,
და უდარდელთა დარდიანობით
საბრალო გული გათანგულია...

* * *

ოცნებებიდან რეალობამდე
დამატარებენ შენი ლანდები,
ოი! ღმერთო რა ნელა იხსნება
ცხოვრების სცენის მიძიმე ფარდები...

* * *

უშენოდ ჩემი სიცოცხლე,
დღეს არის უსინათლობა,
„მესიჯის“ მონერისათვის
ჩემგან უღრმესი მადლობა.

როგორც ცა ხმელეთს დაჰყურებს,
აერთებს, აკიდევანებს,
ასევე შენი „მესიჯი“
ყოველთვის აღმაფრთოვანებს...

* * *

მოლზე ბიბინებს
ტალღა გვირილის,
მეც ზღაპარში ვარ,
ასე მგონია.
და სიყვარულით თუ ავტირდები,
სიმღერა მასთან
მონაგონია...

* * *

შენზე ვოცნებობ, შენსკენ ილტვის
სული და გული,
ახლოს მეგულვი, მაინცა ხარ გადაკარგული...
ცივდება სისხლი, ქრება გულში ცხელი ბუხარი,

დავალ უშენოდ, დარდით, ფიქრით,
მწუხარ-მწუხარი.
მიყვარხარ! - თითქოს ხმაშენწყობით
მღერის არღანი

და ამ სიყვარულს ხმას აძლევენ მთანიც
მაღალნი...

* * *

ჩემგან ნუ ელი ბრილიანტებს,
ვერცხლსა და ოქროს,
უსულო საგნებს თაყვანს არ ვცემ
ქვეყანად სრულიად,

ოცდამეორე საუკუნის
სიყვარულს ვხედავ...
ოცდამეერთე - ცივ ნივთების დასასრულია.

* * *

გშვენის ფერი, ჰო. ზღვისფერი,
ელვარება მზისებრ...
ვიცი შენთან მოსასვლელად
სიყვარულით გამიუქმებ ვიზებს -

ავისრულებთ ერთად ყოფნით
ოცნებებს და მიზნებს...

* * *

მთელი ცხოვრება გავიდა თითქოს
რაც შენი ხელი,
ხელში მეჭირა...
ძლიერ მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელ

შენს ხელის გულზე -
მომავალი რომ განმეჭვრიტა...

* * *

სიმპათიების ადრესატი ხარ,
მეც მაგ თვალებით ვარ მონუსხული,
ვერ გამოვიცან შენი მიზანი,
ვერ ამოვხსენი შენი ლურსმული...

სამარადისოდ და უნუგეშოდ,
სიყვარულის ჯვარს
ვარ მილურსმული...

* * *

მე ამ ქუჩაზე დავდივარ ხშირად,
შენი სარკმლიდან გამოდის შუქი
ო, როგორ მინდა მოვიდე შენთან
მოგეფერო და ჩაგიკრა გულში,

მაგრამ, ვაი რომ, შორსა ხარ უკვე!
არც ვინმე მოჩანს ჩემი მშველელი...
ვბრუნდები უკან, მომყვება ჯარად
ტკივილი, ნატვრა აუხდენელის...

* * *

რა ვქნა ეს გული ვერ ეჩვევა წლების სიმძიმეს,
დარღვეული მაქვს გულის ცემა, წნევის სიხშირე...
რაც შენ გიხილე, დამეკარგა ძილი, სიმშვიდე...
ერთადერთ წამლად შენ მეგულვი ჩემო ირინე!

* * *

მომანოდეთ ეგ ფიალა,
ჩემო სატრფოვ,
მოდო ჩქარა,
დარდმა შემაფიქრიანა,

სიყვარულს ვსვამ,
სულ, მთლიანად!

* * *

შენ ჩემი გულის ძგერა ხარ
და ჩემი სუნთქვა მთლიანი,
მადლობელი ვარ, ყოფილხარ
ნამდვილი ადამიანი,

შენს გულში, ვიცი, არ შევა
ლალატის უსამართლობა,
მაგ წმინდა სიყვარულისთვის
ჩემგან გულწრფელი მადლობა!

* * *

დღისით შორს ხარ, ღამით ახლოს,
გზას მინათებ ყამარივით,
მუდამ ჩემს სხეულში სახლობ
უკვდავების წამალივით,

შენ ხარ ჩემი სალოცავი,
გზიდან გზაზე გამოსული
მოკამკამე წყაროსავით
ძარღვში სისხლად წამოსული.

* * *

რა მანძილია, გინდა იცოდე
დავინწყებიდან - მონატრებამდე?
უნდა იარო მთელი სიცოცხლე
ნმინდა დედათა მონასტერამდე...

გადაუარა წარსულს ბურუსმა,
მეც გამიკვირდა, რა მოკლე გზაა
სიყვარულიდან - სიძულვილამდე!

* * *

მთის ფერდობზე
ჩანოლილა ნისლი,
უშენობას გული ველარ
ითმენს,

გული გნატრობს
გული ველარ იცდის,
შენი ნახვით
მეყინება სისხლი...

* * *

რას მივანერო შენი დუმილი?
სხვა სიყვარულიც იქნებ გიცდია,
მიდი, აიღე, კარგო, ყურმილი
თუ სიყვარული გამოგიცდია!

იქნებ, ჩვენს შორის არის საზღვარი
ვიცი, უფროსი ვარ წლოვანებით,
მაგრამ გრძნობები მაინც თავს იჩენს
თუ შეპყრობილი ხარ მძულვარებით.

გული რას ეძებს, თვალს მას ნახავს,
შენს გიშრის თმაში მზე ჩაქსოვილა,
და მზესაც წლების სიცივეც ახლავს,
შენს თმაშიც ზამთრის სუსხი ყოფილა.

ვიცი ხარ ნაზი, ლამაზი, ქორფა,
გიყურებ, თითქოს სულით ვმშვიდდები,
მაგრამ თუ კაცის არ შეგწევს ცნობა,
ბოლოს უმწეოდ აქვითინდები...

* * *

ღამემ ნისლებით გაიარა და
ვარსკვლავთა ჯარი თან ახლავს სიზმრებს
და შენს ეზოში შემოსულს, კარგო,
ო, როგორ მინდა, რომ მერქვას სიძე.

ვერ შეგხვდი ვერსად ოცნების გარდა,
ალბათ შენ მაშინ იყავი ბალღი,
იცი?! - გეძებდი მთელი სიცოცხლე
დამაგვიანდა ძებნაში დაღლილს...

* * *

შენი შემოხედვა კითხვის
ნიშანს მისვამს,
არ ვიცი, რა ხდება,
ახდება სიზმარი?!

ჰო, ვერ დაგივიწყე და ისევ მოვედი...
მე ასე მივდივარ
შენს სახლთან ცისმარი!
თან თავს ვეკითხები:

- ცხადია თუ სიზმარი
ცხადია თუ სიზმარი?!

* * *

ისე მიყვარდი შენში ანგელოზს
ვხედავდი ღვთიურ ფრთების შრიალით
არ ვაკარებდი წმინდა ავგაროზს
და მწვავდა შენთა თვალთა ბრიალი,

მაგრამ, ხომ უთქვამს ვილაცას ბრძნულად:
„ანგელოზსაც ჰყავს ეშმაკი სულად“
დღეს სატანას შენთვის
გული შეუცვლია,

ოჰ, ეშმაკებს,
თურმე ბევრი შეუძლიათ.
ჩემი ლალატით ულალატე
ადამიანებს,

ოჯახებს ანგრევ
უკან დასდევ ცოლშვილებს
უფსკრულზე დგახარ
ღმერთს ხატავ და არ ხარ მხატვარი,

ანგელოზი ხარ და ეშმაკის მთავარსარდალი.

* * *

შენს სილამაზეს ლექსის სხივი აღარ სჭირდება,
თვითონ სხივფენო, ანგელოზიც შენით კვირდება,
შენი შემეკობა დიდ პოეტსაც გაუჭირდება
და მე ვინა ვარ, რომ გავბედო შენი შექება? -

თუ სიყვარულზე დაწერილა ლექსთა კრებული,
პოეტის გულში გრძნობა იყო გამეფებული,
შენზე რომ ვწერო და შევკინძო მთელი
რვეული ის არ იქნება შენი კადრი ნათელფრქვეული.

* * *

დავშორდით თითქოს და ისევ შევხვდით...
შენც იტირე და მეც ამატირე,
მაკოცე, ბაგით მომაჯადოვე,
თავი ამ გრძნობებს ვერ ავარიდე.

ო, ამ შეხვედრას ვეთაყვანები,
ვგრძნობ შენგან მოდის მშვენიერება,
შენთან შეყრის რომ არ მქონოდა კიდევ იმედი,
დასრულდებოდა ჩემთვის ყველა ბედნიერება.

* * *

მეთექვსმეტე წელიწადმა სიყვარული მოგვიტანა,
სილამაზე შენს წინაშე თავს დახრიდა, ალვისტანა,
შეიძლება ბევრი შეგხვდეს კარგი, ანდა - ჩემისთანა,
მაგრამ გულით სიყვარული არ იქნება ჩვენისთანა...

* * *

თუ მომწყდება თვალზე წვეთი
შენი ხელი მომაშველე,
შემისრულე თხოვნა ერთი,
შენს თბილ მკერდზე დამასვენე...

* * *

ლექსის ბნკარი მაქვს ახლა სამოსად,
შენს სიყვარულის ზღვაში ვეშვები...
ჩემი გრძნობების უკვდავსაყოფად
შენზე ოცნებებს ვერ შევეშვები,

გწამდეს, ურთიერთსამარადუამოდ,
ოკეანესაც დავცლი პეშვებით...

* * *

საჭეს მართავ და სიჩქარის კურსით,
ჩამოიტოვე უკან შუქები,
ახლა წინ არის დიდი ქალაქის
ქუჩები, ასფრად განაშუქები.

ო, როგორ მინდა
შენს გვერდით ვიყო.
და მე ვმართავდე
საჭეს კი არა, -

შენი ცხოვრების მომავალ მიზანს,
მსხვილმანს და წვრილმანს -
რომლითაც მაგ შენს გულამდე მივალ!

* * *

შენ აგიღია ხელში ლახვარი,
გულში ჩაგეცა, როგორ გენება,
და ის ლახვარი, შენგან ნახმარი
გულში ჩატოვე ნუ გენანება...

იქნებ, ღვთაება გწამდეს მაღალი...
მოსვიდე, ნახო, გამოსვენება,
გადამაფარო წამოსასხამი,
არ გამატანო კოცნის ოცნება...

* * *

იკითხე ლექსები, - ამ სულის ღაღადი,
მე თუ ვარ მოკვდავი,
არც შენ ხარ მარადი...
შენზე ვოცნებობდი და მთელი ღამე,

სიზმარში გხედავდი - მთვარეს, მოკამკამეს...
დამდგარხარ, მიცქერი,
მხედავ და გხედავ
და მხოლოდ სიზმარში შენს კოცნას ვხედავ, -

შემდეგ, რატომღაც, გამიქრა ძილი
და ისევ შორსა ვართ ათასი მილით...

* * *

ისევ გიცხადებ
სიყვარულს თამამად,
ამ გრძნობებს
ყოველთვის

უფალი ფარავდა,
ჰოდა ამ სუფრაზე
დაგვლოცავს თამადა...

* * *

როცა ვხედავ შენს წარბ-წამწამს
და შენს სახეს ეგ ზომ კეთილს,
უბე ცრემლებს ვერ იკავებს -
თვალებიდან ჩამონვეთილს.

ხომ ხედავ, რომ შენთვის ვდნები,
რად იქცევი ასე, ქალო?
გელოდები, სათუთ ხელით,
იქნებ, ცრემლი შემიმშრალო...

* * *

შენსკენ მოვფრინავ
ოცნების ფრთებით,
აღუწერელი მოკვდავის ენით,
მსურს განმიმტკიცო

სიცოცხლის დღენი,
ზეცას სწვდებიან
ფიქრები ფრენით...
ბედნიერება

რჩეულებს შვენიო.

* * *

შენი თვალები დამცქერს მაღლიდან...
ჯერ არ მინახავს მრისხანე ასე...
შენი თვალები უფრო დამლლიდა -
სევდით და წრფელი ცრემლებით სავსე

მე აჩრდილივით უკან დამდევდა
შენი სიტურფე... კიდევ მაცდუნა!
მაშ რად მარგუნე ტანჯვა და სევდა?
შენს გამო გავხდი კაცი კაცუნა...

* * *

სიყვარული ლაბირინთი ყოფილა,
მისი გზები ყველგან დახლართულია,
მაგრამ მაინც ამ გრძნობების გარეშე,
ეს ცხოვრება უაზრო და რთულია...

* * *

ჩემი გრძნობა
მხოლოდ შენსკენ ილტვის,
რაც ამ ქვეყნად
მზის სინათლე ნახა,

ვერ ვივინყებ,
ვერც რამ ვნახე ნანა,
იმ პირველი სიყვარულისთანა...
როს ოცნება

გულის სიმებს არხევს,
და მომავლის
გზებს და მიზნებს სახავს,
შენ გიხსენებ,

შენს დიდებულ სახეს
და ყველაფერს,
როგორც ადრე, ახლაც
ვუკავშირებ შენს საყვარელ სახელს...

* * *

შენზე დარდით ჭრილობა მაქვს გულში,
და ეგ დარდი სამუდამოდ მრჩება,
ამიტომაც გადავწყვიტე გუშინ
ამ სალამოს შენი მოტაცება.

გულზე მძიმედ შემომანვა სევდა,
მოტაცება რისთვის გჭირდებოდა?
ბედისწერის წამზე გამახსენდა
ბავშვობაში ჩადენილი ცოდვა: -

ბუჩქის სიღრმეს გავხედე და ვნახე
მთლად სიღრმეში ბუდე ჩაძირული,
შევძვერი და ძუით გავსკვენ მახე
დამეჭირა ჩიტი განწირული.

მოფრინდა და არ მეხილა ჯობდა,
შევცქეროდი, ბუდეს როგორ ქსოვდა,
მაგრამ უცებ ხელი ვტაცე, ჰოდა -
იმ საბრალოს გული გახეთქოდა...

უამრავი ჭრილობა მაქვს გულში,
შენზე დარდი სამუდამოდ მრჩება
და ამიტომ გადავწყვიტე გუშინ
ამ სალამოს შენი მოტაცება.

* * *

ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს საწუთრო,
ლამაზებისთვის უკუღმართია?
მოდით და ნახეთ ბებერი მუხა -
სიბერისაგან რა დამართნია

დაღარული აქვს ამაყი ტანი
(ქალიც მინახავს სწორედ ამგვარი),
მაინც გოროზი შერჩა ელფერი -
და გულიც უცემს მხნე და მაგარი...

* * *

თუკი სიკვდილმა გამომდო ცელი,
მე სიყვარულის ვიქნები მსხვერპლი...
და მონაცისფრო ის ჩემი ფერფლი,
დაგელოდება! - არახილულში

რომ ავისრულოთ ოცნება ჩვენი...

* * *

შენს სიყვარულში
ვპოვე სიცოცხლე,
მხოლოდ შენ მიყვარხარ
გულთა მპყრობელი
მე შენით მინდა
ეს სანუთრო და
მე შენით მიყვარს
წუთისოფელი!
ვერვის ავუღწერ
და ვერც გამოვთქვამ,
მაგ ჯადოსნური
ტუჩების სიტკბოს,
თითქოს არსებობს
სამოთხე სადმე,
გაფრენა მინდა
ზეცაში, თითქოს...
განა არ ვიცი
არ ხარ გულგრილი,
შენი თვალები...
თითქოს მღერიან...
და მეც ვსულდგმულობ,
როდესაც ვხედავ,
თუ რა სიამით შემომცქერიან!
თუ სიყვარულის
შარბათი შევსვი
და შეიცვალა
ჩემი ბუნება,
შენი ტუჩების
ბრალია მხოლოდ,
რომელიც ტუჩზე
მესალბუნება...

* * *

ბნელი წყვიადი სიყვარულით შენ გამინათე,
თითქოს მოსულხარ ჩემს სახსნელად, გადასარჩენად,
შენ იარსებე, საუკუნევ, ოცდამეერთევე, -
ახალ-ახალი სიყვარულის აღმოსაჩენად!

მე შენ მიყვარხარ, მოწამეა დიდი უფალი,
მზად ვარ დავიცვა სიყვარულის წმინდა წესები...
მე არ მოვკვდები, მე კაცი ვარ თავისუფალი
და სხვას სიყვარულს არასოდეს დავესესები!

* * *

რაც თვალთა წმინდა მოკაშკაშე,
ყველა შენთვის უნდა შევიძინო,
დამშვენდები ქვას შენც სამკაულად
ნინო, ჩემო საყვარელო ნინო.
უშენობა დარდად მანევს გულზე,
აღარ ვიცი, როგორ დავიძინო,
სადაც წავალ სუნთქვა მესმის შენი
ნინო, ჩემო საყვარელო ნინო.
ბროლის თასი დავიჭირე ხელში,
შიგ კამკამებს ალისფერი ღვინო,
შენს ქალობას ვადღეგრძელებ მხოლოდ,
ნინო, ჩემო საყვარელო ნინო...
თასს დავცლი და ნაღველს ვიგრძნობ, ვიცი.
უშენობით, როგორ მოვილხინო,
ბევრს გაუქრა ტკბილი ძილი შენით,
ნინო, ჩემო საყვარელო ნინო!

* * *

თიხა მოვზილე ნეშტად ნაყოფი,
გამოვიყვანე დოქის მუცელი
და აი, ნახეთ შრომის ნაყოფი -
სიცარიელით გაჩნდა ჭურჭელი.

შენ სამუდამოდ გიძღვენი გული,
დროებით ჩემს გულს არ გათხოვებდი
და არ ვიცოდი თუ სიყვარულით,
სიცარიელეს მოვიპოვებდი.

თუმცა შემეძლო, რომ გამეკიცხე
არაფერიც არ გიმაგიერე...
და გულში დამრჩა შეუვსებელი
უზარმაზარი სიცარიელე!...

* * *

სიყვარულმა,
ვინ მოთვლის,
რამდენს გზა გაუნათა?
ან რამდენი ანამა,
რამდენს არ გაუმართლა!
ფეხით განვლო რამდენმა
ცხრა მთა, ან ცხრა გზა-შარა,
საით გადაიხვეწა,
ფრთა რა მხარეს გაშალა...

* * *

მე შენთვის ვიყავი ვილაც ნაცნობი,
შენ - ჩემთვის ნატვრა ყმანვილკაცობის,
მე - შენთვის ვიყავ თავგამეტება,
შენ ჩემთვის - ლოცვა და გაღმერთება

მე - შენთვის ვიყავ ყინულზე ცივი,
შენ კი - ყინულზე სხვისი ციმციმი
შენთვის ვიყავი ფიქრი საერთო,
ჩემთვის კი - ტანჯვა უერთმანეთოდ!

* * *

შენთან შეხვედრას სიამით ველი,
ჩემი გრძნობებით ხარ შეუცვლელი,
აგფეთქებია წითლად ღანვები -
მომაფოფინე მაგ წამნამები...

შენ ყურადღების ცენტრში ტრიალებ
და წელთა ნაკადს მოაშრიალებ!

* * *

ლამაზი არის, როცა ყანაში ყაყაჩოები დანამულია,
შენ რომ სიყვარულს თვლი სასწაულად,
იცოდე, ესეც სასწაულია.
მთებზე რომ ჰყვავის ათასფერებად

ეს ხომ გიჟმაჟი გაზაფხულია
და სიყვარული კი არა მარტო,
იცოდე ესეც სასწაულია.
შენ კი მიმტკიცებ რომ სასწაული

მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია
მაგრამ ჩემს ლექსებს როცა კითხულობ,
იცოდე ესეც სასწაულია...

* * *

მიყვარხარ და არ გითხრა?!
შენსკენ მოდის ფიქრები,
მივატოვებ ყველაფერს
მხოლოდ შენთან ვიქნები.

მზერა შემომანათე
და ნულარ გამიქრები...

* * *

თვითონ ვერა წყვეტ ჩემთან შეხვედრას
მე უნდა გითხრა ისევ, - ადექი!
იქნებ, ვერ ბედავ გრძნობის გამხელას
მე კი გამხვიე გრძნობის ბადეში.

თუ არ შევხვდებით, მოვკლავთ სიყვარულს,
ჩამოგვენგრევა თავზე კედლები!
თუ უკვე, სულაც, გადამიყვარე,
სიყვარულს ვერვის დაესესხები!

თუ... ფიქრობ, იქნებ, კიდევ განმტკიცდეს
განშორებისას ჩვენი გრძნობები...
მაგრამ უცბად რომ ფეხი დაგიცდეს,
ვინ გეყოლება თანამგრძნობელი?

მაშ, ისევ ერთად ვიყოთ, ორივე,
ვიდრე ამ სოფლის ქარი წაგვიღებს,
ისევ მე და შენ უნდა მოვრიგდეთ,
ჩვენ სხვა, ვერვინ, ვერ შეგვარიგებს!

* * *

მომეტხოვა სიყვარული შენთვის, ნეტავ...
შენ გეთხოვა ოქრო-ვერცხლი შენი წონა,
მოგიტანდი, ყოველივეს, იცის ღმერთმა,
სულზე ტკბილო, საყვარელო ჩემო ნონა.

ეს გახსოვდეს, ერთ რამეს გთხოვ,
როცა მოვკვდე, -
ცრემლიანი დამაყარე ვარდთა კონა,
იცოდე, რომ შენ მიყვარდი უკვდავ გრძნობით,
სულზე ტკბილო, საყვარელო ჩემო ნონა...

* * *

შენი მზის სხივი
მენტო ყოველთვის
და შენთვის ვწერდი
მე ყველა სტრიქონს

შენ გიმღერ
და ვარ
შენი პოეტი,
არც მინდა ვინმემ კალამი მიქოს...

* * *

არ გრძნობ ამ გულის უმანკოებას?
შენ ხომ ნორჩი ხარ...
ნორჩი ხარ, მე კი...
მაგრამ სიყვარულს ბრალს ნუ დასდებ

მთელი არსებით შენი ვარ მეგი!
გულს ჩამიშუქე სინათლის სვეტი,
რა დაგრჩენია თანხმობის მეტი?

* * *

გაგებედნა ერთხელ ჩემთან მოსვლა,
სიყვარულზე მოგესმინა ლოცვა,
შენთვის ვწერდი ლექსის ყველა სტრიქონს,
შენ მიყვარდი, სხვამ ვინ რა გამიგოს?

...დღეს კიდევ ვწერ სიყვარულის ამბავს,
ესაუბრე ხვალ ჩემს ობოლ საფლავს...

* * *

აღარ შეგრჩა გულში უკვე, ჩემო,
სიყვარული ძველი, უწინდელი...
ახლა, რა ვქნა, რაღა დავიჩემო,
აკი ვიყავ შენი მასპინძელი!

გეძებდი და წინ კლდედ აღიმართა
სიყვარული, ამიტაცა ზევით
მანყდებოდა ტალღა შეშლილ ქართა;
არსად ჩანდა შენი ნაკვალევი.

აღარ მინდობ!
თითქოს ფლობდე ჯადოს!
დამეკარგე, ველარ გკიდე თვალი,
ტანკენარი, ლალი და უზადო

სად გიპოვო, ვაი ჩემი ბრალი!
არას გარგებს მარტო წიგნის კითხვა,
ეს ცხოვრებაც ხომ წიგნია, ბრძნული!
გზებს ნუ მირევ, სად გეძებო, მითხარ,

არ მასვენებს შენი სიყვარული...

* * *

მე სიყვარულმა გამიპო გული
და რითი გინდა ამომიკემსო...
არც კი გრცხვენია, რომ მსაყვედურობ
შენმა ლექსებმა გამაგიჟესო!

მე რაც ვიცოდი, ხომ ვაკეთებდი!
სიბრძნის მაგიერ სიბრიყვეს ვწერდი?
მაგრამ სადღაა ის სათნოება
ქალს, რომ შეჭფერის ყოველთვის, ლედი?

* * *

რატომ მიძაგებ? - მას შენზე მეტად
ჩემს გულში სითბო დაუთესია,
რატომ მაჯერებ, რომ შენ ჯობიხარ,
და ის კი შენზე უარესია? -

ქალისგან ქალის შეურაცხყოფა
მითხარი ეს რა ქალის წესია,
თუმცა რას ვამბობ, ვინ სრულყოფილი
ქალს მოდგომია, მოუმწყემსია? -

* * *

რადგან სიცოცხლე
და ეს ცხოვრება
ბედნიერების ერთი წამია,
სიყვარულისთვის

მოვედი ქვეყნად
სხვა არაფერი მინდა, ძამია! -

* * *

შენ ჩემი არ გწამს და არცა გჯერა,
მე მაინც გეტრფი რამდენი წელი,
ისე იქცევი, თითქოს, შენ იყო
დედამიწის და ცის მასპინძელი.

რომ მეუბნები აქ შევხვდებითო,
რასა გულისხმობ? ნუ გამაცინებ...
შენ სამოთხეში არ მიგიღებენ,
ჯოჯოხეთს წასვლას მე არ ვაპირებ!

* * *

ნისლში გაეხვა,
თეთრი აფრები,
ნელა დატოვა
გემმა ნაპირი,
და მარტო დავრჩი
სევდასთან ერთად -
ნავსაყუდელს და
ზღვას შენანირი.
შენ გაგიტაცა
ლურჯმა ტალღებმა,
მე კი დამტოვე
სევდის ამარა,
ნისლში მანამდის
გიცქერდი, სანამ,
ჰორიზონტმა არ
დაგასამარა...
რომ დაბრუნდები,
აქვე დაგხვდები,
არსად არ ნავალ
არცერთი წამით
და შენს ტუჩებზე
დავწერ ავტოგრაფს
ჩემი მხურვალე
და მწველი ბაგით...

* * *

და თუ ოდესმე კვლავ მოფრინდეს შენთან
ფერია...

მიხმე, მაჩვენე, მინდა ვნახო თუ ცისფერია!
მინდა ვიხილო, რაც ამ ქვეყნად მშვენიერია,
მე ხომ არასდროს სიყვარულზე არ მიმღერია...

მინდა ვუმღერო შენს ფერიას შენი სახელით
და სულ პირველი სიყვარულის
მცნების გამხელით...

და თუ ვამხილე სიყვარული გულში ნადები,
მე ვიამაყებ, შენზე ლექსის მწერლად
გავხდები!...

* * *

რომ შემეყვარე, ცამაც იქუსა,
თრთოლვა და გრგვინვა მესმა გულისა,
მე ქარიშხალში ვიდექი მუხად
მჯეროდა შენი სიყვარულისა...

* * *

სიზმარში გნახე საცოლე -
თმას ვარსკვლავები გეყარა,
მოგიახლოვდი, გაკოცე,
ჩემი მეგონა ქვეყანა...

შენი ლამაზი თვალები,
ჩემი სინათლე მეგონა,
გაგიღე გულის კარები
და ბედმა ერთად შეგვკონა,

შენ სხივი გედგა თვალებში
და მიმზიდველად მღეროდა,
ღამე ვათიეთ ალერსში
ვისხედით ხეთა ჩეროში.

ამ ნეტარების მხილველმა
(განგებამ ასე იწება)
ჩემს სიცოცხლეში პიველად,
ვინანე გამოღვიძება...

* * *

ვიცი, ყოველ დილით ფანჯარას გააღებ,
ელოდები განთიადის შემოფრენას,
საკუთრივ იხილავ საოცარ სანახებს
ისევ გუშინდელ ძველ ფერთა განახლებას,

მაგრამ ხანმოკლეა განთიადი,
ოცნებით და სიყვარულით სავსე,
ბალახს შერჩენია ცრემლთა ხვაშიადი
ვაი თუ, ჩვენი სიყვარულიც ასეა, ასე

* * *

ჩაიღვენთა ლოდინში
ჩემი თაფლის სანთელი
და ხმამაღლა ვლოცულობ
შენზე ლამენათევი,

გული რად გაგიცივდა,
ტრფობით რად არ ჩურჩულებ?
ტანჯვის ცეცხლში რადა ხვევ
ჩემი გულის კუნჭულებს?

შენს ლოყაზე ასაკი
მზის სხივებად იფრქვევა
მჯერა, ამ სიყვარულის
გაგრძელება იქნება!

* * *

არ გამიჯავრდე, თუ გთხოვო რამე,
დღეს არ გიმღერი, გული არ ილხენს,
მოდით ნავიდეთ მესხეთში... სადმე
ვიპოვოთ ერთი ბებერი ციხე...

სად ქართველები იბრძოდნენ ძველად
დღეს აღარ გვესმის კუნესა და გმინვა,
მე არ ვყოფილვარ სპარსეთში მძევლად
და არც მიცდია მახვილის რკინა,

მაგრამ კი მესმის ხმა გამარჯვების
გულს დამნოლია ღალატით მარცხიც
და თუ ამიყვან ქონგურზე მალლა
ციხეს ბებერ თმას გადაუვარცხნი,

იქნებ ციხესაც მოწვეთავს სისხლი...
თალი ექნება ჩამონგრეული,
იქნებ განვკურნო, ხელს ნუ შემიშლი,
მისი ჭრილობა ათასწლეული...

არ გამიჯავრდე, თუ გთხოვო რამე,
დღეს არ გიმღერი, გული არ ილხენს,
მოდით ნავიდეთ მესხეთში... სადმე
ვიპოვოთ ერთი ბებერი ციხე...

* * *

ვიცი ია ხარ, ჩემთვის ამოსული,
ჰო... თოვლის ქალი ხარ ფიფქად წამოსული,
ვიცი ღვთაება ხარ, ღმერთების ასული
სიყვარულისათვის ციდან ჩამოსული.

იებს თუ აცოცხლებს მხოლოდ გაზაფხული
ვაი თუ ზამთარში დაჭკნეს სიყვარული?
დარდით შემეცვალოს დიდი სიხარული,
დამრჩეს თვალები ცრემლით დანამული...

* * *

მე ვიცი, რომ ბევრს ჩაგრავე,
შენი ეშხით, იერით.
თავი მოგაქვს, კეკლუცობ,
შენი სიმშვენეირით...

კეკლუცობა გეყოფა!
გულს ჩამოხსენ ურდული,
არ დამტოვო გრძნობისგან
გაძარცვულ-გაქურდული...

* * *

ნეტა ვიცოდე რად მეუბნები,
რად დაივიწყე ჩემი სახელი,
რატომ ჩაგინვა გულში ღრუბელი,
რისთვის ჩააქრე ჩემი სანთელი?

შენ მყავდი რწმენის ფარად დამდგარი
და სალოცავი იყავ ერთ-ერთი...
აზრები შენთვის გარემოცული,
ამ ლექსებს, მხოლოდ,

მე შენთვის ვწერდი...
გულში ჩამიდგა ბაზალტის კლდე და
შენი ფეხის ხმის ვიყავ მიმყოლი,
სულში არ მქონდა დარდი, ნალველი, -

შენ გეკუთვნოდა, ყველა სტრიქონი!
არ არის დიდი ჟამი გასული,
და გახსენებად, იქნებ, არ ღირდა,
რამ დაგავიწყა ჩვენი წარსული, -

როს შენი ბაგე ღიმილს მალვრიდა?!

* * *

მე შენს აჩრდილებს ავედევნები
მხიბლავს მაგ შენთა წარბთა ტევრები
როს შენი გულის სითბო ვიგრძენი
და ჩემი გულის ხარ მასპინძელი.
მე სიყვარულში შეფარებულეხს,
ვეტრფი გულითად შეყვარებულეხს!

* * *

რა იმედებს არ ვსახავდით მაშინ,
როდესაც მენტე კელაპტრად გვერდით,
დრონი გაფრინდნენ, შევსულვართ ხანში
და ვცოცხლობ მხოლოდ ძველი იმედით

ახალგაზრდობას თუ მოვიგონებ,
დიას, დაგპირდი, დავბრუნდებოდი
მაგრამ ბრძენთა ბრძენს თუ გავუგონებთ
ლალატს არც შენ არ მაპატიებდი!

გადავიკითხე მცნება ყოველი,
ვფიქრობდი წიგნი დამაბრუნებდა
თუმც პატიებას ძნელად მოველი,
რადგან მე ვიცნობ შენს მკაცრ ბუნებას!

* * *

სიყვარული შეჩვევაა ალბათ,
მე ამ გრძნობას ვეთაყვანე მარად...
შეგეჩვიე გეუბნები მართალს,
ჰოდა გულში ნუ გამიჩინ ნაპრალს...

* * *

დღე და ღამე გეძებ, ველარ ვჩერდები,
შენ დაგეძებ ეს რამდენი ხანია,
შემომხედე, სიყვარული მაჩუქე,
ჩემო ტურფავ, სულზე ტკბილო მაია,

გამიღიმე, ნუთუ არ გებრალები?
სიყვარულით დატანჯული კაცი ვარ,
შენს ძებნაში დავიღალე მაია,
თვითონ მიკვირს ფეხზე როგორ დავდივარ,

ნუ ჯიუტობ, მომისმინე მაია,
გამინათე სიყვარულის ფიქრები,
რაც არ უნდა დამტანჯო და მანვალო,
ხომ იცი, რომ მაინც ჩემი იქნები.

* * *

შენთან შეხვედრის წამიდან
გული სიამემ დანამა,
თვალები გეტყვის სიყვარულს,
თვალებს არ უყვარს დამალვა...

* * *

მიყვარხარ ახლაც,
მაგრამ სათქმელს
ვერ ვამბობ ისევ...
ამ ჩვენს სიყვარულს

ათას ჭორის არტყია ზღუდე,
შენ ხარ -
ჩემს გულში ანთებული
ლაჟვარდი მზისებრ...

გთხოვ, ნუ გამწირავ და
სიცოცხლეს ნუ გამიმრუდებ!

* * *

შენი ფანჯრის გუშაგი ვარ,
შენი ბალის ბულბული,
შენს ყვავილებს
შესცქერ დილით,

სიყვარულით სულდგმული,
სალამოზე ფანჯრის ფარდას
ვუცქერ ჩემი ტკივილით,
რა იქნება გამომხედე,

ვნახო შენი ღიმილი...

* * *

თითქოს სხეულში
გამიღღვა თოვლი
და თითქოს, სისხლი
ამემღვრა ადრე,

ბევრი გეძებე
და გნახე ტოლი,
მოვედი შენთან
და სიტყვა გკადრე.

შენს გულში როდი
ლღვებოდა გუნდა,
შემომცქეროდი
გაკვირვებული,

გაღლობა მსურდა
იმ თოვლის, რითაც
შენ გული გქონდა
გაციებული.

გოგოს დუმილიც
დანყვევლილია,
ბაგე მაჩუქე,
ნუ გაფრინდები,

ქურდული კოცნა
უფრო ტკბილია!...

* * *

სული დაფრინავს
როგორც ფერია,
ვინ ხედავს თვალებს
ცრემლებმომდინარს,

მითხარ
სიცოცხლე რა სათქმელია,
როცა არსებით
შენსკენ მოვდივარ!...

* * *

დღეს თუ შენ სხვისთვის არა გცალია,
არც სხვა იქნება შენი დარისა,
ეგ კეკლუცობა წარმავალია,
წლები - წამლები სილამაზისა...

ჭინკები შეცვლის ელფერს სახეზე,
თმებში ჩამოგთოვს ჭაღარას წლები,
დედა გერქმევა გადასახედზე -
ცხოვრებაში თუ გადასახლდები...

* * *

რალაც ცდუნებას
აჰყევი ალბათ
და გამიმეტე
დასალუბავად,

ჩემთან ყოფნის დროს
გამჩნევდი კარგად,
სულსაც ლამობდი
გასაქურდავად.

რა საჭიროა
რომ შეგეკითხო,
ვისი ბრალია
ჭრილობა ხანჯლის,

მჯერა რომ გრძნობებს
მიხვდები თვითონ
და შენში დარჩეს
მიზეზი ტანჯვის.

გაგიფრინდება
სევდის ფრინველი
და დაგებნევა
მძივები ქარვის,

ასე გავლილი
ტანჯული წლები
არ დააბრალო
შენს გარდა არვის!

* * *

შენით ყოფილა ყველაფერი
ეგზომ ძლიერი
შენით იწყება ჩემი ფიქრი
და აღტაცება,

შენით შევალე საუკუნე
ოცდამეერთე
ა-დან ჰ-ოემდე ეს დღეები
სულ დალაგდება...

* * *

სიყვარული იქ დაიწყო, სად არის
სიმხურვალე შენი მწველი ბაგისა,
მეუბნები: - სიყვარული არ არის,
ზღაპარია ათას ერთი ლამისა...

გეუბნები სიყვარული იქ არის
სად სხივია შენი მწველი თვალისა,
მეუბნები: - სიყვარული არ არის,
ზღაპარია ათას ერთი ლამისა...

* * *

მაშინ გეძებდა
ეს ჩემი გული,
სხვასთან ალერსი
რომ გიტაცებდა, -

გწამდა, გჯეროდა,
რომ მზეჭაბუკი
მოვიდოდა და
მოგიტაცებდა.

მას შემდეგ კვლავაც
გასულა წლები
და გულის სატრფოს
ელოდი თუკი,

სად დაიკარგა,
ვერ მიაგენი,
რად არ მოვიდა
ის მზეჭაბუკი?

თმა დაგფარვია
თეთრი ფანტელით,
გული ხომ ვერ გრძნობს
სიბერეს ცოდვილს,

შენ ისევ ელი
ძველი განცდებით
იმ მზეჭაბუკს და
განაგრძობ ლოდინს...

* * *

ო, როგორ მინდა გულში ჩავიკრა,
შენი ლამაზი სხეული, მარი
და ათასობით მოშურნის თვალით
ჩემზე ანიშნონ: - ეს არის ქმარი!

ოჯახში მოსულს ნატიფი ეშხით,
ერთად გამიღო გული და კარი -
მაგრამ...
ეჰ, უკვე დავაგვიანე,

არ გაამყლავნო. ეს გრძნობა წყნარი
თორემ ჭორებით,
მიეთ-მოეთით - რას იტყვის ხალხი,
რას იტყვის ხალხი...

* * *

შემიყვარდი? - ეს რა შენი ბრალია,
ის დათვრება, ვინაც ღვინო დალია,
ჩემს სიყვარულს შენც ამჩნევ და ყოვნდები,
დიდხანს ფიქრობ, შემდეგ მიახლოვდები,

მოსვედი და მე გითხარი პირველად: -
ნუ დაგრჩება სიტყვა გასაკვირველად ,
მიყვარხარ და გაჩენილხარ საჩემოდ,
ვემზადები ქორწილისთვის სამეფოდ...

გაგელიმა და ღიმილი მოგიხდა,
შენი სახე მთელ ქვეყანას ჯობნიდა...
ახლაცა მკლავს თვალთა შენთა ბრიალი,
შენ ხარ ჩემი სიყვარულის ტრფიალი...

* * *

იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ,
შენ რომ დაგესიზმრე უნინ,
იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ
ტანზე, რომ მაცმევდი მუნდირს,

იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ,
ნახვას, რომ ნატრობდი მარტო,
იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ -
შენ, რომ მადარებდი მნათობს...

იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ
შენ, რომ გაგინათე ბნელი,
იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ
ერთად რომ დავხოცე მტერი

შენ რომ ასწავლიდი ენას,
იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ
დანახვით რომ გგვრიდი ელდას,
იქნებ მე ის ბიჭი ვიყავ

ოცნება იყავი ვისიც...
დიახ, მე ის ბიჭი ვიყავ
და უშენობა მიმძიმს...

* * *

ჩემს შვილსა და ჩემს შვილიშვილს,
ჩვენს უიღბლო სიყვარულზე ვეტყვი...
ის გამიგებს,
დაინახავს წარსულს,

მოადგება ჩემთან ერთად ცრემლი -
და დამისვამს ათასობით კითხვას,
შენეული წერილები მის გულამდეც მივა...
წავაკითხებ შენგან მოძღვნილ ლექსებს,

ჰოდა, ველარ შევიკავებთ ცრემლებს...

* * *

ასი ლექსი სიყვარულზე
რომ დანერო,
განა მართლა იოლია
ეს საქმე?!
ეს საქმე?!

სიყვარულმა ამამღერა
ასე ძლიერ,
ჰოდა, წინ რა დაუდგება
ჩემს სათქმელს!

* * *

მომნონდა შენი ბიჭური ქცევა,
მიყვარდა შენი თბილი თვალები,
სხვაზე გამცვალე?-მეც დაგივიწყებ,
რამ გამოლია კარგი ქალები?.

* * *

მდეღვაისო, ამიცხადებ ოცნებებს, მითებს...
ჰალმის ოსტატი გიქცევია ტყვედ და მონადა
ამ ლამაზ ფიქრებს არ გეგონოს,
რომ გრძნობებს მივსდევ
სიყვარულის და სათნოების
ჰიმნად მოვნათლავ.

* * *

ნეტა ახლა ჭიათურას ვიყო!..
ერთ ქუჩაზე
ერთი სახლი ვიცი
შევძახებდი:

საყვარელო გესმის?
ვიცი სახლში დამხვდებოდა ისიც,
სხვანაირი სინაზე და სითბო
მაშინდელი,

დღევანდლამდე მახლავს...
ნეტა ახლა ჭიათურას ვიყო!..
...ყველაფერი
სანატრელი გახდა...

* * *

მაკოცე და მაშინ
ამობრწყინდა ელვარება მზის,
ჰოდა, ორი კვირაა
აღარვიბან პირს

ანდა როგორ დავიბან,
ლოყაზე ხომ შენი კოცნა
ზის.

* * *

ცეცხლად იღვრება თავთავის კალო
და კალოც თითქმის მზის დისკოსა ჰგავს,
კალოზე ცეკვავ ლამაზო ქალო,
და მზეც კალოზე, შენს მკერდზე ცეკვავს,

მზეც ცეკვავს, მკერძე გელაციცება,
რალა ინატროს მშვენება კაცმა,
მკერდზე ნაქარგი შთაბეჭდილება
ვისთვის სიტკბოა და ვისთვის ჯვარცმა,

სხეულს მისუსხავს გრძნობის ჭინჭველი,
ეს ქალი, მგონი, აქ მობრძანდება,
მასპინძელია, მკლავებგაშლილი
ამალამ ძილი გამიჭირდება !

* * *

აბა, რალა დაგინეროთ,
სიყვარულზე მეტი,
ამ ჩემს წიგნში ეს რითმები
მხოლოდ თქვენთვის მღერის...

ჩემს სიყვარულს,
თქვენს სიყვარულს,
შეენევა ღმერთი,
აბა, რალა დაგინეროთ,
სიყვარულზე მეტი,

* * *

ახალი წლის მადლითა და ეშხით
ამ ჩემს ლექსებს არ გასვლია ვადა,
სასწაული, აქ რა არის, რომ ვთქვათ?!
მე ვარ შენი საიდუმლო სანტა!

ამ ხინკლის და ხაჭაპურის ხათრით
განმიახლდა ლექსის წერის მადა,
ჯანმრთელობის, მომრავლების, წინსვლის
მე ვარ შენი საიდუმლო სანტა!

ყველას უკვირს ვის ეძღვნება ლექსი
ეს თვალები გამექცევა სადა?
და საჩუქარს მხოლოდ შენ ერთს გაძლევ!
მე ვარ შენი საიდუმლო სანტა!

GARI CHAPIDZE
“Conception of love”

რედაქტორი: მაკა სამხარაძე
მხატვრული რედაქტორი: ნაზიბროლა კაპანაძე
ტექნიკური რედაქტორი: შორენა გზირიშვილი
კორექტორი: მარიამ ქებაძე

გამომცემლობა „აკადემიური ქალაქი“
ქ.რუსთავი
2019



რა არის სიყვარული?-ამ თემაზე კაცობრიობა დასაბამიდან ეძებს ამომწურავ პასუხს... ამ უზარმაზარი გრძნობის ქვაკუთხედის შესაკრავად აკადემიკოსი გარი ჩაფიძე გეთავაზობს „სიყვარლის კონცეფციას” თავისი შემოქმედების ორმოცდაათტომეულის ოცდამესუთენიგნად!

